პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

საჯარო ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.

ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- ლატვიაში აღმოაჩინეს მონარქისტების ორგანიზაცია.
- პოლონეთში სეიმის მოწვევა 30 დღით გადადეს.
- საბჭოთა პავილიონი ბეწვეულის საერთაშორისო გამოფენაზე ლეიპციგში.
- დემონსტრაციები საფრანგეთის ტერორის წინააღმდეგ ინდო-ჩინეთში.
- ჩინეთის კომუნისტური რაზმების გამარჯვება.
- უმუშევართა სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან ჩეხო-სლოვაკიაში.

კვირა, 25 მაისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 120 (2768)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციების საყურადღებოდ

საქ. კომპ. (ბ) მე-VII ყრილობა

შესდგება 27 მაისს ქ. თბილისში

დღის წესრიგი:

1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება—ამხ. ლ. ღოღობერიძე;
2. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება —ამხ. ი. ჭელიძე;
3. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენება—ამხ. ვლ. ივანოვ-კავკასკი.
4. საკოლმეურნეო მოძრაობის შედეგები და პერსპექტივები და გაზაფხულის სათესო - სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულება საქართველოში— ამხ. ფ. მახარაძე;
5. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: პარტიის 100 წევრზე 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, პარტიის 100 კანდიდატზე 1 დელეგატი სათათბირო ხმით.

ამ ნორმის ზევით გამოგზავნილი ამხანაგები უკან გაიგზავნებიან.

მანდატების გაცემა იწარმოებს ცენტრალურ კომიტეტში 25 მაისიდან 9 საათიდან დღის სამ საათამდე.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ღოღობერიძე.

ინგლისის მთავრობის კრიზისის წინ

მაკდონალდის მთავრობას უფრო და უფრო მეტი დაბრკოლება ელოდება. ინდოეთი ცეცხლის ალშია. ეგვიპტესთან მოლაპარაკება შეწყდა. ირაქი მოითხოვს ადგილს ერთა ლიგაში. პალესტინის არაბთა დელეგაციამ ლონდონს „მიუღებელი მოთხოვნები" წარუდგინა.

ამავე დროს ინგლისის სამეურნეო მდგომარეობა ყოველთვიურად უარესდება. ექსპორტი მცირდება, ქვანახშირის, საფეიქრო და გემების სააღმშენებლო ინდუსტრიაში პროდუქცია ეცემა. ნაოსნობა „შავ თვეებს" განიცდის. მიუხედავად ზაფხულის მოახლოვებისა, უმუშევრობა იზრდება, შრომის ბირჟებში აღრიცხულია 1.731.000 კაცი. სოფლის მეურნეობის უმუშევრებთან და აღრიცხვიდან მოხსნილ რამდენიმე ასი ათას კაცთან ერთად უმუშევართა დიდ არმიაში 2¼—2½ მილიონი კაცი ითვლება.

კონსერვატორები შექმნილ მდგომარეობას ხელსაყრელად სთვლიან იმისათვის, რომ შეტევაზე გადავიდნენ მაკდონალდის მთავრობის წინააღმდეგ: ისინი 28 მაისს შეიტანენ წინადადებას შრომის მინისტრის ტომასისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. პარლამენტმა რომ ეს წინადადება მიიღოს, მთავრობა იძულებული იქნება გადადგეს. პარლამენტი დათხოვნილი იქნება და დაინიშნება ახალი არჩევნები.

მეორეს მხრივ ლიბერალები „მუშათა მთავრობისათვის" მხარის დაჭერის სამაგიეროდ მოითხოვენ საარჩევნო რეფორმის განხორციელებას. ამ რეფორმამ საშუალება უნდა მისცეს მათ შემდეგ არჩევნებში თვალსაჩინოდ გაადიდონ თავიანთი მანდატების რიცხვი. ამ მოთხოვნის უარყოფის გამო, ლიბერალებმა დაადგინეს — შემდეგში მხარი აღარ დაუჭირონ მაკდონალდს.

ყოველსავე ამას ისიც დაემატა, რომ „მუშათა" პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში ახალი „ამბოხება" მომწიფდა. ამ შემთხვევაში მეამბოხის როლში გამოვიდა პატივმოყვარე არისტოკრატი, მილიონერი მოსლი: იგი უკმაყოფილოა იმ მესამეხარისხოვანი როლით, რომელსაც იგი მთავრობაში თამაშობს. მოსლი თავს ესხმის მთავრობას მისი მოქმედებისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში; მან წამოაყენა თავისი პროგრამა, რომელიც ძალიან მცირედ განსხვავდება ტომასისა და სნოუდენის „პროგრამისაგან".

მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ინგლისის ბურჟუაზიამ ამჟამად გადასწყვიტოს მაკდონალდის მთავრობის დამხობა. ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინაშე ამჟამად უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებია—კოლონიების მშრომელი მასების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სისხლში ჩახრჩობა, ინგლისის პროლეტარიატის ხარჯზე მრეწველობის რაციონალიზაციის განხორციელება და მსოფლიო ბაზრებზე დაკარგული პოზიციების დაბრუნება. „მუშათა" პარტია მაქსიმალური ენერგიით ასრულებს ამ ამოცანებს, იგი ამჟამად ბევრად უფრო ესაჭიროება კაპიტალიზმს, ვიდრე ოდესმე სხვა დროს.

ლიბერალებმა ტყუილად კი არ დაადგინეს, რომ მთავრობის წინააღმდეგ ხმა არ მისცენ, რომ მათ მხოლოდ თავი შეიკავონ კენჭის ყრის დროს. ეს საშუალებას აძლევს ლეიბორისტებს კენჭის ყრის დროს მიიღონ უმრავლესობა, თუ საკუთარი რიგები შემჭიდროებული ექნებათ. მოსლიმ უკვე განაცხადა, რომ იგი და მისი მომხრენი მხარს დაუჭერენ მთავრობას. ამიტომ საფიქრებელია, რომ „მუშათა პარტია" 28 მაისის შემდეგაც განაგრძობს ბრიტანეთის იმპერიალიზმის ნებასურვილის შესრულებას.

„პრავდა", 24 მაისი.

ბრძოლა ორ ფრონტზე

(პარტყრილობისათვის)

პარტიის გენერალური ხაზის ნიადაგზე ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ყველა ეს მიღწევები მოპოებულია იმ უდიდესი სიძნელეების პირობებში, რომლებიც წინ ეღობებიან ამ მშენებლობას.

ჩვენი პარტიის ზოგიერთ სუსტ რგოლებში და მუშათა კლასის ჩამორჩენილ ფენებში ამ სიძნელეებმა გამოიწვიეს მემარჯვენე ოპორტუნისტული მერყეობა. ამ მერყეობამ სოციალური დასაყრდენი და მკვებავი ნიადაგი მოიპოვა მუშათა კლასის ირგვლივ არსებულ წვრილ-ბურჟუაზიულ გარემოში. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს თავისი დიქტატურის განხორციელება უხდება ისეთ ქვეყანაში, სადაც უმრავლესობას გლეხური მოსახლეობა შეადგენს. ეს აძლიერებს წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის გავლენას მუშათა კლასის ცალკე ჯგუფებზე.

სწორედ ამიტომ იყო მეტად მავნებელი მემარჯვენე ოპორტუნისტული მსჯელობა ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპების დაუძლევლობის და სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ. სწორედ ამიტომ იყო მავნებელი „კულაკის სოციალიზმში შეზრდის ილიუზია". პარტიამ მემარჯვენე გადახრაში დაინახა მთავარი საფრთხე და მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბა, მასთან საბრძოლველად. მემარჯვენე საფრთხის დაძლევა წარმოადგენდა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატების წინასწარ პირობას.

მაგრამ მემარჯვენე საფრთხის ნამდვილად დაძლევა, შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გადამწყვეტი ბრძოლა გამოცხადდება მემარჯვენე გადახრასთან შემარიგებლობასაც. ოპორტუნიზმის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ის ყოველმხრივ ეგუება მდგომარეობას და ცდილობს დამალოს თავისი ნამდვილი სახე, თავისი ნამდვილი განზრახვა. „როდესაც მემარჯვენე გადახრას ომი ეცხადება, მემარჯვენე უკლონისტები ჩვეულებრივ ფერს იცვლიან, შემარიგებლები ხდებიან და პარტიას ძნელ მდგომარეობაში აყენებენ. მემარჯვენე უკლონისტების ამ ფანდის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაისვას საკითხი შემარიგებლობასთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ" (სტალინი).

უკანასკნელ ხანებში სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ დაშვებული შეცდომებისა, აგრეთვე „მემარცხენე" გამრუდების ნიადაგზე, შესამჩნევად გამოცოცხლდნენ არა მარტო მემარჯვენე ელემენტები, არამედ მათდამი შემარიგებელი მოპყრობაც. ეს იმაში გამოიხატა, რომ ზოგან არა სურთ განაგრძონ ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ და სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ზოგ ადგილას „მემარცხენე" გამრუდებასთან ბრძოლის ნიღაბ ქვეშ კულაკს ყოველნაირ შეღავათს აძლევენ. ისევ იწყება მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ შეუძლებელია კოლმეურნეობათა მშენებლობა ტრაქტორებისა და მსხვილ მანქანების გარეშე. არსებული კოლმეურნეობების „ორგანიზაციული განმტკიცების" საბაბით კოლმეურნეობაში მიღებაზე უარს ეუბნებიან იმ გლეხებს, რომლებიც წინად ირიცხებოდნენ კოლმეურნეობებში. შემჩნეულია სოფლის მეურნეობის ფაქტიური ფორმების შემდგომი გავრცელებისათვის თავის არიდების შემთხვევები. შემჩნეულია, რომ ზოგიერთი კომუნისტი და ქვედა ორგანიზაციაც კი ურიგდებიან პარტიული ხაზის ასეთ გამრუდებებს, ამართლებენ და ხელს აფარებენ მათ.

სწორედ ამიტომ სდგას მწვავედ საკითხი მემარჯვენე ოპორტუნისტ ფერისშემცვლელთა და შემთანხმებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. დაუნდობელი ბრძოლა შემარიგებლებთან ხელს შეუწყობს მათი მუშაობის ნამდვილი ხასიათის გამორკვევას და ჩვენი პარტიის რიგებში კულაკობის აგენტთა პოლიტიკურად საშიში პოზიციის დანახვას.

უკანასკნელ ხანებში „მემარცხენე" შეცდომებმა და გამრუდებებმა ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნეს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გაძლიერებას და განმტკიცებას. „მემარცხენე" გამმრუდებელთა შეცდომები პარტიის ხაზს დამახინჯებულად სახავდნენ და მით აადვილებდნენ პარტიული ხელმძღვანელობისათვის სახელის გატეხვის საქმეს, აადვილებდნენ მემარჯვენეთა ბრძოლას პარტიული ხელმძღვანელობის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ამიტომ „მემარცხენე" შეცდომებთან ბრძოლა გადაიქცა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის პირობად. ბრძოლა პარტიის ხაზის „მემარცხენე" დამახინჯებათა წინააღმდეგ მით უფრო გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, რომ ეს დამახინჯებები არღვევდნენ მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს—პროლეტარიატის დიქტატურის ამ საფუძველს.

„მემარცხენე" გამრუდებებთან და გამმრუდებლებთან შემარიგებლობის საქმით ხელს უწყობს ამ უკანასკნელთ—განაგრძონ თავიანთი შემცდარი პოლიტიკა, რომელიც ასუსტებს მუშათა კლასის კავშირს გლეხობის ფართო მასებთან. ამით წყალს ასხამს მემარჯვენე გადახრის წისქვილს, აძნელებს მასთან ბრძოლას.

სოციალისტური მშენებლობის უდიდესი მიღწევები შესაძლებელი გახდენ მხოლოდ პარტიის გენერალური ხაზისათვის გადამწყვეტი ბრძოლის, პარტიის ხაზის ყოველგვარი გამრუდების და ამ გამრუდებასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის წყალობით. შემდგომი მიღწევებიც ასევეა დამოკიდებული ორ ფრონტზე ბრძოლისაგან, იმ ბრძოლისაგან, რომელიც მიმართულია როგორც მთავარი საფრთხის—მემარჯვენე გამრუდებების წინააღმდეგ, ისე იმ „მემარცხენე" გამრუდებების წინააღმდეგ, რომლებიც აძლიერებენ მემარჯვენე საფრთხეს. ამ ბრძოლის წარმატება თავის მხრივ დამოკიდებულია გადამწყვეტი ბრძოლისაგან შემარიგებლობასთან, ანუ ფერშეცვლილი მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებთან.

ი. მ.

ლიბერალები უარს ამბობენ მაკდონალდთან თანამშრომლობაზე

ახალი ინციდენტი პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე—ლიტვაში აღშფოთებული არიან

მაკდონალდის მთავრობის სერიოზული დაბრკოლებანი

იერიშები ყოველი მხრიდან

ლონდონი, 23 მაისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თათბირმა გოსის მოსთხოვა—მოხსნას ის რეზოლიუცია, რომლითაც უკმაყოფილება ეცხადება მთავრობის პოლიტიკას უმუშევრობის საკითხში. ლიბერალების პოზიცია საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, მაგრამ პოლიტიკურ წრეებში ახლავე ამბობენ, რომ კენჭის ყრის დროს ლიბერალების ერთი ნაწილი კონსერვატორებს დაუჭერს მხარს, უმნიშვნელო ნაწილი—მთავრობას, ხოლო დანარჩენები თავს შეიკავებენო.

ლონდონი, 23 მაისი. „მემარცხენე" ლეიბორისტები ერიდებიან თავიანთი პოზიციის გამორკვევას. ამასთან მათ ეშინიათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლეიბორისტულ პარტიაში განხეთქილება მოხდა, მთავრობა იძულებული გახდება დანიშნოს ახალი საყოველთაო არჩევნები (ადს).

მდგომარეობა ინდოეთში

100 ათასი კაცის მიტინგი ბომბეიში

ბომბეი, 23 მაისი. ბომბეიში გაიმართა უდიდესი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 100.000 კაცმა. **მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა პატელმა**, რომელმაც მიტინგის მონაწილეებს ურჩია შინაური ქსოვილების დაზოგვით მოხმარება და ტანისამოსზე ერთნაირი ნორმის შემოღებაც კი.

გაზეთ „დეილი ექსპრეს"-ის კორესპონდენტი სწერს, რომ მთელი კამპანიის განმავლობაში დემონსტრაციას არასოდეს არ გამოუწვევია ასეთი აღფრთოვანება, როგორც ახლა. მიტინგის მონაწილენი ყვიროდნენ — „ძირს ინგლისელები". (ადს).

9 თვის პატიმრობა ნაიდუს

ლონდონი, 23 მაისი. პოეტ ქალს ნაიდუს, რომელიც სამოქალაქო ურჩობის კამპანიას ხელმძღვანელობს, სასამართლომ მიუსაჯა 9 თვის პატიმრობა. (ადს).

„წითელი ხალათები"

ლონდონი, 23 მაისი. ინდოეთის გლეხობის ძირითადი რევოლიუციონური ორგანიზაცია არის „წითელი ხალათები". ორგანიზაციის მთავარი ცენტრი ეუტმანზაია. **აჯანყებულებს აცვიათ წითელი ხალათები, ხოლო მკლავზე ატარებენ ნიშანს, რომელზედაც დახატულია ჩაქუჩი და ნამგალი და წარწერილია: გლეხებო და მუშებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"**

სისხლისმღვრელი შეტაკებები უნტარის ბანაკში

ლონდონი, 23 მაისი. ნელორეს რაიონში ინდოელებმა გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები. პოლიციელთა მიერ უნტარის მოხალისეთა ბანაკის დაჭერის დროს დაიჭრა 120 კაცი. პოლიციამ ბანაკი დაშალა, მაგრამ იგი კვლავ მოხალისეებმა დაიჭირეს. **800 მოხალისე თავს დაესხა დხარასანის მარილის სამადნოებს. პოლიცია გაიქცა.**

შოლაპურში საალყო წესები მოხსნეს (ადს).

30 დღე „მოფიქრებისათვის"

სეიმის მოწვევა 30 დღით გადაიდო.

ვარშავა, 23 მაისი. სეიმის განსაკუთრებული სესიის მოწვევა დანიშნული იყო 23 მაისისათვის. გახსნის დღეს, სხდომამდე ერთი საათით ადრე, დაშინსკისთან მოვიდა პრემიერის კაბინეტის უფროსი შეტცელი, რომელმაც გადასცა მას პრეზიდენტის დეკრეტი იმის შესახებ, რომ სეიმის მოწვევა 30 დღით გადაიდო. სეიმის სესიის გადასადებად ძველ ხერხს მიმართეს. ეს ნიშნავს იმას, რომ **მხარეები ვერ შეთანხმდნენ და პარლამენტის ოპოზიციას ხელახლა მიეცა 30 დღე „მოფიქრებისათვის"** (ადს).

სამოქალაქო ომი ჩინეთში

აჯანყება მთავრობის ჯარებში

შანხაი, 24 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **სვატოუში აჯანყდნენ მთავრობის ჯარები.** ჯარისკაცებმა მოჰკლეს უფროსი და მთებში გაიქცენ. დაწვრილებითი ცნობები არ არის მიღებული (ადს).

მასიური დაპატიმრებანი შანხაიში

შანხაი, 24 მაისი. ინგლისის პოლიციის მიერ მუშებისა და გლეხების დემონსტრაციის დახვრეტის წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით (წლისთავი 30 მაისს სრულდება) ხელისუფლება ახდენს მუშების მასიურ დაპატიმრებას (ადს).

მღებავების გაფიცვა

შანხაი, 24 მაისი. გაიფიცა 4000 მღებავი, რომლებმაც ეკონომიური მოთხოვნილებები წამოაყენეს (ადს).

გლეხები სწვავენ მემამულეებისა და ვაჭრების ქონებას

შანხაი, 23 მაისი. ჩეძიანის პროვინციის **ბევრ ადგილას მოხდა აჯანყებები ბრინჯის ნიადაგზე.** გლეხები თავს ესხმიან ბრინჯის საწყობებს და ბრინჯს ანაწილებენ ღარიბ სოფლელთა შორის. ხელისუფლების რეპრესიების საპასუხოდ, ბევრ ადგილას **გლეხები სწვავენ მემამულეებისა და ვაჭრების ქონებას, სახლებს და საწყობებს.** კომუნისტური მოძრაობა მთელ პროვინციას ედება. (ადს).

კომუნისტური რაზმების ძლევამოსილი გზა

პეკინი, 23 მაისი. სამხრეთიდან მიღებული ცნობებით **კომუნისტური რაზმები სამხრეთ ჩინეთში ქალაქს ქალაქზე იღებენ. პროვინციის 80 მაზრიდან 60 კომუნისტური რაზმების ხელშია.** (ადს).

დემონსტრაციები საფრანგეთის ტერორის წინააღმდეგ

ინდო-ჩინელთა დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 23 მაისი. როგორც „ლუმანიტე" იუწყება, პარიზში, პრეზიდენტის სასახლის წინ, გაიმართა დემონსტრაცია ფრანგების ტერორის წინააღმდეგ ინდოჩინეთში. დემონსტრაცია გამართეს ინდოჩინელმა სტუდენტებმა, მუშებმა, ინდოჩინელი კომუნისტების ჯგუფის წევრებმა, ემიგრანტებმა და ინდო-ჩინეთში ფრანგების ტერორის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის წევრებმა. პოლიცია შეუდგა დემონსტრანტების გაფანტვას. **დემონსტრანტებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს. შეტაკების დროს რამდენიმე დემონსტრანტი დაიჭრა.** დააპატიმრეს 9 კაცი, მათში ერთი მუშაა.

დემონსტრაცია ტანდუონგში

პარიზი, 23 მაისი. როგორც ინდო-ჩინეთიდან მიღებული დეპეშა იუწყება, ტანდუონგში, იმ სახლის წინ, სადაც სადეკის პროვინციის ფრანგი გუბერნატორი ჩამოხტა, 2.000 მუშამ გამართა დემონსტრაცია წითელი დროშებით. **დემონსტრაცია გარეკილ იქნა ჟანდარმერიისა და სამხედრო ნაწილების მიერ, რომლებიც საგანგებოდ გამოიწვიეს.** (ადს).

საბჭოთა პავილიონი ბეწვეულის საერთაშორისო გამოფენაზე

მოსკოვი, 24 მაისი. 31 მაისს ბეწვეულის საერთაშორისო გამოფენაზე ლეიპციგში გაიხსნება საბჭოთა პავილიონი, რომელსაც 2.000 კვადრატიული მეტრი უჭირავს.

გამოფენაზე გაიგზავნა გადარჩეული ბეწვეულის დიდი პარტია — კამჩატკის წავის, ყარყუმის, კვერნას და სხვა იშვიათი ცხოველების ბეწვეული. იგზავნება აგრეთვე ბეწვეულისაგან დამზადებული პროდუქციის დიდი რაოდენობა, მათ შორის საქონლის ახალი სახეები: ციყვის, თრითინას, მელიის, კურდღლის და სხვათა შეღებილი ტყავები. მონადირეთა განყოფილებამ გაგზავნა ნადირის საჭერი იარაღის დიდი კოლექცია; გაიგზავნა აგრეთვე შორსჩრდილოეთის ხალხთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი საგნები. ნადირთმომშენების განყოფილებაში ცენტრალურ ადგილს დაიჭერენ მოსკოვის ზოოფერმის ექსპონატები, კერძოდ ექსპონატები მეკვერნეობისა, რომელიც ერთადერთია მთელ დედამიწაზე.

გამოფენაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი ჩვენი კარაკულის წარმოება. იგზავნებიან კარაკულის ცოცხალი ცხვრები. გარდა საქონლისა, ამ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება თურქმენების და უზბეკების ყოფა-ცხოვრება.

საბჭოთა პავილიონში მოეწყობა ზოოპარკი, სადაც მოთავსებული იქნებიან კვერნები, ციყვები, ენოტის შაგვარი ძაღლები. მელიები, ციყვები და ბეწვიანი მხეცები.

გამოფენა გასტანს 1930 წლის სექტემბრამდე. (ადს).

გრენერი მადლობას უხდის მენშევიკებს

ბერლინი, 23 მაისი. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს გამართულ კამათში გამოსულმა სახალხო პარტიის დეპუტატმა ადმირალმა ბრიუნინგჰაუსმა სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანიას უფლება არა აქვს თვითონ დააწესოს თავისი სამხედრო ძლიერების საზღვარი. დეპუტატის აზრით, ჯავშნოსანი „ბ" აუცილებლად საჭიროა ბალტიის ზღვისათვის.

სამხედრო მინისტრმა გრენერმა თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა სოციალ-დემოკრატ შეპფელინს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა თავის სიტყვაში რეიხსვერი დასახა ისეთ იარაღად, რომელიც გამოსადეგია სამშობლოს თავდაცვისათვის (ადს).

ნანსენის ანდერძი

ოსლო, 23 მაისი. ნანსენმა თავისი ქონების მეოთხედი უანდერძა ე. წ. „ნანსენის ფონდს", რომელიც გამოყენებული უნდა იქნას სამეცნიერო პოლიარული ექსპედიციებისათვის (ადს).

გაფიცვა რეიმსში

პარიზი, 23 მაისი. რეიმსში რამდენიმე კვირა გაფიცულია 1.500 მშენებელი. ახლა გაფიცვა გამოაცხადა 600 ფეიქარმა. ქალაქში ფაქტიურად საალყო წესებია. პროფკავშირთა **სახლი ჟანდარმების რაზმებმა დაიკავეს** (ადს).

„პანევროპიული" გეგმების გარშემო

ბრიანის მემორანდუმი „ერთა ლიგისათვის ზურგში დანის ჩაცემაა"

ბერლინი, 23 მაისი. „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგ"-ის ჟენეველი კორესპონდენტის ცნობით, ერთა ლიგის წრეებში მეტად კრიტიკულად ეპყრობიან ბრიანის მემორანდუმს პანევროპის ფედერაციის შესახებ. ყველაზე ძალიან მათ იმისი ეშინიათ, რომ ორი ანალოგიური ორგანიზაციის — ერთა ლიგის და ევროპის შეერთებული შტატების — არსებობა გამოიწვევს იმას, რომ ორივე ამ ორგანიზაციამ ერთი და იგივე საკითხები უნდა განიხილონ. ჟენევის წრეებს ბრიანის გამოსვლა მიაჩნიათ „ერთა ლიგისათვის ზურგში დანის ჩაცემად", ხოლო თვით ბრიანი — „ლიგის მესაფლავედ" (ადს).

ინციდენტი პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

ლიტვის პროტესტი.—მზადდება ანტი-პოლონური დემონსტრაციები

კოვნო, 23 მაისი სოფ. დმიტროვკაში, რომელიც პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზის ახლო მდებარეობს, **პოლონელი ჯარისკაცები თავს დაესხნენ ლიტველ ახალგაზრდობის ჯგუფს, რომელიც დროს გასატარებლად იყო შეკრებილი.**

ინციდენტმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია კოვნოში.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტელეგრაფით სთხოვა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს დრომონდს მოახდინოს გამოძიება.

ლიტვის გაზეთები სავსეა პროტესტებით. მზადდება ანტი-პოლონური დემონსტრაციები (ადს).

უმუშევრობის ზრდა გერმანიაში

ბერლინი, 23 მაისი. უმუშევრობა ბერლინში კვლავ იზრდება. 15 მაისისათვის უმუშევართა რიცხვმა ბერლინში 317.000 კაცს მიაღწია, ნაცვლად 311.000 კაცისა აპრილის დამლევს. რეინ-ვესტფალიის რაიონის ქვანახშირის მაღაროში მომუშავეთა რიცხვი იანვრიდან 35.000 კაცით შემცირდა. უმუშევარ მემაღაროეთა და მელითონეთა რიცხვი მარტო ვესტფალიაში 50.000 კაცს უდრის (გასულ წელს 16 ათასი უმუშევარი იყო). მომუშავე მემაღაროეთა რიცხვი რურის ოლქში 1930 წლის აპრილში, მარტთან შედარებით, 12.000 კაცით შემცირდა (ადს).

მუშების მასიური დათხოვნა გრძელდება

ბერლინი, 23 მაისი. მეტალურგიულმა სააქციო საზოგადოებამ „მანსფელდ"-მა, მას შემდეგ, რაც უშედეგოდ სცადა მუშების ხელფასის 15 პროცენტით შემცირება, გამოაცხადა, რომ ყველა ის მუშა, რომელიც ხელფასის 15 პროცენტით დაკლების თანახმა არ არის, 31 მაისიდან დათხოვნილად ჩაითვლება (ადს).

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი. 24 მაისი. უმუშევართა რიცხვი საქსონიაში მიმდინარე წლის აპრილში 73 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე წარსული წლის აპრილში (ადს)

მონარქისტთა ორგანიზაცია ლატვიაში

რიგა, 23 მაისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ხელისუფლების წარმომადგენლები წააწყდნენ დიდი მონარქიული ორგანიზაციის კვალს. ორგანიზაცია ლატვიაში მუშაობს 1918 წლიდან. უკანასკნელ ხანებში ორგანიზაციის წევრები აწყობდნენ საიდუმლო კრებებს, **სადაც იხილავდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების გეგმებს. ორგანიზაცია დაკავშირებული იყო პარიზის მონარქისტულ ცენტრთან და იღებდა მისგან საგრძნობ თანხებს** (ადს).

უმუშევართა შეტაკება პოლიციასთან

მუშებს სცემენ და სროლა აუტეხეს

პრაღა, 23 მაისი. გომარნოში (დასავლეთ სლოვაკია) ქალაქის თვითმმართველობის შენობის წინ შეიკრიბა 1.000-ზე მეტი უმუშევარი. დემონსტრაციის გავლენით, **მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა მიეღო კომუნისტური ფრაქციის წინადადება უმუშევრების საკითხის შესახებ.** შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოსთქვა კომდეპუტატმა **შტეინერმა. შტეინერი დააპატიმრეს. უმუშევრებს, რომლებმაც ხელახალი კრება მოაწყეს, პოლიციამ სასტიკად სცემა. შეტაკების დროს დაიჭრა მრავალი უმუშევარი და 8 პოლიციელი** (ადს).

რევოლიუციონური პროფკავშირების გამარჯვება

პრაღა, 23 მაისი. შეუჩერებლად იზრდება ჩეხო-სლოვაკიის წითელი რევოლიუციონური პროფკავშირების გავლენა. ამ პროფკავშირებს კომუნისტები ხელმძღვანელობენ. „ინვალდ"-ის შუშის ფაბრიკაში **შუშის წარმოების მუშების წითელმა კავშირმა სამი მანდატი მიიღო, იმ დროს, როდესაც რეფორმისტულმა პროფკავშირმა მიიღო მხოლოდ ორი მანდატი, ხოლო ფაშისტებმა—ერთი.** მეტალურგიულ ქარხნებში „კრალუვ"-სა და „დრუვე"-ში მელითონეთა წითელმა კავშირმა გადარჩევის დროს მიიღო 858 ხმა და 7 მანდატი. სოციალ-ფაშისტურმა პროფკავშირმა და ჩეხთა ნაციონალურმა პროფკავშირმა ერთად მიიღეს 734 ხმა და 5 მანდატი.

„ლენა-გოლდფილდს"-ის ხელმძღვანელები

არ აკმაყოფილებენ მუშების მოთხოვნილებებს

მოსკოვი, 24 მაისი. მაღაროს მუშათა, მშენებელთა, მელითონეთა და სხვა კავშირების ცენტრალური კომიტეტების შეკითხვაზე „ლენა-გოლდფილდს"-ის მუშებისათვის ხელფასის სისტემატიური მიუცემლობის შესახებ, რამაც პირდაპირ საბოტაჟის ხასიათი მიიღო, მოვიდა პასუხი, რომელიც აშკარავებს კონცესიონერის ცინიკური მოქმედების შეგნებულ განზრახვას. პასუხში ნათქვამია, რომ მმართველის მოადგილე დროებით დარჩა, ხოლო გამგეობის რწმუნებული ჯერ არ დაბრუნდებაო. არაერთი შეკითხვის საპასუხოდ ლონდონიდან მიღებულია საზოგადოების გამგეობის პასუხი, რომ საზოგადოების არც ერთი დირექტორი, არც ერთი რწმუნებული მოსკოვში არ წამოვაო.

გამგეობამ რწმუნება ჩამოართვა საზოგადოების ყველა თანამშრომელს საბჭოთა კავშირში; ამგვარად, საზოგადოების საქმეები შეფერხებულია, ხოლო საწარმოები — მძიმე მდგომარეობაშია.

„როგორც აქედან სჩანს, — სწერს კუნინგამი, — მე მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდი, რადგან არ ძალმიძს მივიღოთ რაიმე ზომები ხელფასის გაცემის უზრუნველსაყოფად, ამ ხელფასის ნაწილობრივი გასტუმრებისათვისაც კი. ამგვარად, ჩვენს წინაშეა „ლენა-გოლდფილდს"-ის კონცესიონერის ნამდვილი სახე", მრავალ საწარმოს შეგნებულად მიანებეს თავი, რათა საბ. მეურნეობას ზიანი მიაყენონ. საზოგადოების რწმუნებულებს მოულოდნელად ჩამოართვეს რწმუნებანი და მათ უკან იწვევენ. მრავალი ათი ათასი მუშის კანონიერი მოთხოვნილება ხელფასის მიცემის შესახებ, კონცესიონერის მიერ ხელმოწერილი კოლხელშეკრულების საფუძველზე, ცინიკურად დაუკმაყოფილებელი რჩება. მთავარი სამმართველოს რწმუნებული აცხადებს, რომ იგი რწმუნებული აღარ არის. მთავარი სამმართველო ლონდონში პასუხს არ იძლევა. (ადს).

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● **ჰელსინგფორსის ქალაქის თვითმართველობამ** სოციალ-დემოკრატების დახმარებით გადასწყვიტა შეამციროს დახმარება უმუშევრებს. გადაწყვეტილია აგრეთვე საზოგადოებრივ სამუშაოების შესრულება.

● **ათინაში პოლიციამ გარეკა** კომუნისტების კრება. ორივეს მხრით არიან დაჭრილნი. დააპატიმრეს ექვსი კაცი (ადს).

● **კონეგაფუს საწარმოებში** (იაპონია) გაფიცვა გრძელდება. სიტამის გუბერნიის ერთ-ერთ ფაბრიკაში პოლიცია თავს დაესხა გაფიცულ მუშებს. დაიჭრა 12 კაცი (ადს).

● **ამას წინად პრაღაში** რემედასის აღმასკომის წევრმა კრუიტმა გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მოხსენებამ დიდის წარმატებით ჩაიარა. კრუიტმა გადასწყვიტა—გაეკეთებინა ასეთივე მოხსენება მთელ ჩეხოსლოვაკიაში. მაგრამ მალე კრუიტი დააპატიმრეს. არსებული ცნობებით, კრუიტი გაძევებული იქნება ჩეხო-სლოვაკიიდან (ადს).

რევოლიუციონური მოძრაობა იაპონიაში.— 8.000 უმუშევართა დემონსტრაცია

„კომსომოლსკაია პრავდა"-ს 5 წ. თავი

მოსკოვის კომკავშირის აქტივის კრება

მოსკოვი, 24 მაისი. შესდგა მოსკოვის კომკავშირის აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა „კომსომოლსკაია პრავდა"-ს ხუთი წლის იუბილეს.

კრების საზეიმო ნაწილი გახსნა საკ. კომკავშირის ც. კ-ის მდივანმა ამხ. სალტანოვმა. საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. აბოლინმა აღნიშნა, რომ „კომსომოლსკაია პრავდა" იყო არა მარტო აგიტატორი და პროპაგანდისტი, არამედ მუშათა ახალგაზრდობის ორგანიზატორი, სოც. შეჯიბრების, დამკვრელობის და სამრეწველო - საფინანსო გეგმისათვის ბრძოლის დამწყები.

პარტიის ც. კ-ისაგან მისალმებით გამოვიდა ამხ. სტეცკი.

ამხ. კალინინის გამოჩენას კრება მქუხარე ტაშით შეხვდა. ამხ. კალინინმა აცნობა კრებას, რომ საბჭოთა კავშირის ცაკმა „კომსომოლსკაია პრავდა" დააჯილდოვა ლენინის ორდენით. (ადს).

მოსკოვის რაიონული პარტკონფერენციებზე

მოსკოვი, 24 მაისი. მოსკოვის სარაიონო პარტკონფერენციებზე დაიწყო კამათი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების ირგვლივ. ორატორებმა აღნიშნეს ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც პარტიას აქვს მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე. მე-16 პარტკონფერენციის მიერ მიღებული ხუთწლიანი გეგმის ზოგიერთი ნაწილი უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული. „არ გამართლდა მემარჯვენეთა და „მემარცხენეთა" წინასწარმეტყველება", — ამბობენ დელეგატები. მიუხედავად იმისა, რომ გადახრებთან ბრძოლაში მიღწევები გვაქვს, ჯერ კიდევ არ შეიძლება იარაღის დაყრა. საჭიროა უკლონისტების ბოლომდე მხილება".

ბაუმანის სარაიონო კონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კრუპსკაიამ**. მან სთქვა, რომ მასები კულტურულად ძალიან გაიზარდენ, რაც იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ შევსძლებთ სოციალიზმის დამყარებას. ამხ. კრუპსკაიამ კონფერენციას გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი შუა ვოლგის კოლმეურნეობებში არსებული დეფექტების შესახებ. იქ არ სწარმოებდა კოლმეურნეობათა მშენებლობის საორგანიზაციო და პრაქტიკული საკითხების ღრმა დამუშავება, რამაც დიდი გამრუდებანი გამოიწვია.

ამხ. კრუპსკაიას შემდეგ გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხაზის სისწორე კოლექტივიზაციის საქმეში, მაგრამ ადგილობრივი ორგანოების მიერ დაშვებულმა გამრუდებებმა ხელი შეუშალეს ლენინური ხაზის ცხოვრებაში გატარებას.

ანგარიშების შესახებ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუციები, რომლებიც იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზს. კონფერენციებმა შეუდგნენ მოსკოვის კომიტეტის მოხსენებათა განხილვას. (ადს).

მზადება პურის დამზადებისათვის

მოსკოვი, 24 მაისი. პურის დამზადების მომავალი კამპანიის დროს „სოიუზხლებ"-ი მხოლოდ მიიღებს პურს დამამზადებელი ორგანოებისაგან და გაუძღვება მისი შენახვის საქმეს. პურის დამზადების საქმე მთლიანად გადადის სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელში. საკავშირო ცაკმა დაადგინა — გადაეცეს „სოიუზხლებ"-ს კოოპერაციის მარცვლეულის საწყობები, ელევატორები, მსხვილი წისქვილები. „სოიუზხლებ"-ი ვალდებულია გადასცეს კოოპერაციას ის წისქვილები, რომლებიც გლეხებს ემსახურება. (ადს).

რკინისგზელთა პროფორგანოების გადარჩევა

მოსკოვი, 23 მაისი. 25 ივნისიდან 1-ლ ოქტომბრამდე რკინის გზებზე მოხდება საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების და საუბნო პროფკავშირების გადარჩევა. რკინისგზელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მუშებს, კავშირის ადგილობრივ ორგანოებს და კადრის გაზეთებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გადარჩევას უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის და იგი უნდა ჩატარდეს, როგორც დაკვრითი პოლიტიკური ამოცანა. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ რკინისგზელთა მილიონიანი არმია დაირაზმოს ბრძოლისათვის შემოდგომა - ზამთრის სატრანსპორტო, სარემონტო და მოძრავი შემადგენლობის გამოყენების დარგში მიცემულ ამოცანათა შესასრულებლად (ადს).

დაპირება შეასრულეს

დეპეშა ამხ. მოლოტოვს

მოსკოვი, 24 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. მოლოტოვის სახელზე მიიღო დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„არმავირის ოლქის ნოვოალექსანდროვის რაიონში შენი ყოფნის დროს ორგანიზაციამ პირობა მოგცა, რომ შეასრულებდა ბოლშევიკურ თესვას. რაიონის კონფერენცია, რომელიც თესვის დამთავრების შემდეგ შეიკრიბა, გიძღვნის შენ ბოლშევიკურ სალამს და გაცნობებს, რომ 1930 წლის გაზაფხულის თესვა შესრულებულია 132.000 ჰექტარის რაოდენობით, ნაცვლად 1929 წლის 94.500 ჰექტარისა. კოლექტივებში გაერთიანდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა მეურნეობათა საერთო რიცხვის 75 პროცენტი. ჩვენი მიღწევები ყველაზე უფრო ნათლად ადასტურებენ ცენტრალური კომიტეტის ხაზის სისწორეს. ორ ფრონტზე ბრძოლასა და პარტიის გენერალური ხაზის დაცვასთან ერთად, რაიონული ორგანიზაცია სიტყვას სდებს, რომ შემდგომში მტკიცედ გაატარებს პარტიის ხაზს ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულების საფუძველზე". (ადს).

მეღორეობის განვითარება

ა.-კ. კოლმეურნეობებში

მოსკოვი, 24 მაისი. საკავშირო მიწსახკომმა დაამტკიცა კოლმეურნეობებში სამრეწველო მეღორეობის ორგანიზაციის გეგმა. ამ გეგმით ამიერ - კავკასიის მეღორეობის კოლმეურნეობებში მსხვილი დედალი ჯოგი განზრახულია აყვანილ იქნას გაზაფხულზე 2,5 ათას სულამდე, ხოლო შემოდგომაზე — 6,3 ათას სულამდე (ადს).

გ ა დ ა ფ რ ე ნ ა

მოსკოვი-ხაბაროვსკი

ხაბაროვსკი, 22 მაისი. 19 მაისს 17 საათსა და 40 წუთზე ადგილობრივი დროით მფრინავი გოლოვანოვი დაეშვა ხაბაროვსკის აეროდრომზე. მანძილი მოსკოვ-ხაბაროვსკს შუა მან გაიარა 30 საათსა 45 წუთის განმავლობაში (ადს).

ინდუსტრიალიზაციის

პირველი სესხის ტირაჟი

სტალინგრადი, 22 მაისი. 20 მაისს საღამოს გაიხსნა ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის მეთერთმეტე ტირაჟი (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლკოვნიკების მთავრობის მანევრი

მოსკოვი, 24 მაისი. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტის ცნობით, პოლონეთის პრეზიდენტმა 30 დღით გადასდო სეიმის მოწვევა. როგორც ჩანს, ვერ მოხდა შეთანხმება პოლკოვნიკების მთავრობასა და „ოპოზიცია"-ს შორის.

სეიმის ნაცვლად მთავრობა ახლო ხანში მოიწვევს სამრეწველო და ფინანსიური წრეების წარმომადგენელთა თათბირს.

პოლიტიკურ წრეებში იუწყებიან, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ფართოდ დააკმაყოფილოს მოთხოვნილებები, რომლებსაც მრეწველობის სხვადასხვა დარგები აყენებენ. სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა მრეწველთა და ფინანსისტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით შემოიღებს ახალ არაპირდაპირ გადასახადებს, რომლებიც მძიმე ტვირთად დააწვება მომხმარებელთა ფართო მასებს. ამ მოხერხებული მანევრის წყალობით პოლკოვნიკთა მთავრობა პირში ბურთს სჩრის „ოპოზიციას", რადგან საფინანსო საქმეების „ოჯახურად" მოწესრიგების შემდეგ სამეურნეო წრეები აღარ მოითხოვენ სეიმის მოწვევას.

მაკდონალდის მთავრობის კრიზისი

მოსკოვი, 24 მაისი. „პრავდა"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ **ლიბერალების და მუშათა პარტიის თანამშრომლობის გეგმა, როგორც სჩანს, საბოლოოდ ჩაიშალა.** თანამშრომლობა უნდა მომხდარიყო იმის საფუძველზე, რომ მაკდონალდი გაატარებდა ლიბერალებისათვის ხელსაყრელ ახალ საარჩევნო სისტემას. არსებული საარჩევნო სისტემის რეფორმის პროექტი განხილვის შემდეგ უარჰყვეს ტრედ-უნიონების ლიდერებმა—მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა.

მაკდონალდი იძულებული გახდა საქმის ვითარება ეცნობებია ლიბერალებისათვის, რომლებმაც გადასწყვიტეს ხელი აიღონ მაკდონალდის მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე.

ლიბერალების მნიშვნელოვანი ნაწილი ისეა აღშფოთებული, რომ მოითხოვს აქტიურ ოპოზიციაში ჩადგომას „მუშათა" მთავრობის მიმართ.

მდგომარეობა იმდენად სერიოზული გახდა, რომ **ახლა აღარავინ ლაპარაკობს მაკდონალდის მთავრობის ხანგრძლივ არსებობაზე.**

„ტაიმს"-ი სთვლის, რომ ახალი არჩევნები, ალბათ, შემოდგომაზე მოხდება.

კინო-ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი

მოსკოვი, 24 მაისი. „სოვკინოს"-თან" გაიხსნა ფოტო-კინო-გაერთიანების სამმართველოს გაფართოებული თათბირი რესპუბლიკანურ ფოტო-კინო-ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

გაერთიანების თავმჯდომარემ ამხ. **რიუტინმა** აღნიშნა, რომ ფოტო-კინო-გაერთიანების ორგანიზაცია ძლიერ ნელა მიმდინარეობს.

გაერთიანებაში—„სოიუზკინო"-ში—შევა „სოვკინო" და რესპუბლიკანური კინო-გაერთიანებანი. აგრეთვე მთელი რიგი მძლავრი საწარმოო ტრესტები, რომლებიც ფოტო-ქიმიურ და კინო-აპარატურას ამზადებენ.

ამრიგად კინო-მრეწველობისათვის იქმნება მძლავრი ტექნიკური ბაზა.

საჭიროა აგრეთვე სასწრაფოდ მოეწყოს ხმოვან კინო-აპარატურის წარმოება.

მიიღება ხელისმოწერა
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ივნისისათვის
მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური

ცენტრალური საკონტროლო ორგანოების მუშაობისა და მორიგი ამოცანების შესახებ

„**მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანაა არა მარტო და არა იმდენად ის, რომ „დაიჭიროს" და „გამოამჟღავნოს"** (ეს ამოცანა ეკუთვნის სასამართლოს, რომელთანაც მუშათა და გლეხთა ინსპექციას ახლო კავშირი აქვს, მაგრამ მუშათა და გლეხთა ინსპექცია სრულიადაც არ არის იგივე, რაც სასამართლო), **რამდენადაც ის, რომ შესძლოს გამოსწორება. თავის დროზე მოხერხებულად გამოსწორება—აი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მთავარი ამოცანა**—ამბობდა ვ. ი. ლენინი, ან, როგორც ამხ. სტალინი ამბობდა,—მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა „**იყოს ბარომეტრი, რომელიც ქარიშხალსა და კარგ ამინდს უნდა აჩვენებდეს**".

ეს აზრი მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანების შესახებ, რომელიც 1921 წლის ნოემბერში გამოითქვა, ჩვენს წინაშე მდგომ დღევანდელ ამოცანებსაც მთლიანად და სავსებით შეეფერება. მაგრამ იმისათვის, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია „ბარომეტრი" იყოს, „შეეძლოს დროზე გამოსწორება",—საჭიროა მთელი რიგი წინასწარი პირობები.

ეს წინასწარი პირობებია:

1. მუშაკების—პარტიის მტკიცე წევრების, დაწინაურებული მუშებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა.

2. თვით აპარატის გადაჭრით გარდაქმნა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით და შეფარდებით.

3. აპარატის მკაფიოდ მუშაობა, ფუნქციების სასტიკად განსაზღვრა ცალკე ოპერატიულ ჯგუფებსა და ჯგუფების ოპერატიულ მუშაკთა (ინსპექტორთა) შორის.

4. ფართოდ გაშლილი მასიური მუშაობა, მუშათა და სპეციალისტთა მართლაც ფართო მასების ჩაბმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოველდღიურ მუშაობაში, მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი მათთან, ახალი დასაყრდენი ბაზების შექმნა საწარმოებში, დაწესებულებებში და სოფლად.

5. პარტიისა და მთავრობის დირექტივების და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების მასიური შემოწმება.

ამ წინასწარი პირობების გარეშე მუშ. და გლეხ. ინსპექცია ვერ იქნება ბარომეტრი, ვერ მოგვცემს ნიშანს, ვერ გაგვაფრთხილებს ჩვენი მშენებლობის ამა თუ იმ დარგში მომხდარი ჩამორჩენის შესახებ, წინდაწინ ვერ ალკვეთავს ყოველგვარ უმსგავსოებას და სხვ.

როგორც არ უნდა შევაფასოთ ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა საანგარიშო წელს, ჩვენ უეჭველად სერიოზული მიღწევები გვაქვს წარსულთან შედარებით, თუმცა უნაკლოდ ვერც აპარატი და ვერც ამ აპარატის პროდუქცია ვერ ჩაითვლება. მეტიც, თავის მოტყუება იქნება, რომ ვთქვათ, რომ უახლოეს მომავალში მოვახერხებთ დავსლიოთ ყველა ის დეფექტი, რომლებიც ჩვენ უეჭველად გვაქვს. და აქ ჩვენ გვეღობება მუშაკთა შერჩევის საკითხი. „მთავარი, ჩემის აზრით,—სწერდა ვ. ი. ლენინი—ის არის, რომ **დეკრეტებისა და ბრძანებების წერიდან** (აქ ჩვენ იმდენ სისულელეს ჩავდივართ, რომ იდიოტობამდე მივდივართ) **სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ მუშაკთა შერჩევისა და შესრულების შემოწმების საქმეზე. ეს არის მთავარი საქმე**". სწორედ მუშაკთა შერჩევა (თუმცა ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს გასულ წელს) გვეღობება ჩვენს წინაშე მდგომი ყველა ამოცანების გადაჭრის დროს. რომ ეს გარემოება უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ჩვენს მუშაობაში, ამას მოწმობს ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის არასაკმაოდ მკაფიო მუშაობა, პასუხისმგებელ შემსრულებელთა პრინციპის არა მთლიანად განხორციელება. ჩვენ დღემდე ჯერ კიდევ ყოველთვის ვერ ვაღწევთ „**ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაწესებას იმისათვის, რაც კეთდება**" (ლენინი).

ამიტომ ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატშიაც კი ჩვენ ზოგჯერ ვხედავთ საქმის აშკარა გაჭიანურებას, მაგრამ იმის თქმა, რომ პასუხისმგებლობა მუშაკთა ცუდი, არასაკმაო და არანაყოფიერი შერჩევისათვის მხოლოდ ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და მუშათა და გლეხთა ინსპექციას ეკისრება, შეცდომა იქნება, ვინაიდან ჩვენ დღემდე ვერ მოგვიხერხებია მივიღოთ მთელი რიგი ძირითადი მუშაკები ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, დღემდე ვერ მოგვიხერხებია ადგილობრივ (საოლქო და სამაზრო) საკონტროლო კომისიების და მუშგლეხინების მუშაობის გაშლა, იმის გამო, რომ პარტორგანიზაციები მუშაკთა სათანადო კადრს არ იძლევიან. ეს მოწმობს იმას, რომ პარტორგანიზაციები სათანადოთ ვერ აფასებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის უეჭველად გადიდებულ როლს. ამავე დროს კი საკონტროლო კომისია და მუშგლეხინისათვის მუშაკების შერჩევა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა.

მეორეს მხრივ, მუშაობის ის ფორმები და მეთოდები, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობდით და ზოგჯერ დღემდე ვსარგებლობთ ჩვენს მუშაობაში, თვალსაჩინოდ მოძველდა. რეკონსტრუქციის პერიოდი გვიყენებს სხვა მოთხოვნებს; მოითხოვს მუშათა და სპეციალისტთა უაღრესად ფართოდ ჩაბმას ყოველდღიურ მუშაობაში, იმის მიღწევას, რომ ისინი მუშგლეხინის მეშვეობით იძლეოდნენ ნიშანს მშენებლობის ცალკე დეფექტების შესახებ და სხვ. ამ მხრივ პირველად მიმდინარე წელს ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევები: არ მომხდარა არც ერთი, ცოტად თუ ბევრად სერიოზული ხასიათის გამოკვლევა, რომელშიაც მონაწილეობა არ მიეღო რამდენიმე ათეულ და, ძალიან ხშირად, რამდენიმე ასეულ მუშას, გლეხს, მოსამსახურესა და სპეციალისტს. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ყოველ შემთხვევაში სერიოზული საფუძველი დაედო მუშათა და გლეხთა ინსპექციის გადასვლას მასიური მუშაობის ლიანდაგზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგჯერ მასების ჩაბმას წინააღმდეგობას უწევს მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატის ზოგიერთ მუშაკთა წრეებში იმ „საპატიო" ხაზებით, რომ დავალება ვადაზე უნდა შესრულდეს, მასები ხელს უშლიან მუშაობის ტემპსა და სხვ.

სერიოზულ დეფექტს ჩვენს მუშაობაში წარმოადგენს ჯერ კიდევ გადაჭარბებულად თავის შეზღუდვა გეგმიანი მუშაობით. ეჭვს გარეშეა, რომ, როგორც ყველა სხვა ორგანო, მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა მუშაობდეს გეგმიანად და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე. ეს სწორია, მაგრამ სწორია ისიც, რომ ყურადღების არ მიქცევა იმ სერიოზული საკითხებისათვის, რომლებსაც ცხოვრება აყენებს და რომლებიც არავითარ გეგმაში გათვალისწინებული არაა, ნიშნავს მოვლენების უკან ჩანჩალს. საანგარიშო წელმა დაგვარწმუნა, რომ მუშაობის დასახული გეგმა სანახევროდ შესრულებული არ იქნება, ვინაიდან ბევრი საკითხი მოძველდა და საჭირო გახდა მათი უკუგდება, ცხოვრება აყენებს უფრო აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ასე თუ ისე უნდა გადაიჭრას. ამიტომ ჩვენი ამოცანაა გარდავქმნათ ოპერატიულ ჯგუფების მუშაობა სოციალიზმის სწრაფი განვითარების მოთხოვნებთან შეფარდებით. ხოლო წლიური მუშაობის გეგმა შევადგინოთ იმ ძირითადი საკითხების მინიმუმით, (ან მხოლოდ ექვსთვიანი გეგმების შედგენით დავკმაყოფილდეთ), რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო სამეურნეო ცხოვრებისათვის (საამშენებლო სეზონისათვის მომზადება, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება, საბიუჯეტო კამპანია, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, საექსპორტო გეგმის შესრულება, თესვის კამპანია, პურის დამზადება, სამინდო გადასახადი, კონტრაქტაცია, მსხვილი ობიექტების კაპიტალური მშენებლობა და სხვ.).

ვ. ი. ლენინს მრავალჯერ მიუქცევია ყურადღება შესრულების შემოწმებისათვის. ერთ-ერთ თავის წერილში იგი ამბობდა, რომ მთავარი საქმეა „**შესრულების შემოწმება**", იმის შემოწმება, თუ სინამდვილეში რა გამოდის, როგორ ხდება დადგენილების რეალიზაცია, როგორ გამოძახილს პოულობს შესასრულებელი დადგენილება და სხვ. საკავშ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექცია თავიანთ სადირექტივო მითითებებში მოითხოვდნენ, რომ საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი ყოფილიყო პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეზე. ამ მხრივ ჩვენ სერიოზული, მაგრამ სრულიად არასაკმაო გარდატეხები გვაქვს. ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ოპერატიულ ჯგუფებს შეეძლოთ მხოლოდ მცირე დრო დაეთმოთ ამ საკითხისათვის, ხოლო შემოწმებისა და კონტროლის სპეციალური ჯგუფი სულ ბოლო დროს შეიქმნა. უნდა ვიფიქროთ, რომ საორგანიზაციო განყოფილების შემადგენლობაში ამ ჯგუფის საგეგმო-საკონტროლო ბიუროს გამოყოფით და მთელი რიგი წვრილმანი საქმეებისაგან (რომლებსაც მეტად დიდი დრო სჭირდებოდა) განტვირთვის შემდეგ, ადგილობრივი საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების შექმნასთან, ქალაქის და სოფლის საბჭოებთან მუშგლეხინის სექციების მუშაობის გაცხოველებასთან დაკავშირებით, ეს მუშაობა უფრო სისტემატიურ ხასიათს მიიღებს, საშუალებას მოგვცემს მეტი საკითხები დავამუშაოთ და სხვ. შესრულების შემოწმებისათვის წარმოებული მუშაობის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ბევრი ჩვენი საუცხოვო დადგენილება ქაღალდზე რჩება. მაგრამ მარტო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ძალებით ამ მუშაობის მოგვარება ძნელი იქნება, თუ ამ მუშაობაში არ ჩავაბით საზოგადოებრივი ორგანიზაციები (ეკონომკომისიები, ფაბქარხადგილკომები, სადუქნო კომისიები და სხვ.).

აქ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მუშების შეფობას დაწესებულებებზე. სახელმწიფო აპარატის მიმართ ორგანიზაციული პროლეტარული კონტროლის ამ ახალ ფორმას, რომელიც სახელმწიფო აპარატის წმენდასთან დაკავშირებით წარმოიშვა, შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ შეფობის იდეამ დღემდე (თუმცა ეს საკვირველია) საკმაო დახმარება ვერ ჰპოვა ვერც პროფკავშირულ და ვერც პარტიულ ორგანიზაციებში. ეს იდეა დღემდე უყურადღებოდ მიტოვებულია ჩვენი ორგანოების მიერ. ამავე დროს კი, დაწესებულებებზე მუშების მიერ შეფობის აღებაში უნდა ვხედავდეთ სახელმწიფო მოსამსახურეთა არჩევისა და შეცვლის წესის იმ ჩანასახს, რაზედაც ჯერ კიდევ 1917 წელს სწერდა ვ. ი. ლენინი.

აღნიშნული ორგანოები კიდევ უფრო შეუწყნარებელ დამოკიდებულებას იჩენენ სახელმწიფო აპარატის წმენდისადმი. ხელმძღვანელი პარტორგანოების სადირექტივო წერილებში არაერთხელ იყო აღნიშნული იმის საჭიროება, რომ პარტორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო საბ., სამეურნეო და კოოპ. აპარატის წმენდის ამოცანები, მიუხედავად ამისა, საჭირო გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ეს არის მხოლოდ არასაკმაოდ შეფასება ბიუროკრატიულ დამახინჯებებისა, რომლებიც სახალხო-სამეურნეო ორგანიზმიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნის პირობებში აქა-იქ ლებულობენ საბოტაჟის, ჩვენი ღონისძიებების ჩაშლის, ხოლო ზოგან მავნებლობის ფორმას.

ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სისუსტეს წარმოადგენს ის, რომ **მან ვერ მიაღწია** გარდატეხას, პასუხისგებაში ვერ მისცა დამნაშავენი ასეთი შეუწყნარებელი დამოკიდებულებისათვის პარტიისა და პროლეტარულ სახელმწიფოს უდიდეს ამოცანისადმი. ბუნებრივია, რომ წმენდისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო ჩვენ გვქონდა მრავალი შეცდომა. ეს შეცდომები აუცილებელი იყო, თუ, განსაკუთრებით, მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ როგორც მოსამსახურენი, ისე ზოგიერთ დაწესებულებათა უჯრედები სდუმდნენ და კომისიებისათვის დახმარების გაწევის ნაცვლად შეცდომაში შეჰყავდათ ისინი, ზოგიერთი ხელმძღვანელნი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ ბოროტი ბიუროკრატების ან სოციალურად უცხო ელემენტების მოხსნას იმის გამო, რომ ვითომ მათი „შეცვლა შეუძლებელი იყო" და სხვ. უნდა ითქვას, რომ ეს არგუმენტი—„შეცვლა არ შეიძლება"-ო მოჰყავდათ ყველა იმათ დასაცავად, ვინც მოხსნილ იქნა ამა თუ იმ კატეგორიით. პარტორგანიზაციებს (პირველ ყოვლისა უჯრედებს), რომ ამისათვის სერიოზული ყურადღება მიექციათ, განა ასეთ მოვლენებს ადგილი ექნებოდა?

ბიუროკრატიზმთან (რომელიც ჩვენი ძირითადი ბოროტებაა) აპარატის წმენდის მეთოდებით ბრძოლის გარდა, ჩვენ გვაქვს მრავალი სხვა შესაძლებლობა ბიუროკრატებისა, საქმის გამჭიანურებლებისა და მათი დამხმარეების პასუხისგებაში მისაცემად. მაგრამ ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ისინი სასჯაროდ (ან რაიმე სხვა წესით) გაგვესამართლებია. ის რაციონალიზატორული ღონისძიებანი, რომლებსაც ჩვენს სახელმწიფო აპარატში ვანხორციელებთ—ზედმეტი საფეხურების შემცირება, განმარტივება, პასუხსმგებელ შემსრულებელთა სისტემის შემოღება და სხვ. — არარაობად იქცევა, თუ ჩვენ საქმით და არა სიტყვით არ გამოუცხადებთ გადამჭრელ ბრძოლას ამ უდიდესი ბოროტების მატარებელთ. ვ. ლენინი 1921 წელს მოითხოვდა ფაულერის სისტ. გუთნების წარმოების უმსგავსოდ გაჭიანურებისათვის (ეს საქმე 1920 წ. მაისიდან 1921 წლის დეკემბრამდე გრძელდებოდა) პასუხისგებაში მიეცათ დიდი პასუხისმგებელი მუშაკები (მათ შორის მ. ა. ლომოვი). როდესაც ამ მუშაკების დასაცავად ამხ. ბოგდანოვი (ს.მ.უ. საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე) და ამხ. ოსინსკი გამოვიდნენ, ლენინი პირდაპირ ცეცხლსა ჰყრიდა. აი რას სწერდა ლენინი ამხ. ბოგდანოვს: „არ უნდა გვეშინოდეს სასამართლოსი (ჩვენში პროლეტარული სასამართლოა) და საჯაროდ გამოყვანის, არამედ საქმის გამჭიანურებელნი საჯაროდ უნდა გავასამართლოთ: მხოლოდ ასე აღმოვფხვრით ამ სენს.

თქვენი საბუთია: განსაკუთრებით კარგი, ერთგული, დასაფასებელი მუშაკები არიანო. დავუშვათ, რომ ეს მართალია, რომ თქვენ „საუწყებო გატაცებას" არ იჩენთ. რა გამოდის აქედან? მხოლოდ ის, რომ სასამართლო, თუ იგი, თქვენ ამაში დაგეთანხმებათ, გამოიტანს გადაწყვეტილებას: დამნაშავენი არიან საქმის გაჭიანურების აღმოუფხვრელობაში და უთაოდარიგობაში. მაგრამ სასამართლო, იღებს რა მხედველობაში მათ განსაკუთრებულ ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რაც სავსებით დამტკიცებულია მთელი რიგი მოწმეების ჩვენებით, განსაკუთრებულ კეთილსინდისიერებასა და გულმოდგინებას, რაც აგრეთვე სავსებით დამტკიცებულია, იღებს რა მხედველობაში ს.მ.უ. საბჭოს მექანიზმის საერთო დეფექტებს, რომლებიც ნაწილობრივ დაკავშირებულნი არიან პრეზიდიუმის შეცვლასთან და სხვ... ანთავისუფლებს მათ ყოველგვარი სასჯელისაგან იმ რწმენით, რომ ბრალდებულნი ისევე, როგორც ს.მ.უ. საბჭოს მთელი პრეზიდიუმი, სერიოზულად მიიღებენ ამას მხედველობაში.

თუ გამოტანილი იქნება დაახლოებით ასეთი გადაწყვეტილება, განა შეგიძლიათ თქვენ უარჰყოთ მისი სარგებლიანობა? ამას ათასჯერ მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე საქმის საზიზღრად გაჭიანურების მალულად, პარტიულად, ცეკისტურ-იდიოტურად მიფუჩეჩებას. თქვენ პრინციპიალურად მართალი არა ხართ. ჩვენ არ გვეხერხება საჯაროდ გავასამართლოთ საქმის საზიზღრად გამჭიანურებელნი. ამისათვის ყველა ჩვენ და განსაკუთრებით იუსტიციის სახალხო კომისარიატი მყრალი თოკებით უნდა ჩამოგვკიდონ".

ჩვენ დღემდეც ვერ ვისწავლეთ ბიუროკრატიზმისათვის, საქმის გაჭიანურებისათვის და სხვ. უმსგავსოებისათვის სამართალში მიცემა. ბოლოს და ბოლოს დროა ვისწავლოთ ეს საქმე და სერიოზულად, ლენინურად მოვკიდოთ ხელი ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებას.

განა საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას არ ჰქონია შემთხვევა შეხვედროდა ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების განსაცვიფრებელ ფაქტებს? უთუოდ ჰქონდა და ზოგიერთი ვინმე კიდევაც მისცა სამართალში, მაგრამ ვინაიდან საქმე ბიუროკრატიზმის შესახებ სასამართლო ორგანოებში ბიუროკრატიულად მიმდინარეობს, აქედან არაფერი არ გამოვიდა. მაგალითად, ერთ-ერთი საამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელის და ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელის საჯაროდ გასამართლებას (ორივე საქმე დიდი ხანი გადაეცა სასამართლოს) უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნებოდა.

იმავე წერილში ლენინი ამბობს: „რატომ არ შეიძლება გამოტანილ იქნას დაახლოებით ასეთი ტიპის განაჩენი? ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ საქმის გაჭიანურებისათვის დამნაშავეთა საჯაროდ გასამართლებას და ამ შემთხვევაში ბრალდებულთა იშვიათი კეთილსინდისიერების გამო, ულმობიერესი განაჩენი გამოგვაქვს და თან ვიძლევით გაფრთხილებას, რომ მომავალში საქმის გაჭიანურებისათვის დავსჯით „წმინდა", მაგრამ უმოძრაო რეგვენებსაც (სასამართლო, ალბად, უფრო თავაზიან გამოთქმას იხმარს), ვინაიდან ჩვენ რუსეთის ს.ფს. რესპუბლიკაში გვესაჭიროება არა „წმინდანობა", არამედ საქმის გაძღოლის უნარი. ამიტომ, თუ ლომოვსა და სტიუნკელს „სიწმინდისათვის" ამ შემთხვევაში სასჯელისაგან ვანთავისუფლებთ, სამაგიეროთ უნკსოვს... რომელიც ვალდებული იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის წარედგინა ანგარიშები და არ შეასრულა ეს, ერთი კვირით ვაპატიმრებთ, ხოლო ილინს... და ამ ქარხნის მთელ ფაბკომს და სათანადო პროფკავშირის გამგეობის მთელ შემადგენლობას და ამა თუ იმ ქარხნის ან ასეთი ქარხნების კომუჯრედის მთელ შემადგენლობას ვაცხადებთ დამნაშავედ საქმის გაჭიანურებაში, უმოძრაობაში, ბიუროკრატიზმისადმი ლმობიერებაში და ვუცხადებთ სასტიკ საყვედურს და საზოგადოებრივ გაკიცხვას გაფრთხილებით, რომ მხოლოდ პირველად ვსჯით ასე მსუბუქად, შემდეგში კი ამისათვის პროფკავშირულ და კომუნისტურ არამზადებს (სასამართლო, ალბად, უფრო რბილად იტყვის) ულმობელად დავსჯით". აი, როგორ აყენებდა ლენინი ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხს. არ შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია თავის მუშაობაში ვ. ი. ლენინის რჩევას იცავდეს. ეს დეფექტი უნდა აღმოვფხვრათ.

მიმდინარე წელი, არაჩვეულებრივი წელი იყო. აპარატის წმენდის გარდა, რომელიც ამჟამად არანორმალურ პირობებში მიმდინარეობს, პარტორგანიზაციებისა და პროფკავშირების დახმარების გარეშე, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ჩაატარა უაღრესად სერიოზული მუშაობა პარტიის რიგების გაწმენდისათვის გახრწნილ, უცხო, მიტმასწილ და სოციალისტური მშენებლობის ხელის შემშლელ ელემენტებისაგან, გადასჭრა მთელი რიგი უაღრესად სერიოზული საკითხები მთელი რიგი ორგანიზაციების (აჭარისტანი, სამხრეთ-ოსეთი და სხვ.) გასაჯანსაღებლად, აწარმოებდა ბრძოლას ლენინური რიგების სიწმინდისათვის ტროცკისტული რეციდივებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტული ქანაობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას უშედეგოთ არ ჩაუვლია. მთელი რიგი ყოფილი ტროცკისტების დაბრუნება პარტიის რიგებში ამისი უეჭველი დამამტკიცებელი საბუთია.

პარტიის წმენდის შემდეგ ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყურადღების ცენტრში იდგა ბრძოლა ყოველგვარ გამრუდებებთან კოლმეურნეობათა მშენებლობაში. კოლმეურნეობათა მშენებლობაში მომხდარ მთელ რიგ გამრუდებებს, ადმინისტრატიული ზეგავლენის ფაქტებს საკმაო პასუხი გაეცა როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ხაზით.

მაგრამ იმის თქმა, რომ ჩვენ მთლიანად გავუსწორდით გამმრუდებლებს, ჯერ კიდევ არ შეიძლება, ვინაიდან ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამოუყალიბებელნი არ არიან ადგილობრივი საკონტროლო კომისიები (ცენტრალური აპარატი ისე ფართო არ არის, რომ მთელ საქართველოს ფარგლებს გასწვდეს), ხოლო მეორეს მხრივ, ცენტრალური საკონტროლო კომისია ზოგიერთი ორგანიზაციების (ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისის ოლქი და სხვ.) მაგალითის მიხედვით იძულებული იყო აღენიშნა, რომ ეს ორგანიზაციები სათანადოთ ვერ უწევდნენ ანგარიშს იმას, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს თავის დროზე გამოხმაურებას ყოველგვარ გამრუდებასა და უმსგავსოებაზე. ეს შეცდომა თანაბრად მიუძღვის პარტორგანოებსაც და საკონტროლო კომისიასა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასაც.

გამრუდებებთან ბრძოლამ და დაშვებული შეცდომების გამოსწორების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიის რიგები გაიწმინდა იმ ელემენტებისაგან, რომელნიც ხელს უშლიან სოფლის სოციალისტურ გარდაქმნას, განსაკუთრებით სოფლის სექტორში ჯერ კიდევ დარჩა კოლმეურნეობების მოწინააღმდეგეთა შედარებით დიდი რიცხვი, რომლებსაც დეკემბერ-იანვრამდე, ე. ი. ფართო საკოლმეურნეო მოძრაობამდე, არაფრით არ გამოუჩენიათ თავი, ხოლო შეცდომების და გამრუდებათა დაშვების შემდეგ ისინი შეუდგნენ პარტიის ხელმძღვანელობისათვის სახელის გატეხას და სპეკულიაციას იმით, რომ თითქოს ისინი გაფრთხილებას იძლეოდნენ ამ მოსალოდნელ გამრუდებათა შესახებ.

ძნელი გასაგები არ არის, რომ ეს პირები წყალს უშვებენ ჩვენს მოწინააღმდეგეთა წისქვილზე და მათ წინააღმდეგ გამოცხადებული უნდა იქნას (როგორც ამჟამად ხდება) გადამჭრელი ბრძოლა. სწორედ ამჟამად, საკოლმეურნეო მოძრაობაში მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების პერიოდში, საჭიროა სასტიკი ბრძოლა ამ მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ, რათა დაშვებული არ იქნას საერთოდ ორგანიზაციისა და გლეხობის დეზორიენტაცია.

ამიტომ ჩვენი ამოცანაა ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა, შეცდომების გადაჭრით გამოსწორება, ბრძოლა გამრუდებებისა და მემარცხენე გადახვევათა წინააღმდეგ, რომელნიც ჰკვებავენ მემარჯვენე ოპორტუნიზმს, გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც მთავარ საფრთხეთ რჩება. ეს წარმოადგენს ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობის გარანტიას, ამ ამოცანას უნდა მოვახმაროთ მთელი ჩვენი ენერგია და გამარჯვებისაკენ მისწრაფება.

გ. დევდარიანი.

პარტგანათლების მდგომარეობა და ამოცანები

საქართველოს კომპარტია თავის მე-7 ყრილობაზე მიდის დიდი მიღწევებით იდეოლოგიურ ფრონტზე. უაღრესად საპატიო ადგილი პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში უჭირავს პარტგანათლებას. პარტიული მასის იდეურ-პოლიტიკურ ზრდის საქმეში პარტგანათლების ხვედრითი წონა თვალსაჩინოდ გაიზარდა. კერძოთ 1929-30 წ. პარტგანათლების ქსელის რაოდენობითი და ხარისხობრივი ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ ძალზე გაიზარდა პარტიულ მასის მოთხოვნილება და ინტერესი პარტიის პოლიტიკის საფუძვლების ღრმა და სერიოზულ შესწავლისათვის. ლტოლვა პოლიტიკურ ცოდნისაკენ გაიზარდა უპარტიო მუშათა მასაშიც, ხოლო განსაკუთრებით მუშათა აქტივში აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გაძლიერდა პარტიული და პროფკავშირის ორგანიზაციების ყურადღება და ხელმძღვანელობა მასიურ პოლიტიკურ განათლებაზე.

ამ გარდატეხას, როგორც საყოველთაოდ ცნობილია განსაზღვრავს რეკონსტრუქციის პერიოდის პირობები, ამოცანები და მოთხოვნილებანი. საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, სოციალისტურ - მშენებლობის უდიდეს ამოცანების სირთულე, სოციალისტურ შეტევის შედეგათ კლასთა ბრძოლის გაწვავება ჩვენს ქვეყანაში, ამ შეტევასთან დაკავშირებული სიძნელენი ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, პარტიის შიგნით მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებთან და მათთან შემარიგებლობასთან ბრძოლა, მოითხოვს ყოველ კომუნისტისაგან პოლიტიკურ შეგნებას და სიმწიფეს, ძირითად სოციალ-პოლიტიკურ ამბების და პარტიის პოლიტიკის საფუძვლების სრულ და სისწორით გაგებას.

არა მარტო პარტაქტივს, არამედ პარტიის რიგის წევრის იდეურ - პოლიტიკური მომზადების დონე იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ მან შესძლოს თანამედროვე რთულ პერიოდში სოციალიზმისათვის მებრძოლის მოწინავე როლის შესრულება. კომუნისტი კი წინამძღოლია მასების, აგიტატორი და ორგანიზატორი, რომელმაც მუდამ და ყოველთვის კომუნისტური შეგნებულება და დარაზმულობა უნდა შეიტანოს მუშათა და მშრომელი გლეხობის ფართო მასებში. ძირითად პარტიულ მასას უეჭველად შეგნებული აქვს კომუნისტის ეს უდიდესი მოვალეობანი, და სწორეთ ამით აიხსნება, მათი ძლიერი ლტოლვა პარტიულ განათლებისაკენ.

პარტგანათლების გაშლას და ამ მიმართებით პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაძლიერებას ხელს უწყობდა პარტიის მტკიცე კურსი შინაპარტიული დემოკრატიის და თვითკრიტიკის გაშლა - განვითარებაზე. სოციალიზმის შენების ურთულესი ამოცანები მოითხოვენ პარტიის აბსოლიუტური იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მთლიანობას, მთელი პარტიული მასის უაქტივეს და შეგნებულ მონაწილეობას პარტიის ძირითად საკითხების გადაჭრაში პროლეტარული დემოკრატიზმის პრინციპების საფუძველზე. ყოველივე ეს პარტიის ყურადღების ცენტრში აყენებდა თავის წევრთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობის გაძლიერებას. უკანასკნელ წლებში პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობა აგრეთვე მწვავედ დაისვა პარტიის დიდი ზრდის გამო მუშათა კლასის მოწინავე ფენების ხარჯზე, პარტიის ახალ წევრთა ლენინური აღზრდა, მათი ბოლშევიზაცია პარტიულ - პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად ითხოვდა ახლად მიღებულ წევრთა იდეურ-კულტურულ დონის ამაღლებას. მათი ბოლშევიზმის და პარტიის გენერალური ხაზის ძირითადი საფუძვლების ცოდნით შეიარაღებას.

საქართველოს კომპარტიამ პარტიული მასების ლენინურ აღზრდის საქმეში საგულისხმო წარმატებას მიაღწია. ამ მიმართულებით რა თქმა უნდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკუთვნის პარტიის გენერალური ხაზის სისწორეს, მის შეუპოვარ და შეუბრალებელ ბრძოლას ოპორტუნიზმთან. საქ. კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი პოლიტიკური სკოლა გაიარა მენშევიზმთან, უკლონიზმთან, კონტრრევოლიუციონურ ტროცკიზმთან და მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრებთან და მათდამი შემარიგებლობასთან ბრძოლაში. მიუხედავად ამისა პარტიული განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიის წევრთა შორის იდეური სიმტკიცის გაძლიერებისათვის.

საქ. კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობამ გაითვალისწინა რა პარტგანათლების პოლიტიკური მნიშვნელობა შემდეგი დირექტივა მოგვცა: „**რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეთა გადალახვა მოითხოვს ორგანიზაციის იდეურ - პოლიტიკურ დონის აწევას, პარტგანათლების ქსელისა და სისტემის სათანადო გარდაქმნის საშუალებით, და პირველ რიგში აქტივის კადრების კულტურულ - პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამ მიზნით გაუმჯობესდეს პარტგანათლების მუშაობის ხარისხი, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულების ოპორტუნისტული შინაარსის ახსნა - განმარტებას, აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის ბუნების გამოაშკარავებას**".

მიმდინარე წელს პარტორგანიზაციების მუშაობა ვითარდებოდა ამ დირექტივის შესრულების მიმართებით.

პარტგანათლების რიცხობრივ ზრდას ახასიათებს შემდეგი ცნობები:

სამოსწავლო ერთეულთა რიცხვი.	მსმენელ. საერთო რიცხვი.	კ. პ. (ბ) წევრი და კანდ.	ა. ლ. კ. კ წევრი.	უპარტიო.
1928—29 სამ. წ.—958	26.377	10.307	8.829	7.102
1929—30 „ „ 1.181	33.446	15.062	9.122	8.713

ამრიგათ, წელს პარტქსელში მოზიდული არის დაახლოვებით, საქ. კომპარტიის წევრკანდიდატთა 50 პროც.

მსმენელთა სოციალური შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: მუშები — 38 პროც. მოჯამაგირე და სოფ. მუშები 2 პროც., გლეხები — 27 პროც., მოსამსახურეები — 33 პროც.

საგრძნობლად გაიზარდა ქალთა სადელეგატო ქსელიც. 1928-29 წ. იყო 441. სადელეგატო პუნქტი, რომელიც აერთიანებდა 12.359 დელეგატ-ქალებს, 1929-30 წელს 582 პროცენტ. (მათ შორის 69 კოლმეურნეობებში) 16.800 დელეგატ-ქალებით. მიმდინარე წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა პარტგანათლების თვისობრივი მხარე და საკმაოდ გაიზარდა პარტგანათლების საშუალო რგოლები. თუ 1928-29 წელს იყო 51 საღამოს საბ. პარტსკოლა 1041 მსმენელით, მიმდინარე წელს არის 77 სკოლა 2427 მსმენელით.

მარქსიზმის წრეებში 1928-29 წ. სწავლობდა 8651 კაცი, ხოლო წელს 10.538, პარტსწავლების შინაარსი ნაწილობრივ გაუმჯობესდა. ყველა პარტსკოლები და წრეები გადავიდა სწავლის აქტიურ მეკავშირდა პარტიის მიმდინარე და მორიგი ამოცანების ახსნაგანმარტებას. განსაზღვრულ დრო ეთმობოდა პარტიის ძირითად დადგენილებათა და მნიშვნელოვან სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხების დამუშავებას, შედარებით გაუმჯობესდა მეთოდიური ხელმძღვანელობა (მეთოდწერილები, ინსტრუქციები, თათბირები და სხვ.).

განსაკუთრებით დამუშავებულ იქნა მთელ პარტგანათლების ქსელში მემარჯვენე და „მემარცხენე" გადახრების შინაარსი და ამ გადახრებთან ბრძოლის საკითხები. გაიზარდა პარტპროპაგანდისტთა კადრები ფასიან სოფლის პროპაგანდისტთა რიცხვი გაიზარდა 60-80-მდე, საერთოდ პროპაგანდისტთა რიცხვი 27,5 პროც.-ით აღსანიშნავია მუშა პროპაგანდისტების კადრის სუსტი ზრდა. მაგალითად თბილისში მომუშავე 377 პროპაგანდისტთა შორის ირიცხება მხოლოდ 12 დაზგის მუშაპროპაგანდისტი.

ჩვენ პარტგანათლებას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახლავს. უნდა აღინიშნოს შემდეგი მთავარი ნაკლოვანებანი: პირველი, სკოლების და წრეების მეცადინეობა არ არის დაკავშირებული საწარმოს, საბჭოთა მამულის, კოლმეურნეობის და სოფლის მასიურ მუშაობასთან, პარტგანათლების შინაარსი ხშირად არ არის დაკავშირებული ადგილობრივი სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებთან, არ სწარმოებს საერთო პარტიულ - პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანების ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით შესწავლა და განხილვა, ამიტომ პარტგანათლების ქსელი ვერ ამზადებს მსმენელს მასიურ მუშაობაში პრაქტიკულ მონაწილეობისათვის, არ ეწყობა მსმენელთა პრაქტიკული მუშაობის ორგანიზაცია ამა თუ იმ მასიურ მუშაობის დარგში (კომუჯრედის ბიუროების და ქარხკომების გადარჩევა, სასოფლო - სამეურნეო კამპანია, სოცშეჯიბრი, კულტმუშაობა და სხვ.).

მეორე — პროპაგანდისტთა კადრების სუსტი პროპაგანდისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის მომზადება, განსაკუთრებით სოფლად, არა საკმარისი მეთოდიური კვალიფიკაცია, მუშა პროპაგანდისტთა კადრების აღზრდის და დაწინაურების მეტად სუსტი ტემპი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძველ კომუნისტების, პასუხისმგებელ მუშაკების მცირე რიცხვი პროპაგანდისტთა შემადგენლობაში. პარტორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გამოცდილ და საკმაოდ მომზადებულ პარტიულ კადრების მოზიდვა. პროპაგანდისტულ სამუშაოზე.

მესამე მეთოდიური ხელმძღვანელობის სისუსტე, ხშირად მისი სრული უქონლობა, პარტკომების ყურადღება უმთავრესად შემოფარგლულია ორგანიზაციული ხელმძღვანელობით (მოსამზადებელი კამპანია, ქსელის გაშლა, პროპაგანდისტთა განაწილება და სხვ.) კომუჯრედები კი თითქმის არავითარ ხელმძღვანელობას, ზოგან მონაწილეობასაც კი არ ღებულობენ პარტსკოლების და წრეების მუშაობაში.

მეოთხე — პარტგანათლების ქსელის სუსტი რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა სოფლად. პარტსწავლებაში სასოფლო - სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეების და გლეხი-ქალების მეტად ნაკლები მონაწილეობა.

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა პრაქტიკის თეორეტიულ მომზადების საქმე, ვინაიდან პარტიის რთული ამოცანების და მასების უაღრესი აქტივობის თანამედროვე პერიოდი, აქტივისტისაგან მოითხოვს სავსებით ნათელ იდეურ პოლიტიკურ თვალთახედვას. 1929-30 წ. პარტაქტივის მოკლე ვადიანი კურსები დაამთავრა 350 კაცმა ამიერკავკასიის დაუსწრებელ კომუნივერსიტეტში სწავლობს 150 კაცი, — სვერდლოვის დაუსწრებელ უნივერსიტეტში — 50 კაცი, რადიოს დაუსწრებელ კომუნივერსიტეტში — 250 კაცი. ს. ს. რ. კ. სხვადასხვა კომუნივერსიტეტებში გაგზავნილია 80 კაცი. ზაფხულის პერიოდში მოეწყობა შემდეგი კურსები: მუშა-პროპაგანდისტების 60 კაცისათვის, ქალთა-ორგანიზატორების 50 კაცისათვის, პარტაქტივის სარაიონო კურსები ყველგან და სხვ. მთავარ ადგილს იჭერს დაუსწრებელი სწავლება თანახმად საქ. ცეკას დირექტივებისა, მაგრამ უნდა აღინიშნოს პარტაქტივის თეორეტიული განათლების საერთოდ სუსტი დაყენება. წელს არ იყო მოწყობილი სპეციალური წრეები მარქსის, ლენინის და სტალინის ნაწერების შესწავლისათვის. არ ტარდებოდა ლექციების სისტემატიური კითხვა ლენინიზმის ძირითად პრობლემებზე, არ გაშლილა აგიტკოლექტივების ქსელი და სხვ.

გასულ პეროდში გაიზარდა საბ. პარტსკოლების როლი აქტივის მომზადების საქმეში. 1929-30 წ. საქართველოში მოქმედობს 6 საბჭოთა პარტსკოლა, ამათგან პირველი საფეხურის 3 სკოლა არსებობს ავტონომიურ რესპუბლიკებში: (1 აჭარისტანში, 1 აფხაზეთში, 1 ოსეთში). ხოლო მე-2 საფეხურის თბილისში, ქუთაისში და კახეთში. ყველა პარტსკოლებში ირიცხება 545 კაცი. წელს ჩატარებულ იქნა მე-2 საფეხურის პარტსკოლების დარაიონება შემდეგნაირად: თბილისის პარტსკოლა ამზადებს პარტმუშაკებს, ქუთაისის — პროპაგანდისტებს და პოლიტგანის მუშაკებს, კახეთის კოლმეურნეობათა და კოოპერაციის მუშაკებს.

ასეთია დაახლოვებით ჩვენი პარტგანათლების ქსელი დღეს. ჩვენ ზევით მოვიყვანეთ პარტგანათლების ძირითადი ნაკლოვანებანი, ეხლა უნდა შევეხოთ ამის უმთავრეს მიზეზს. როგორც საყოველთაოდ ცნობილია პარტგანათლების ძირითადი ნაკლი, ზოგან მისი უნუგეშო მდგომარეობაც კი, აიხსნება პარტსწავლის პოლიტიკურ მნიშვნელობის დაუფასებლობით. ზოგიერთ პარტორგანიზაციებს ავიწყდებათ რევოლიუციონური თეორიის, იდეურ პოლიტიკური მომზადების უდიდესი მნიშვნე-

ჩვენი განვითარების ტემპები

(ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ)

მტრებიც კი გაოცებული არიან ჩვენი ზრდით

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მიღების დროს წარდგენილი იყო ორი ვარიანტი—გამოსავალი და ოპტიმალური. საგეგმო ორგანიზაციების მთელი რიგი მუშაკები ოპტიმალური გეგმის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ და ამტკიცებდნენ მისი შესრულების შეუძლებლობას. მიუხედავათ ამისა, მიღებული იქნა ოპტიმალური ვარიანტი. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ გეგმა რეალური აღმოჩნდა. ხუთწლედის მეორე წელი მთავრდება და ყველასათვის ცხადი ხდება, რომ ოპტიმალური ვარიანტს ჩვენ გადაჭარბებით ვასრულებთ.

დღეს ჩვენი მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ ხუთწლიანი გეგმის ბუმბერაზობა, მისი უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში და განვითარების სწრაფი ტემპი, რომელიც უჩვეულოა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის.

„ბოლშევიზმის მომავალი დიდათ არის დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაზე ან დამარცხებაზე. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი აზრი როგორც გაბედულია, ისე გონიერიცაა. თუ ხუთწლიან გეგმამ გაიმარჯვა, საბჭოთა კავშირი შეიქმნება ფრიად დიდი მნიშვნელობის ფაქტორათ"! სთქვა ლოიდ-ჯორჯმა გასულ წელში.

„რუსეთის ახლანდელი ისტორიის არც ერთი ფაქტი არ შეიძლება თავის მნიშვნელობით შეედაროს ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიან პროგრამას"—სწერს ამერიკელი პროფესორი ფერნისი.

„ხუთწლიანი გეგმა წააგავს დროშას, რომელსაც მებრძოლი ჯარი შეაგდებს მტრის რიგებში, რომ შემდეგ დაეძგეროს და ხელახლა ჩაიგდოს ხელში"—სწერს „ფრანკფურტერ ცეიტუნგის" რედაქტორი.

„რუსეთის გეგმა შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ველურ ოცნებათ, რომ არ იყოს იმის ფაქტები, როცა საბჭოთა მთავრობა აქამდისაც ამცნობდა ქვეყანას თავის გეგმების შესახებ და თავის დროზე ანხორციელებდა მას" (გაზ. „ნეიშენი").

„დერ დეიტშე ფოლკსვირტს" შეხედულებით: „ხუთწლიანი გეგმა არ შეიძლება ჩაითვალოს ფანტასტიურ გეგმათ. კიდეც რომ არ შესრულდეს, გეგმას მაინც ექნება ფრიად დიდი პედაგოგიური და სააგიტაციო მნიშვნელობა".

„თვითეულმა ეკონომისტმა იცის, თუ რას ნიშნავს ყოველწლიურად დიდი ქვეყნის მრეწველობის პროდუქციის 10 პროცენტით გადიდება. 30 პროცენტით გადიდება კი ეს პირდაპირ გიჟობათ მოსჩანს"—სწერდა გასულ წლის აგვისტოში „ნიუ-იორკ-ტაიმსი". ალბათ ეს გაზეთი კიდევ უფრო გაგიჟდება, როცა გაიგებს, რომ მომავალ 30-31 წელში საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქციის ზრდა დასახულია 40-45 პროც. რაოდენობით.

„ხუთწლიანი გეგმა ისეთი გიგანტური ამოცანაა, რომელიც ჯერ არც ერთ მთავრობას არას დროს არ დაუსახავს. თუ ბოლშევიკებმა ამაში მოიგეს, ისინი კომუნისტური სახელმწიფოს თავის მაგალითით მოახდენენ გავლენას ყველა ქვეყნებზე"—სწერს ამერიკელი ჟურნალისტი ვილლარდი.

„ამ გეგმაში ჩამოყალიბებულია რადიკალიზმი და კომუნისტური ნებისყოფის შეურყეველი სიმტკიცე, რომელიც განხორციელებულია სტალინის პიროვნებაში.... ის არის უდიდესი და ყველაზე უფრო დროული ეკონომიური ექსპერიმენტი. ის არის არა მარტო პირველი, არამედ ამასთანავე ყველაზე უფრო ორიგინალური. თუ ეს ექსპერიმენტი განხორციელდა მხოლოდ $^3/_4$-ით მაშინ საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია. ეს იქნება და სოციალისტური მეთოდის გამარჯვება"—სწერს გერმანიის ცნობილი ბურჟუაზიული გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი".

„გადაჭრილად შეიძლება ვსთქვათ, რომ ხუთწლიანი გეგმა მთლიანად, როგორც მეურნეობის გეგმა, არ შესრულდება, ვინაიდან ის აგებულია ქვეყნის ეკონომიურ შესაძლებლობის უარყოფაზე და მიდის მისი განვითარების ტენდენციების წინააღმდეგ"—სწერდა გასულ წელში მენშევიკების „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ". თუ რამდენად ყალბია ეს დებულება, ამას დაგვიმტკიცებს ქვევით მოყვანილი მჭერმეტყველური ცნობები.

სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე ჩვენ ისეთი მიღწევანი მოვიპოვეთ, რომ ხუთწლიანი გეგმის რეალობა ყოველმხრივ დამტკიცებულია და საბჭოთა კავშირში მეოთხე წელზე საჭირო გახდება ახალი, უფრო გრანდიოზული გეგმის შედგენა. ამიერ-კავკასიაში და საქართველოში კი, ახლავე უნდა შეუდგეთ დამატებითი გეგმის შედგენას, ვინაიდან მესამე წელში (30-31)—ხუთწლიანი გეგმა ამოწურული იქნება.

ტემპების დაჩქარება

ხუთწლიანი გეგმის პირველი ვარიანტით ნავარაუდევი იყო საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქციის ყოველწლიური ზრდა 10-11 პროცენტით, შემდეგ ამის მაგიერათ დასახული იყო 15 პროცენტი და საბოლოოთ კი დამტკიცდა 20,2 პროცენტი. ფაქტიურად 28-29 წელში პროდუქცია გაიზარდა 24 პროცენტით, 1929-30 წლისათვის გათვალისწინებულია მრეწველობის ზრდა 32 პროცენტით და ფაქტიურად ეს სრულდება. 30-31 წლისათვის (5-წლედის მე-3 წელი) სდგება ამჟამათ საკონტროლო ციფრები და დაახლოებით დასახულია სამრეწველო პროდუქციის 40-45 პროცენტით ზრდა. ე. ი. ორჯერ უფრო მეტად, ვიდრე გათვალისწინებული იყო ეს ხუთწლიანი გეგმით.

საქართველოში ხუთწლიანი გეგმით სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა (ს. მ. უ. საბჭოში გაერთიანებულ წარმოებების) დასახული იყო შემდეგი რაოდენობით:

28-29 წელში	55 პროც.
29-30 „	54,7 პროც.
30-31 „	33,6 პროც.
31-32 „	27 პროც.
32-33 „	24,5 პროც.

ზრდის ეს ტემპი სინამდვილეში გადაჭარბებული იქნა. სახელდობრ, 29-30 წელში სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა არა 54,7 პრ., როგორც იყო დასახული ხუთწლიანი გეგმით, არამედ 61-63 პროცენტით. მომავალი 31-32 წლისათვის საკონტროლო ციფრების წინასწარი პროექტით დასახულია ზრდა 70-80 პროც. მაშინ, როცა ხუთწლიანი გეგმით ამ წელში ზრდა უნდა ყოფილიყო 30-33 პროც.

ხუთწლიან გეგმის ასეთივე გადაჭარბებით შესრულებას აქვს ადგილი ამიერ-კავკასიის მასშტაბით. მიმდინარე 29-30 წლისათვის ა.-კ. სამრეწველო პროდუქცია იზრდება 59 პროც. მომავალი წლისათვის ა.-კ. საგეგმო კომისიის მიერ მიღებულია 70 პროც. ზრდა. მაშასადამე, მრეწველობის ფაქტიური ზრდა ამიერ-კავკასიაში თითქმის ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე დასახული იყო ხუთწლიანი გეგმით.

ცხოვრებამ უარყო აგრეთვე ის დებულება, თითქოს განვითარების მაღალი ტემპები დაკავშირებულია მხოლოდ აღდგენით პერიოდთან და ამ პერიოდის დამთავრების შემდეგ მრეწველობის ზრდის ტემპები შემცირდებოდა. გეგმების შედგენის დროს იყო ისეთი მიმართულება, რომლის მტკიცებით ზრდის ტემპი უნდა ყოფილიყო აგებული დამავალი (ქვევით დაქანებული) ხაზით. საკავშირო ხუთწლიანი გეგმის პირველ ვარიანტიც დამავალი ხაზით იქნა შედგენილი (წლების მიხედვით ზრდა დასახული იყო 19,7 პროც. 17,7 პროც., 17,5 პრ., 17,0 პრ., 14,9 პრ.) შემდეგი ვარიანტით ეს გამოსწორებულ იქნა და ზრდა ყველა წლებისათვის თანაბრათ იქნა მიღებული (21 პროც.—22 პროც.). ფაქტიურად ცხოვრებამ მოგვცა არა თუ ზრდის დამავალი ხაზი, არამედ პირიქით აღმავალი (28-29 წელს 24 პროც.; 29-30 წ.—32 პროც. 30-31 წ.—45 პროც.).

საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში, მიუხედავად საქ. კომპარტიის (ბ) მეექვსე პარტიულ ყრილობის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, ს. მ. უ. საბჭომ და საგეგმო კომისიამ არ შეიტანეს შესწორება და დარჩა ზრდის დამავალი ხაზი (სმუს მრეწველობის პროდუქციის ზრდა დასახული იყო 28-29 წ. 55 პროც., 29-30 წ.—54,7 პროც., 30-31 წ.—33,6 პროც.; 31-32 და 32-33 წ.—24.5 პროც.). მაგრამ აქაც ცხოვრებამ შეიტანა შესწორება და მოგვცა პირველ სამ წელში ზრდის აღმავალი ხაზი.

მესამე წელში შესრულდება ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დასახული სამრეწველო პროდუქციის რაოდენობა

საკავშირო სმუს საბჭოში შემავალ მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო 32-33 წელში 30447 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება. მიმდინარე 1929-30 წელში გვექნება 18 მილიარდი მანეთის პროდუქცია, მომავალ 1930-31 წლისათვის საკონტროლო ციფრების წინასწარ პროექტით ნავარაუდევია 27 მილიარდი მანეთის პროდუქცია. ამრიგათ ხუთწლედის მესამე წელს პროდუქციის გამოშვება თითქმის ისეთივეა, როგორც იყო ეს დასახული 32-33 წლისათვის.

ამიერ-კავკასიის მრეწველობის პროდუქცია ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო 32-33 წლისათვის აზნავთის ჩაუთვლელად 427355 ათასი მან. რაოდენობით, ხოლო მომავალ 30-31 წლისთვის კი ამჟამად დასახული ლიმიტებით ნავარაუდევია 357.520 ათასი მან. სამრეწველო პროდუქცია, ნაცვლად 289 მილიონისა, რომელიც გათვალისწინებული იყო ამ წლისათვის ხუთწლიანი გეგმაში.

საქართველოს მთელი საცენზო მრეწველობაში ხუთწლედის დასასრულს—32-33 წელში უნდა გამოშვებულიყო 226 მილიონი მანეთის პროდუქცია. მომავალი 30-31 წლისთვის საკონტროლო ციფრების წინასწარი ვარიანტით კი დასახულია უკვე 220 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქციის გამოშვება, ე. ი. მესამე წელში თითქმის მთლიანად ვასრულებთ ხუთწლიანი გეგმის უკანასკნელი წლის ნორმას.

კაპიტალური დაბანდების გეგმა 3 ნახ. წელიწადში სრულდება

კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში ხუთწლედის პირველ ორ წელში გაცილებით მეტია, ვიდრე ხუთწლიანი გეგმითაა ეს დასახული. 29-30 წელში საკავშირო მრეწველობაში კაპიტალური დაბანდება ფაქტიურად უდრის 4 მილიარდ მანეთს. ხუთწლიანი გეგმით კი ნავარაუდევი იყო ამ წლისათვის 2300 მილიონი მანეთის დახარჯვა კაპიტალურ სამუშაოებზე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ხუთი წლის განმავლობაში უნდა დახარჯულიყო მრეწველობისათვის. აზნავთის გამოკლებით, 383 მილიონი მანეთი. ფაქტიურად პირველ ორ წელში კაპიტალურ დაბანდების რაოდენობა უდრის 78 ნახ. მილიონ მანეთს. და მომავალი წლისათვის ნავარაუდევია დაახლოებით 186 ნახ. მილიონი მან. ამრიგათ ამიერ-კავკასიის მრეწველობის კაპიტალური დაბანდების გეგმა 3 ნახ. წელიწადში იქნება შესრულებული.

საქართველოში გეგმით ხუთი წლის განმავლობაში მრეწველობაზე (ელექტროფიკაციის გამოკლებით) უნდა დახარჯულიყო 170 მილიონი მან. პირველ ორ წელში (28-29 და 30-31 წ.) ფაქტიურად კაპიტალურ დაბანდების რაოდენობა უდრის დაახლოებით 58 მილიონ მანეთს. მომავალ 30-31 წელში წინასწარი ვარაუდით განზრახულია 101 მილიონ მანეთის დაბანდება. ამრიგათ კაპიტალურ დაბანდებათა ხუთი წლის ნორმა (170 მილ. მან.) სამი წლის განმავლობაში სრულდება (სამ წელში კაპიტალური დაბანდება 160 მილ. მანეთი იქნება).

ხუთწლიანი გეგმის შესრულება ცალკე სამრეწველო დარგებში

ნავთის მრეწველობის საკავშირო გეგმა სრულდება სამ წელიწადში. 1932-33 წელში ხუთწლიანი გეგმით უნდა ამოღებულიყო 22 მილიონი ტონა ნავთი (1927-28 წელში ნავთის პროდუქცია უდრიდა 11,7 მილიონ ტონას, 1913 წელში 9,3 მილიონ ტონას). მიმდინარე 29-30 წელში ნავთის ამოღების პროგრამა 16.21 მილიონ ტონას უდრის, ხუთწლიანი გეგმით კი ამ წელიწადში უნდა ამოღებულიყო 14 მილიონი. მომავალ 30-31 წელში საკონტროლო ციფრების პროექტით ნავარაუდევია 23 მილიონი ტონას ამოღება, ესე იგი 1 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე იყო დასახული 32-33 წლისათვის. ხუთ მაისს ბაქოში მოწვეულმა აზნავთის მუშების კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება ხუთწლიანი გეგმის 2 ნახ. წელში შესრულების შესახებ.

შირაქის ნავთის შესახებ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო მხოლოდ გეოლოგიური გამოკვლევათა დამთავრება: ახლა კი მიმდინარეობს ძირითადი სამუშაოები და მომავალ წლიდან დაიწყება ნავთის ამოღება.

ქვანახშირის მრეწველობის პროდუქცია საბჭოთა კავშირში ხუთწლედის ბოლოში (32-33 წლისათვის)—უნდა ყოფილიყო 75 მილიონი ტონა. ქვა-ნახშირის პროდუქცია 53 მილ. ტონა, იქნება. მომავალ 30-31 წლისათვის მიღებულ ლიმიტებში ნავარაუდევია 71 მილ. ტონა, რაც თითქმის 32-33 წელში დასახულ რაოდენობას უდრის (1913 წელში რუსეთის ქვანახშირის პროდუქცია უდრიდა სულ 29 მილიონ ტონას).

ტყიბულის მაღაროებს 32-33 წელში უნდა მოეცა 300 ათასი ტონა ქვანახშირი. ეს ციფრი მიღწეული იქნება 31-32 წელში. მომავალ 30-31 წელში საკონტროლო ციფრების პროექტით ნავარაუდევია 230 ათასი ტონა ნახშირის ამოღება, ხოლო ამისათვის განზრახულია მომავალ წელში 3 ნახ. მილიონ მანეთის დაბანდება. მარტო მიმდინარე 29-30 წელში იხარჯება 686 ათასი მანეთი. მთლად ხუთი წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებული იყო კაპიტალურ სამუშაოებისათვის ქვა-ნახშირის მრეწველობის 2475 ათასი მან. ფაქტიურად პირველ სამ წელში იხარჯება 4 ნახ. მილიონზე მეტი. 33 ათასი ტონა ბრიკეტის მაგივრად, რომელიც ნავარაუდევი იყო 32-33 წელში, დამზადებული იქნება 50 ათასი ტონა ბრიკეტი.

ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობები, რომელიც შეიცავს 46 მილიონ ტონა ნახშირის სამრეწველო მარაგს მიმდინარე ხუთწლედში გეგმით არ იძლეოდა პროდუქციას. გათვალისწინებული იყო კაპიტალური სამუშაოები და მხოლოდ 33-34 წელში უნდა ამოღებულიყო 800 ათასი ტონა. ახლა გეგმა შეიცვალა და კაპიტალურ მუშაობის დაჩქარებით 32-33 წელში მივიღებთ 400 ათას ტონას, 33-34 წელს კი 1 მილიონ ტონას ქვა-ნახშირს.

ბარიტი (ნატეხი) 32-33 წელში უნდა ამოღებულიყო 21 ათასი ტონა. მაგრამ უკვე მიმდინარე წელში ამოღებული იქნება 17 ათასი და მომავალი 30-31 წლისათვის კი ნავარაუდევია 25 ათასი ტონა. ბარიტის ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით სრულდება მესამე წელში. დაფქვილი ბარიტი ხუთი წლის ბოლოში ნავარაუდევი იყო 12 ათასი ტონა, ფაქტიურად 30-31 წელში იქნება შესრულებული გადაჭარბებით ეს დავალება.

მარგანეცის მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმით დასახული პროდუქციის რაოდენობა გადაჭარბებით სრულდება. 1929-30 წელში ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო 900 ათასი ტონა გარეცხილი ქვა და 300 ათასი გაურეცხავი. საკონტროლო ციფრებით კი მიმდინარე წლისათვის დასახულია 1.100.000 ტონა გარეცხილი და 150.000 ტონა გაურეცხავი. ფერომარგანეცის ქარხანას, რომელიც ახლა შენდება, ხუთწლიანი გეგმით უნდა მოეცა 31-32 წელში 40 ათასი ტონა ლითონი და 32-33 წელში 40 ათასი ტონა შეტანილ იქნა შესწორება და 50 ათასი ტონას მაგივრად ხუთწლედის ბოლოში ნავარაუდევია 150 ათასი ტონა (სამჯერ უფრო მეტი).

ქიმიურ მრეწველობის დასახული ხუთწლიანი გეგმა არა თუ სრულდება, არამედ ხელმეორედ გადასინჯვის შემდეგ ისე გადიდდა, რომ პირველი ვარიანტის ციფრებთან შედარება არ შეიძლება. პირვანდელი გეგმით ქიმიურ მრეწველობის მშენებლობისათვის უნდა დახარჯულიყო ამიერ - კავკასიაში 15.460.000 მან. ხუთი წლის განმავლობაში ფაქტიურად პირველ სამ წელში 38 მილიონზე მეტი იხარჯება. ახალი შედგენილი გეგმით ამიერ-კავკასიის ქიმიურ მრეწველობის განვითარებისათვის უნდა დაიხარჯოს 123 მილიონი მანეთი.

საქართველოს ქიმიურ მრეწველობისათვის ნავარაუდევი იყო ხუთ წელში 2247 ათასი მანეთის დახარჯვა. საკონტროლო ციფრების პროექტით კი მარტო 30-31 წლისათვის ნავარაუდევია კაპიტალისტური დაბანდება 1095 ათ. მან. რაოდენობით. ახალი გეგმით მთლიანად ხუთწლედში დაიხარჯება 63 მილიონი მანეთი (ნაცვლად 2 ნახ. მილიონისა).

ლითონის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმაც სამ წელიწადში სრულდება. საკავშირო ლითონის მრეწველობის პროდუქცია 32-33 წელში ნავარაუდევი იყო ხუთწლიანი გეგმით 5798 მილიონი მანეთი. ფაქტიურად 29-30 წელში პროდუქცია უდრის 3485 მილიონ მანეთს. მომავალ 30-31 წლისათვის საკონტროლო ციფრების პროექტით კი დასახულია 5.639 მილიონი, ე. ი. მეტი, ვიდრე იყო დასახული ხუთი წლის ბოლოსათვის, აქედან სჩანს, რომ ლითონის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა სრულდება მესამე წელში გადაჭარბებით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მშენებლობის დარგში ხუთწლიანი გეგმით 32-33 წელში საბჭოთა კავშირში უნდა დამზადებულიყო 498 მილიონი მანეთის პროდუქცია. მაგრამ მარტო მიმდინარე წელში მზადდება 389 მილიონი მანეთის პროდუქცია. საკონტროლო პროექტით 30-31 წელში გამოშვებული იქნება 880 მილიონი მანეთის პროდუქცია. მაშასადამე, აქაც მესამე წელში ძლიერ დიდი გადაჭარბებით სრულდება ხუთწლიანი გეგმა (1913 წელში სასოფლო სამეურნეო მრეწველობის პროდუქცია რუსეთში 67 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა).

ტრაქტორების დამზადება 32-33 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო 60 ათასი ცალი. საკონტროლო ციფრების პროექტით მარტო 30-31 წელში გამოშვებული იქნება 60 ათასი ტრაქტორი. აქაც ხუთწლიანი გეგმა სრულდება სამ წელში.

ხუთწლიანი გეგმით 32-33 წელში უნდა გამოშვებულიყო 10 ათასი ცალი ავტომობილი, ფაქტიურად ეს შესრულებულია 29-30 წელს და 30-31 წლისათვის დასახულია 44 ათასი ცალის გამოშვება. ხუთი წლის ბოლოში კი ახლად გადაშინჯული გეგმით 10 ათასი ცალის მაგივრად, უნდა იქნას გამოშვებული 140 ათასი ცალი.

ამიერ-კავკასიის მეტალურგიულ ქარხნის აშენება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო იმ ვარაუდით, რომ 32-33 წელში მას მიეცა 200 ათასი ტონა ლითონი. აშენებისათვის უნდა დახარჯულიყო 30 მილიონი მანეთი. მაგრამ პროექტი შეიცვალა და 200 ათასი ტონას მაგივრად ნავარაუდევია 500 ტონა. კაპიტალური მშენებლობისათვის ამავე გეგმით დაიხარჯება 135 მილიონი მანეთი (განჯა-დაშკესანის რკინის გზის ჩათვლით).

საქართველოს ლითონის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა სრულდება 2 ნახ. წელიწადში. განზრახული იყო 32-33 წელში 8.376 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვება. მიმდინარე 29—30 წელში ფაქტიურად გვექნება 7125 ათასი მანეთის პროდუქცია. მომავალ წლისათვის ამიერ-კავკასიის სმუს საბჭოს მიერ ნავარაუდევია საკონტროლო ციფრების პროექტით 9286 ათასი მანეთის პროდუქცია, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე ხუთი წლის ბოლოსთვის უნდა ყოფილიყო.

თბილისის ლითონის ქარხანა, რომელიც ეხლა უკვე შენდება ნავარაუდევი იყო 4 მილიონი მანეთის პროდუქციისათვის. ვინაიდან ეს უკვე აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, აღძრულია საკითხი ამ ქარხნის ბევრად უფრო ფართო გეგმით აგების შესახებ.

ტყის და ხის დამუშავების მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა უკვე მეორე წელშია შესრულებული. ხუთწლედის უკანასკნელ წელში (32-33 წ.) ამ მრეწველობას საბჭოთა კავშირში უნდა მიეცა 1.990 მილიონი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 1927-28 წლის 493 მილიონისა. ფაქტიურათ 1929-30 წელში ტყის და ხის დამუშავების მრეწველობის პროდუქცია 1.698 მილიონ მანეთს უდრის. მომავალ 30-31 წელში საკონტროლო ციფრების პროექტით ნავარაუდევია 2.600 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება, ე. ი. 610 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე ხუთწლედის ბოლოში უნდა ყოფილიყო.

ამიერ - კავკასიის სატყეო და ხის დამუშავების მრეწველობის პროდუქცია 1932-33 წლისათვის ნავარაუდევი იყო 30.740.000 მანეთის რაოდენობით. სინამდვილეში კი გაცილებით მეტი პროდუქცია იქნა გამოშვებული. მიმდინარე 1929-30 წელში ამიერ - კავკასიის ტყის მრეწველობა ამზადებს 23 ნახევ. მილიონი მანეთის პროდუქციას; მომავალი 1930-31 წლისათვის საკონტროლო ციფრების წინასწარი პროექტით დასახულია 32.355.000 მანეთის პროდუქცია, რაც თითქმის ორი მილიონით მეტია, ვიდრე უნდა ყოფილიყო ხუთწლედის ბოლოში.

საქართველოს ტყის და ხის დამუშავების მრეწველობის პროდუქცია უნდა გაზრდილიყო 6.665.500 მანეთიდან (27-28 წ.) 34.979.000 მანეთამდე 32-33 წელში (საქ. საგეგმო კომისიის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით). ფაქტიურად მიმდინარე 1929-30 წელში მრეწველობის ამ დარგის პროდუქცია იქნება 20 მილიონი მანეთის ნაცვლად 16 მილიონისა, რომელიც ხუთწლიანი გეგმით ამ წლისათვის იყო გათვალისწინებული. მომავალ 1930-31 წელში წინასწარი ვარაუდით დასახულია—26.223.000 მ. პროდუქცია, რაც ძლიერ უახლოვდება 32-33 წლისათვის დასახულ რაოდენობას.

საამშენებლო დახერხილი მასალა ხუთწლიანი გეგმით საქართველოში 30-31 წელს უნდა დამზადებულიყო 193.000 კუბომეტრი. ამის მაგივრად ამჟამად საკონტროლო ციფრების ლიმიტების მიხედვით განზრახულია მომავალ წელში 240-260 ათასი კუბომეტრის დამზადება.

ნარეულის ვენური სკამების ქარხანას ხუთწლიანი გეგმით 1932-33 წელში უნდა გამოეშვა 188.600 ცალი სკამი. მიმდინარე 1929-30 წელში ქარხანა უკვე უშვებს 240.000 ცალს (ნახევრად ფაბრიკატის ჩათვლით) და მომავალ 1931-32 წელში კი განზრახულია 280-300 ათასი სკამის დამზადება. ამრიგათ ეს ქარხანა ხუთწლიანი გეგმას ასრულებს მიმდინარე წელში.

თბილისის სადურგლო ავეჯის ქარხნის პროდუქცია 1932-33 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო 545.000 მანეთის რაოდენობით. მიმდინარე 29-30 წელში ფაქტიურად კეთდება 590.000 მანეთის პროდუქცია. (წლის პირველ ნახევარში უკვე გამოშვებულია 279.203 მანეთის პროდუქცია). მომავალ წელში განზრახულია ერთი მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტის, ვიდრე დასახული იყო 1932-33 წლისათვის.

ენწურის ქაღალდის ქარხანა, რომელიც ახლა უკვე შენდება, დამთავრდება 1931-32 წლის ბოლოში. ნაცვლად 12-16 ათასი ტონა ქაღალდისა, რომელიც გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით, ქარხანა პირველ წელშივე გამოუშვებს 22.500 ტონას.

წამოიჭრა საკითხი მეორე ქაღალდის ქარხნის აშენების შესახებ. ხუთწლიან გეგმაში ის არ ყოფილა გათვალისწინებული. ქარხანა აშენდება დასავლეთ საქართველოში და მის ნედლ მასალათ გამოყენებული იქნება სიმინდის ჩალის ღეროები.

კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა ხის მრეწველობის დარგში საქართველოსათვის გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით—22.623.000 მანეთით. ფაქტიურად კი მხოლოდ ორ წელიწადში (29-30 და 30-31 წლები) იხარჯება 23 მილიონ მანეთზე მეტი (ბზების კომბინატის ჩათვლით).

ამიერ - კავკასიაში ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო ხის მრეწველობისათვის 27 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება. ფაქტიურად მხოლოდ ორი წლის (29-30 და 30-31 წ.) განმავლობაში იხარჯება 32 ნახევ. მილიონი მანეთი, ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხუთწლედისათვის.

საამშენებლო მასალების საკავშირო მრეწველობას ხუთი წლის ბოლოში (1932-33 წ.) უნდა მოეცა 1130 მილიონი მანეთის პროდუქცია. მომავალი 30-31 წლის საკონტროლო ციფრების პროექტით საამშენებლო მასალების მრეწველობის პროდუქცია ერთი მილიარდი მანეთის რაოდენობით არის დასახული.

ხუთი წლის ბოლოში საბჭოთა კავშირში უნდა დამზადებულიყო 8 მილიარდი ცალი აგური, ფაქტიურად 1929-30 წელში მზადდება—5.100 მილიარდი და მომავალი წლისათვის ნავარაუდევია 8.500 მილიარდი ცალის დამზადება, ე. ი. თითქმის იმდენის, რამდენიც 1932-33 წელში უნდა დამზადებულიყო.

ამიერ - კავკასიისათვის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 1932-33 წელში საამშენებლო მასალების მრეწველობის მიერ 16.318.000 მანეთის პროდუქციის გამოშვება. ფაქტიურად მიმდინარე 29-30 წელში მივიღებთ 13.459.000 მანეთის პროდუქციას და მომავალ წლისათვის კი საკონტროლო ციფრების პროექტით ნავარაუდევია 32.932.000 მანეთის პროდუქცია, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო დასახული 1932-33 წლისათვის. მაშასადამე, ამ დარგში გეგმა სრულდება 2 ნახევ. წელიწადში.

საქართველოში საამშენებლო მასალის მრეწველობის პროდუქციის ხუთწლიანი გეგმა სრულდება მესამე წელში. მაგალითად, ხუთი წლის ბოლოში საშენი აგური უნდა დამზადებულიყო 75 ნახევ. მილიონი ცალი, საკონტროლო ციფრების წინასწარი პროექტით მომავალ 1930-31 წელში ეს ნორმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ცემენტი საქართველოში უნდა დამზადებულიყო 1932-33 წელში 600 ათასი კასრის რაოდენობით. ფაქტიურად მომავალ 1930-31 წელში დამზადდება 700 ათასი კასრი და ხუთი წლის ბოლოში კი 1.200 ათასი კასრი (კასპის ქარხანა მომავალი წლიდან გაფართოებული იქნება).

საკავშირო საფეიქრო მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა გადასინჯული იქნა მიმდინარე წელში, ვინაიდან აღმოჩნდა ნედლი მასალის ბაზის უფრო მეტი გაფართოების შესაძლებლობა. ძველი გეგმით ხუთი წლის ბოლოში საშუალოდ მცხოვრებთა ერთ სულზე უნდა დამზადებულიყო 21 მეტრი ბამბის ქსოვილი წელიწადში (ნაცვლად 15 მეტრისა, რომელიც 27-28 წელში იყო). ახალი გეგმით ქსოვილების გამოშვება ისე უნდა გაიზარდოს, რომ ხუთი წლის ბოლოში საშუალოთ ერთ სულზე მოდიოდეს 32 მეტრი. ნაცვლად 4.700 მილიონი მეტრის ბამბის ქსოვილისა, რომელიც უნდა გამოშვებულიყო 1932-33 წელში, ახალი გეგმით უნდა იქნეს გამოშვებული—5.200 მილიონი მეტრი. მატყლის ქსოვილები ნაცვლად 160 მილიონი მეტრისა უნდა იქნეს გამოშვებული 220 მილიონი მეტრი.

საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია ამიერ - კავკასიაში ხუთწლიანი გეგმით უნდა ყოფილიყო გამოშვებული 1932-33 წელში—122.582.000 მანეთის (აბრეშუმის ქსოვილების ჩათვლით). ფაქტიურად მიმდინარე 29-30 წელში მზადდება 46 მილიონი მანეთის და მომავალ 1930-31 წლისათვის ნავარაუდევია საკონტროლო ციფრების მიხედვით 86 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობას (აბრეშუმის ქსოვილების ჩათვლით) 1932-33 წელში უნდა მოეცა 21 მილიონი მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად კი მომავალ 1930-31 წელში წინასწარი ვარაუდით ჩვენ მივიღებთ 24 მილიონ მანეთის პროდუქციას.

შალის ქსოვილები (მაუდი და კამვოლი) საქართველოს საფეიქრო მრეწველობას უნდა გამოეშვა 1932-33 წელში 1.710.000 მეტრის რაოდენობით. ფაქტიურად მომავალ 1930-31 წელში იქნება გამოშვებული (საკონტროლო ციფრების პროექტის მიხედვით) ქუთაისის და თბილისის ქარხნებში 1.850.000 მეტრი.

აბრეშუმის ქსოვილები თბილისის აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში 1932-33 წელს უნდა გაკეთებულიყო 1.221 ათასი მეტრი. მიმდინარე 1929-30 წელში უკვე ფაქტიურად გამოშვებული იქნება 469 ათასი მეტრი. მომავალი 1930-31 წლისათვის განზრახულია 1280-1500 ათასი მეტრის გამოშვება, ე. ი. მეტი, ვიდრე განზრახული იყო ხუთწლედის ბოლოსათვის. აქედან ცხადი არის, რომ ამ დარგში გეგმა სრულდება ხუთწლედის მესამე წელში.

აბრეშუმის ძაფის წარმოების ხუთწლიანი გეგმა სრულებით შეიცვალა. ახალი გეგმით აბრეშუმის მრეწველობა ამიერ - კავკასიაში ფრიად დიდ გასაქანს იძლევა. ამიერკავკასიაში დაბანდებული იქნება საბრეშუმო დარგის განვითარებისათვის 66 მილიონი მანეთი. საქართველოში პირვანდელ გეგმით უნდა დახარჯულიყო 2.800.000 მანეთი, ახლად დამტკიცებული გეგმით დაიხარჯება 46 მილიონი მანეთი. ამისდამიხედვით პროდუქციაც რამდენიმეჯერ იზრდება, ვიდრე იყო გათვალისწინებული პირვანდელი გეგმით.

პარტიის (ბ) მე-VII ყრილობისათვის

ლობა. ბევრ აქტივისტს ავიწყდება, რომ „რევოლუციონურ თეორიის გარეშე, არ შეიძლება იყოს რევოლუციონური მოძრაობაც“ (ლენინი). მხოლოდ ლენინიზმს, მუშათა კლასის ამ რევოლუციონურ თეორიას შეუძლია გზა გაუნათოს სოციალისტური მშენებლობის ჩვენ ყოველ დღიურ პრაქტიკას. მხოლოდ ლენინიზმის დახმარებით შეიძლება გავიკვლიოთ სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობანი, კლასთა ბრძოლის მრავალგვარი ფორმები და ამ ბრძოლის მიმართება და შესაფერად გადავაჯგუფოთ, დავრაზმოთ ჩვენი ძალები. ხშირად პარტიის ზოგიერთი წევრის მერყეობა, გადახვევა და სხვ. გამოწვეულია მისი პოლიტიკური უვიცობით და ლენინის საფუძვლების აშკარა უცოდინარეობით. პოლიტიკური განათლება სპობს ამ უმეცრებას და ის ხელს უწყობს პარტიულ მასის იდეურ პოლიტიკურ გამძლეობის განმტკიცებას.

პარტორგანიზაციებში უკანასკნელ წელს მოხდა თვალსაჩინო გარდატეხა პარტგანათლების მიმართ, მაგრამ ეს გარდატეხა პარტკომებს ვერ გასცილდა და მან ჯერ კიდევ ვერ მიაღწია უჯრედებამდე. პარტგანათლების ქსელის ფართოდ გაშლას აბრკოლებდა პარტგანათლების სუსტი ფინანსიური ბაზა, დღემდე, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტში არ არის უზრუნველყოფილი საჭირო თანხა პარტგანათლებისათვის.

მომავალ სამოსწავლო წელს ჩვენ უნდა შევხვდეთ უფრო მომზადებული. პირველ რიგში საჭიროა პარტგანათლების პოლიტიკურ მნიშვნელობის დაუფასებლობის სრული აღმოფხვრა. საჭიროა პარტგანათლების ქსელის კიდევ უფრო მეტი გაშლა, განსაკუთრებით სოფლად, სადაც პირველ რიგში პოლიტცოდნის ბაზად საბჭოთა მამულები და კოლმეურნეობები უნდა გადავაქციოთ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პარტაქტივის გადამზადებას, პარტაქტივის კურსების სკოლების და წრეების გაშლას.

პროპაგანდისტთა შერჩევას ძველ მომზადებულ და გამობრძმედილ კომუნისტების და მუშა პროპაგანდისტების კადრებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

აუცილებლად უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საპროგრამო და მეთოდიური ხელმძღვანელობა პარტკომების კულტ.-პროპ. განყოფილებებზე პარტგანათლების დარგში. დროულად უნდა იქნეს ბიუჯეტში უზრუნველყოფილი საჭირო თანხები პარტგანათლებისათვის.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელო წიგნების და ლიტერატურის გამოცემას და სხვ.

ასეთია დაახლოებით ჩვენი მორიგი ამოცანები პარტგანათლების დარგში.

ე. ბედია.

საქ. კომპარტიის მუშაობა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის

ერთი წელიწადი გავიდა საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობის შემდეგ, რომელმაც საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-XV ყრილობისა და მე-XVI კონფერენციის დადგენილებათა საფუძველზე, დასახა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პრაქტიკული ამოცანები. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ნამდვილი მიღწევები „სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე“, განსაკუთრებით კი—სასოფლო მეურნეობის დარგში. თუ ჯერ კიდევ მე-6 ყრილობამ აღნიშნა განსაზღვრული გარდატეხა სოფ. მეურნ. გარდაქმნის სოციალისტური ხელმძღვანელობის საქმეში,—მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენ ამ მუშაობაში კიდევ უფრო მეტი მიღწევები გვაქვს. ოლქებისა და მაზრების უმრავლესობის პარტიული ორგანიზაციები უკანასკნელ წელს უფრო მეტად მიუახლოვდნენ მუშაობის კონკრეტულ ხელმძღვანელობას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. გარდატეხას, რომელიც პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში მოხდა, არ შეეძლო დადებითი როლი არ ეთამაშა იმ მიღწევების მოპოვების საქმეში, რომელიც ჩვენ აქ გვაქვს. რა მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის ხაზით? პირველ ყოვლისა, ნათესის ფართობის საერთო გადიდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება, მე-6 ყრილობის დირექტივებთან შეფარდებით, უმთავრესად ტექნიკური და სპეციალური კულტურების ხარჯზე მიმდინარეობს. მაგალითად, თუ მარცვლეულ კულტურათა ზრდა 1928-29 წელს 5,9 პროცენტს, ხოლო 1929-30 წელს (გეგმის მიხედვით) 8,1 პროცენტს იძლევა, სამაგიეროდ ტექნიკურმა კულტურებმა, რომლებმაც 1928-29 წელს 6,6 პროცენტი მოგვცეს, 1929-30 წელს (გეგმით) უნდა მოგვცენ 77,6 პროცენტი. ამრიგად, სოფლის მეურნეობის საერთო ზრდის დროს ტექნიკური და სპეციალური კულტურების ზრდა უფრო სწრაფი ტემპით სწარმოებს.

განვიხილოთ ტექნიკური და სპეციალური კულტურების უმნიშვნელოვანესი დარგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანა მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს **ჩაის კულტურის განვითარებას.** ჩაის საქმის წარმატებით განვითარება, ჩაის იმპორტის პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად, უდიდეს გავლენას მოახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე. წარსული წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩაის საქმის მთელი რიგი პრაქტიკული პრობლემების გარდა, მიიღო დადგენილება ჩაის საქმის განვითარების პერსპექტივების შესახებ და ხუთწლედის ვარაუდი გაადიდა 70.000 ჰექტარამდე (ეს ციფრი საკავშირო ორგანოების მიერ შემდეგ აყვანილ იქნა 75.000 ჰექტარამდე). ჩაის კულტურის განვითარების მიმართულების შესახებ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: მთელი ფართობის 85 პროცენტი უზრუნველყონ კოლმეურნეობებმა (70 პროც.) და საბჭოთა მეურნეობებმა (15 პროცენტი).

ჩაის კულტურის ზრდის განხილვა გვიჩვენებს, რომ 1930 წელს ჩაის ფართობი, 1929 წელთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილა. 1929 წ. გაშენდა ჩაის ახალი პლანტაციები 3.842 ჰექტარის რაოდენობით (გეგმით გათვალისწინებული იყო 3.641 ჰექტარი), 1930 წელს გათვალისწინებულია 6.500 ჰექტარი პლანტაციების გაშენება. აქედან 10 მაისისათვის ფაქტიურად გაშენდა 5.309 ჰექტარი, ანუ 81,7 პროცენტი. 1930 წელს ჩაის ფართობი აყვანილი იქნება 14.841 ჰექტარამდე, ანუ 1929 წლის 182,9 პროცენტამდე. ნედლი ჩაის პროდუქციის საერთო ზრდამ, 1929 წელთან შედარებით, უნდა მიაღწიოს 29,3 პროცენტს (კილოგრამებით).

აბრეშუმის საქმის განვითარების დარგში უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს საკვები ბაზის (თუთის ხე) გაფართოება და მოსავლიანობის გადიდება. მეაბრეშუმეობის რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია კვების მექანიზაცია, განმეორებითი კვების შემოღება მაშინ, როდესაც მეაბრეშუმეობა შეფარდებულია სოფლის მეურნეობის სხვა სახეებთან (უმთავრესად საბჭოთა მეურნეობებში). ყოველივე ეს, საჭირო აგროლონისძიებათა განხორციელების შემთხვევაში, სწრაფად გაადიდებს აბრეშუმის პარკის მოსავალს. მეაბრეშუმეობის 5-წლიანი გეგმის განხილვის დროს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ის ვარიანტი, რომლითაც მეაბრეშუმეობის საერთო პროდუქცია ხუთწლედის დამლევისათვის ნავარაუდევია 12 ათასი ტონის რაოდენობით, ნაცვლად 1928 წლის 2.250 ტონისა. ერთ კოლოფ თესლიდან მოსავალი ნავარაუდევია 59,9 კილოგრამის რაოდენობით, ნაცვლად ახლანდელი 29 კილოგრამისა.

მეაბრეშუმეობის რეკონსტრუქციის განვითარების ასეთი ტემპები გამომდინარეობენ ამ დარგის ფაქტიური განვითარებიდან. მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის ზრდას ახასიათებს შემდეგი ციფრები: პლანტაციების რაოდენობა 1927-28 წელს შეადგენდა 64 ჰექტარს, 1928-29 წელს—181 ჰექტარს, 1929-30 წელს—563 ჰექტარს.

1930 წელს ნედლი აბრეშუმის პარკის მთელი გამოსავალი ნავარაუდევია 3.390,2 ტონის რაოდენობით, ე. ი. 50 პროცენტით მეტი, ვიდრე 1928 წელს იყო.

საქართველოს **მებამბეობის** პრობლემის განხილვის დროს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, თანახმად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივებისა, მებამბეობის იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მას მრეწველობის ნედლეულის ბაზის გაფართოების საქმეში აქვს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მებამბეობის რეკონსტრუქციის გაფართოების ამოცანებს, იმ შესაძლებლობასთან შეფარდებით, რომელიც ამ დარგში არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ბამბის ნათესის ფართობი ყოველწლიურად (1927 წლის გამოკლებით) იზრდება და ამ ფართობმა 1,2 პროცენტით გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს, (1929 წელს უდრიდა 8.293 ჰექტარს, ხოლო 1919 წელს—8.193 ჰექტარს), აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა ჰექტარის მოსავლიანობაც,— მაინც მებამბეობის ახლანდელი მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ბამბის ფართობის საგრძნობლად გადიდება შეიძლება იმ კულტურების განდევნის ხარჯზე, რომლებიც მას კონკურენციას უწევენ. უნდა შემუშავდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბამბის ნათესების ინტენსიურ გაფართოებას სხვა კულტურების ხარჯზე.

ბამბის მოსავლიანობის უაღრესი ჩამორჩენილობა, ბამბის რაიონების პარტიული, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების წინაშე სვამს მოსავლიანობის გადიდების პრობლემას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე უფრო საჭირო ამოცანას. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მებამბეობის რაიონებში უკანასკნელ ხანებში გაშალეს მასიური მუშაობა იმ ღონისძიებათა ჩასატარებლად, რომლებმაც უნდა გაადიდონ ბამბის მეურნეობის მოსავლიანობა.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერების შედეგად მებამბეობის გეგმის შესრულების საქმეში შემდეგი სურათი გვაქვს: გეგმით 1930 წელს განზრახულია 12 ათასი ჰექტარის დათესვა, ფაქტიურად კი ა.-წ. 10 მაისისათვის დაკონტრაქტებულია 13.255 ჰექტარი, ნაცვლად 8.331 ჰექტარისა, რომელიც 1929 წელს იყო.

1929 წელს დამზადდა 2.800 ტონა ბამბა (1930 წლის პირველი მაისისათვის). 1930 წელს გათვალისწინებულია 7.000 ტონა ბამბის დამზადება.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა ბორჩალოს რაიონში მომავალში დააჩქარებს ბამბის მეურნეობის რეკონსტრუქციას.

მიუხედავად იმისა, რომ **მეთამბაქოობა** სამრეწველო ნედლეულის ერთ-ერთ დეფიციტიან დარგს წარმოადგენს, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ის სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თამბაქოს მოსავალზე განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია 1929 წლის გვალვამ. მეთამბაქოობის ზრდის საქმეში უარყოფითი როლი ითამაშა აგრეთვე იმან, რომ არ იყო მოწესრიგებული მეთამბაქოეთათვის სურსათის მიწოდების საქმე. მაგრამ გასული წლის განმავლობაში ჩვენ აქაც ერთგვარი ზრდა გვაქვს.

თამბაქოს ფართობი იზრდება შემდეგნაირად: 1928 წელს იყო 13.314 ჰექტარი, 1929 წელს—14.484 ჰექტარი, 1930 წელს—21.880 ჰექტარი (გეგმის მიხედვით). ამასთან შეფარდებით იზრდება ნედლეულის სასაქონლო გამოსავალი: 1928 წელს იყო 9.749 ტონა, 1929 წელს—8.774 ტონა (შემცირება გამოიწვია მოუსავლობამ), 1930 წელს (გეგმით)—17.837 ტონა.

თამბაქოს მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვას ძალიან უშლის ხელს თამბაქოს მეურნეობათა უმრავლესობის კულტურული და საყოფაცხოვრებო ჩამორჩენილობა. მეტად უმნიშვნელოდ იყენებენ მინერალურ სასუქებს, რის გამოც ნიადაგი, რომელიც თამბაქოსათვის განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს მალე იფიტება. ზომაზე მეტად ნაკლებია თამბაქოს ხარისხი და სხვ.

უკანასკნელ ხანებში ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა მიიღეს სხვადასხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ თამბაქოს მეურნეობის რეკონსტრუქციას მისი განსაზოგადოებისა და გამსხვილების საფუძველზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს **მესაქონლეობა.** 1928-29 წელს ცხვრისა და ღორის რიცხვი შემცირდა, 1929-30 წელს მესაქონლეობის ყველა დარგში კი გვაქვს რიცხვის შემცირება ან სტაბილური მდგომარეობა. ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ მესაქონლეობა მეტად არა ხელსაყრელ მდგომარეობაშია. მე-6 ყრილობამ აღნიშნა ეს მდგომარეობა და მისი მთავარი მიზეზები. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლის განმავლობაში მესაქონლეობის მდგომარეობა გაუარესდა. მესაქონლეობის ზრდისა და რეკონსტრუქციის საკითხის გადაწყვეტა ამჟამად ყველაზე უფრო სწრაფად შეიძლება მესაქონლეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების შექმნით. 1929-30 წელს ეწყობა მესაქონლეობის შვიდზე მეტი საბჭოთა მეურნეობა, რომლებსაც საერთოთ ეყოლებათ 10.000 სული წვრილფეხა და 4.000 მსხვილი საქონელი.

მიუხედავად იმისა, რომ მესაქონლეობის მდგომარეობა ცუდია, ამ დარგის განვითარების საკითხები, როგორც ეს ცენტრალურმა კომიტეტმა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული და შეტანილი სოფლის მეურნეობის საერთო გეგმაში.

რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანები მოითხოვენ იმ **საადგილ-მამულო ორგანოების** მუშაობის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას, რომლებსაც ევალებათ მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა და სოფლად აგრიკულტურული რევოლუციის ხელმძღვანელობა.

გასული წლის განმავლობაში მიწადმოქმედების ორგანოების მუშაობაში მოხდა ერთგვარი გარდატეხა. სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში პარტიის დირექტივების განხორციელება მიწათმოქმედების ორგანოების მიერ უმთავრესად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის საორგანიზაციო და ტექნიკური პრობლემების დამუშავების ხაზით. საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ერთ-ერთ გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენს ტექნიკური კადრების შექმნა. მთელი რიგი სრულიად ახალი კულტურების განვითარება და არსებული ტექნიკური და სპეციალური კულტურების სწრაფი ზრდა მოითხოვს ცალკე საკითხების ტექნიკურ დამუშავებას, რისთვისაც საჭიროა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდი რიცხვი. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებებში საჭიროდ სცნო მოხდეს უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაცია იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის საჭირო სპეციალისტების მეტი რიცხვის გამოშვება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ცენტრალური კომიტეტის ის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია საადგილ-მამულო ორგანოების ხელმძღვანელი კადრების გაძლიერებისაკენ. ა.-წ. იანვრისა და თებერვლის განმავლობაში, გარდა დროებით სამუშაოზე გაგზავნილებისა, ცენტრალურმა კომიტეტმა ტექნიკური და სპეციალური კულტურების რაიონებში გაგზავნა 40-მდე სამაზრო და საოლქო მასშტაბის ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებმაც მუდმივად უნდა იმუშაონ საოლქო, სამაზრო და სარაიონო მიწათმოქმედების ორგანოებში. გარდა ამისა, პარტიულ კომიტეტებს მიეცათ წინადადება—გამოჰყონ თავიანთი ხელმძღვანელ აქტივიდან, პარტმობილიზაციის წესით, მუშაკების საჭირო რიცხვი მიწათმოქმედების ორგანოების ხელმძღვანელი კადრის გასაძლიერებლად.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის წარმოებული მუშაობის ყველაზე უფრო მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს **აგრო-დახმარების** საკითხი. აგრო-სპეციალისტების ის უმნიშვნელო რიცხვიც კი, რომელიც ჩვენ გვყავს, არ არის გამოყენებული საკმაოდ რაციონალურად. აგრონომების საგრძნობი რიცხვი ჯერ კიდევ დაბანდებულია ისეთ დაწესებულებათა აპარატებში, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ აგრონომიასთან. ნაწილობრივ კი აგრონომები ცუდად არიან გამოყენებულნი თვით იმ საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებშიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობენ. ფრიად მცირეა აგრო-დაწესებულებათა და აგრო-პერსონალის ქსელი სოფლად. მაგალითად, მთელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში მოიპოვება მხოლოდ 237 აგრო-სპეციალისტი. კოოპერაციის სხვადასხვა სპეციალური კურსები (მებამბეობის, მეთამბაქოობის, მესაქონლეობის) გაიარა მხოლოდ 530 კაცმა. ასეთივე მდგომარეობაა საადგილ-მამულო ორგანოების სისტემაში.

უმნიშვნელოა აგრეთვე აგრო-დახმარების საქმეზე გადადებული თანხები.

იმ გადამწყვეტი მნიშვნელობის გამო, რომელიც **მოსავლიანობის პრობლემას** აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საქმეში, მე-6 ყრილობამ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს პრაქტიკულ ამოცანად დაუსახა, ერთის მხრით, მოსავლიანობის გადიდების საკითხის რაც შეიძლება სწრაფად დამუშავება (ცდის ხაზით), მეორეს მხრივ—მოსავლიანობის გადიდების იმ საშუალებათა მასიურად გამოყენება, რომლებიც უკვე ხმარებაშია (უჯიშო თესლის შეცვლა მაღალი ხარისხის თესლით, მავნებლებთან ბრძოლა, თესვის რაციონალური ცვლა და მთელი რიგი სხვა აგრიკულტურული ღონისძიებანი).

მაღალი ხარისხის თესლის მოსამზადებელი მუშაობა, ცდები მარცვლეულის და სხვა კულტურების ახალი ხარისხოვანი თესლის შემოღების ირგვლივ აგრეთვე სათესლე მასალის კონტრაქტაცია კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში,—ყოველივე ეს საშუალებას იძლევა საგრძნობლად გაფართოვდეს კარგი ხარისხის თესლის მიწოდება და გაუმჯობესდეს სათესლე მასალა. ასეთივე მდგომარეობაა მინერალური სასუქის გამოყენების საქმეში, უმთავრესად ტექნიკური და სპეციალური ხაზით.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოსავლიანობის პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში არსებობს ერთგვარი მიღწევა, საერთოდ ჯერ კიდევ არ არის პრაქტიკულად დამუშავებული ცალკე კულტურების მიმართ.

საქართველოს პირობებში ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს **მიწათმოწყობის** პრობლემა. მხოლოდ ამას წინად შეიმუშავა მიწსახკომმა მიწადმოწყობის ინსტრუქციის პროექტი, რომელიც განხილული იქნება ხელმძღვანელ ორგანოების მიერ.

დიდი მიღწევები გვაქვს **სამეცნიერო-საგამოკვლევო და საცდელი საქმის ხაზით.** საკმარისია დავასახელოთ ელექტრო-გუთნის გამოყენების ცდები. ელექტრო-გუთნის გამოყენებას შეუძლია ნამდვილი ტექნიკური რევოლუცია მოახდინოს სოფლის მეურნეობაში. საცდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოვების გარდა, მიღწევები გვაქვს მინერალური სასუქების, საქონლის ჯიშის გაუმჯობესების და სხვა მიმართულებით წარმოებულ ცდებში.

დასასრულ, ახალი დაწესებულებების შექმნა (ჩაის ინსტიტუტი და სხვ.) შესაძლებელს ხდის პრაქტიკულად იქნას დაყენებული ცდები მთელ რიგ ტექნიკურ და სპეციალურ ტექნიკათა მიმართ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის **სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესმა** მე-6 ყრილობის შემდეგ უდიდესი გასაქანი მოიპოვა საშუალო და ღარიბ გლეხთა მასების შებრუნების შედეგად, რაც გამოიხატა მათი მასიური შესვლით კოლმეურნეობებში. გარდა ზოგიერთი რაიონებისა (აჭარისტანი, ოზურგეთი, აფხაზეთი), კოლმეურნეობები, რომელთა უმრავლესობაც წინად მიწის დამამუშავებელ ამხანაგობებს წარმოადგენდნენ, გადაკეთებულ იქნენ უმთავრესად არტელის სახის გაერთიანებებად. იმ შეცდომების შედეგად, რომლებიც დაშვებულ იქნენ კოლექტივიზაციის საქმეში და, რომლებიც გამოიხატა კოლექტივიზაციის არაბუნებრივ ტემპებში, ა.-წ. მარტის დასაწყისიდან კოლექტივიზაციის პროცენტი, რომელმაც მანამდე მთელი რესპუბლიკის ფარგლებში 70 პროცენტს, ხოლო ზოგიერთ რაიონში 90 პროცენტსაც მიაღწია, სწრაფად იწყებს დაცემას. კოლმეურნეობათა რიცხვის შემცირება დაახლოებით უდრის იმ მეურნეობათა საერთო რიცხვის 65 პროცენტს, რომლებიც პირველ მარტისათვის კოლმეურნეობებში ითვლებოდნენ.

საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდის მაჩვენებელთა შედარება 1929 წლის პირველი ოქტომბრიდან 1930 წლის პირველ მაისამდე (ე. ი. 29-30 სამეურნეო წლის პირველი 7 თვის განმავლობაში) შემდეგ სურათს იძლევა: კოლმეურნეობათა რიცხვი 903-დან 2.084-მდე ავიდა; გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი 15.658-დან ავიდა 103.990-მდე, ანუ კოლექტივიზაციის 23 პროცენტამდე. განსაზოგადოებული მიწათსარგებლობა გაფართოვდა 30.155 ჰექტარიდან 215.824 ჰექტარამდე ანუ 17 პროცენტამდე. კოლმეურნეობის საშუალო ზომა გაიზარდა 17 მეურნეობისა და 33,5 ჰექტარი მიწიდან 49 მეურნეობასა და 102 ჰექტარამდე. 29 წლის ოქტომბრისათვის კოლმეურნეობის უდიდესი ზომა შეადგენდა 280 მეურნეობას; ამ ზომამ მიაღწია ისეთ კოლმეურნეობამდე, რომლებიც აერთიანებდნენ 500-დან 1.500 მეურნეობამდე. განსაზოგადოებულ იქნა მუშა-საქონლის 16,7 პროცენტი (რიცხვობრივად ყველა სახის საქონელი—99.052 სული). ძალიან სწრაფად ერთიანდება კოლმეურნეობათა ხელში მრავალწლოვანი ნარგავები, როგორც ძველად გაშენებული, ისე ისინი, რომლებიც ახლად შენდება.

მე-6 ყრილობამ აღნიშნა, რომ „უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა კულაკობის აქტივობა და გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა საქართველოს სოფლებში“. აქედან გამომდინარეობდა პარტიული ორგანიზაციების ამოცანა პარტიისა და მუშათა კლასის დასაყრდენის—ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების—შემდგომი დარაზმვა სოფლად, კულაკობასთან ბრძოლის გაძლიერება და მისი არა მარტო შეზღუდვა, არამედ შევიწროება“ „მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის“ მშენებლობით.

ამასთან შეფარდებით განვლილი წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანის შესრულების საფუძველზე ანხორციელებდა **კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის პოლიტიკას.**

ჯერ კიდევ 1929 წლის დეკემბრის დირექტივაში გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა, რომ:

„გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარება, რომელიც სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებს სწყვეტს, აქტიურ წინააღმდეგობას შეხვდება სოფლის კაპიტალისტური (კულაკური) ელემენტების მხრით“. ეს დებულება სავსებით გამართლდა. ამიტომ და ამასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას **ღარიბთა შორის მუშაობის შესახებ.**

მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის მრავალი დირექტივისა და პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მიერ მიღებული ღონისძიებებისა, ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის სისტემატიური მუშაობა ორგანიზაციათა უმრავლესობაში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. ღარიბთა ჯგუფები ორგანიზაციების მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვში მუშაობენ სისტემატიურად. ღარიბთა კრებები, რომლებიც უკანასკნელ წელს უკვე შევიდნენ სოფლის ორგანიზაციების მუშაობის სისტემაში, ჯერ კიდევ არ თამაშობენ პარტიის პოლიტიკური დასაყრდენის როლს სოფლად და უმრავლეს შემთხვევაში უმნიშვნელო საკითხებს არკვევენ. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ბრძოლა იმ კულაკობის წინააღმდეგ, რომელიც აქტიური მავნებლობის და ტერორისტული ბრძოლის გზას დაადგა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხშირად სწარმოებდა არა იმ ხაზით, რომ სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობას, ორგანიზაციული ზეგავლენა მოეხდინა კულაკობაზე, უმთავრესად ამ ბრძოლას აწარმოებდნენ ღარიბ გლეხთა ცალკე ჯგუფები, პროლეტარული დიქტატურის ორგანოების დახმარებით.

პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობაში სოფლად უკანასკნელ წელს მიღწეულ იქნა ერთგვარი გაუმჯობესება. პარტიის წმენდამ, პარტიის რიგებიდან გახრწნილი არაკომუნისტური და უცხო ელემენტების განდევნასთან ერთად, შესაძლებელი გახადა სოფლის პარტორგანიზაციების შემადგენლობის შესწავლა, სოფლის კომუნისტების სიმტკიცის შემოწმება. მაგრამ სოფ. კომუნისტების მეტად მცირე იდეურ-პოლიტიკური დონე ჯერ კიდევ უარყოფით როლს თამაშობს სოფლად პარტიის გენერალური ხაზის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში. სოფლის პარტორგანიზაციების მუშაობაში უფრო მეტად უარყოფით როლს თამაშობს ქვედა პარტიულ მუშაკთა და პარტიული მასიური მუშაობის სისუსტე და პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მეტად ნელი შეგუება ახლანდელ პერიოდის ამოცანებთან. როგორც კოლექტივიზაციის და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გამოცდილებამ დაგვანახვა, სოფლის უჯრედების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი დეფექტი მოიპოვება. მთავარ დეფექტად უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელობის სისუსტე სოფლის მეურნეობის ორგანიზაციული მოწყობის საქმეში, უპარტიო აქტივის სუსტი მომზადება, მასიური მუშაობის სისუსტე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ **საბჭოების** მუშაობაში მოხდა ერთგვარი გარდატეხა იმ მხრივ, რომ ისინი დაუახლოვდნენ სოფლის მეურნეობის ორგანიზატორის როლს,—მათი მუშაობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. სოფლის საბჭოების უმრავლესობა ჯერ ისევ ადმინისტრატიული ხელმძღვანელობის ორგანოებად დარჩნენ, ისინი მრავალ არასამეურნეო ხასიათის საკითხს არჩევენ და ჯერ კიდევ არ არიან მჭიდროთ დაკავშირებულნი სამეურნეო მუშაობის საქმესთან სოფლად. სოფლის საბჭოების მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი დაადგა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმის კონკრეტული ხელმძღვანელობის გზას.

სოფლად მასიური მუშაობის პირველ, ცოტად თუ ბევრად სერიოზულ შემოწმებას საქართველოს კომპარტიის (ბ) ზოგიერთი ორგანიზაციისათვის წარმოადგენდა პურის დამზადების კამპანია, რომელმაც საერთოდ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ პურის დამამზადებელი რაიონების პარტორგანიზაციებმა სავსებით ჯერ ვერ განამტკიცეს ღარიბი და საშუალო გლეხობის ის აქტივობა, რომელიც მიღწეულ იქნა პურის დამზადების პერიოდში, მათ ვერ გამოიყენეს ეს აქტივობა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის და კულაკის საწინააღმდეგო შეტევის ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის.

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის და კოლექტივიზაციის პერიოდში პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში თავი იჩინა პარტიის ხაზის მრავალმა სერიოზულმა დამახინჯებამ და საშუალო გლეხთა საწინააღმდეგო გადახრამ სოფლად, რაც უფრო გაამწვავა იმან, რომ კულაკებმა და ანტისაბჭოთა ელემენტებმა ეს შეცდომები და გადახრები გამოიყენეს პარტიის გენერალური ხაზის სახელის გასატეხად.

საკოლმეურნეო მოძრაობის სწრაფი ზრდა, რომელიც 1929 წლის დასასრულიდან დაიწყო, იმაში გამოიხატა, რომ საშუალო და ღარიბი გლეხების ძირითადმა მასებმა საბოლოოდ პირი იბრუნეს სოციალიზმისაკენ. ამ ზრდამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ კულაკური წარმოება შეცვლილიყო კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობის მსხვილი წარმოებით. ყოველივე ამან საქართველოს პარტორგანიზაციის წინაშე დასვა საკითხი „კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე“ გადასვლის შესახებ. პარტიის პოლიტიკის ამ შეცვლას ქვედა პარტორგანიზაციების უმრავლესობა მოუმზადებლად შეხვდა. ბევრი პარტორგანიზაცია გაიტაცა კოლექტივიზაციის პროცენტმა მიღწევამ და დაადგა საკოლმეურნეო მოძრაობის ხელოვნური გაძლიერების გზას, რასაც პირველ ყოვლისა მოჰყვა ის, რომ ისინი, ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის ნაცვლად, „ბიუროკრატიულად ადგენდნენ“ ფანტასტიურ გეგმებს და მექანიკურად აარსებდნენ ცრუკოლმეურნეობებს ყოველი ცალკე რაიონის სოციალ-ეკონომიური თავისებურებების და ცალკე რაიონების სპეციფიური ხასიათის გაუთვალისწინებლად.

საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ პარტიის მიერ მიცემული დირექტივების ასეთი შემცდარი გაგების შედეგად, თებერვლის დამდეგს გამოირკვა პარტიის ხაზის სერიოზული გაუკუღმართება ადგილებზე. კოლექტივიზაციის მიმდინარეობაში ზოგიერთმა ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციამ დაიწყო ნებაყოფლობის პრინციპის პირდაპირი დარღვევა კოლმეურნეობებში შესვლის დროს; ხშირად ისინი, მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის უპირატესობათა სისტემატიური განმარტებითი მუშაობის ნაცვლად, მიმართავდნენ გლეხების კოლმეურნეობებში მექანიკურად შეყვანის პოლიტიკას (ზოგიერთ შემთხვევაში—პირდაპირ ზეგავლენასაც).

ზოგან სოფლის პარტიული ორგანიზაციები აჰყვნენ ცალკე ღარიბების განწყობილებას, რომლებიც საშუალო გლეხის წინააღმდეგ იყო მიმართული (ხშირად შეუგნებლად) და დაადგნენ საშუალო გლეხის ინტერესების დარღვევის გზას. ცალკე შემთხვევებში საშუალო გლეხებზე გავრცელდა კულაკობის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდები კი. ერთ-ერთ მეტად უხეშ შეცდომას წარმოადგენს აგრეთვე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის განხორციელება გარეშე იმისა, რომ კოლმეურნეობებში გაერთიანებული ყოფილიყო გლეხობის დიდი უმრავლესობა. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ რაიონში.

ამ შეცდომების აღმოჩენის შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა 13 თებერვლის დადგენილებაში ადგილობრივ ორგანიზაციებს მისცა წერილობითი მითითება, სადაც ნათქვამი იყო: „ზოგიერთ პარტორგანიზაციაში არსებობს გაუგებრობის ელემენტები საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლის საქმეში, რაც გამოიხატება რიცხვობრივი ეფექტების გამოდევნებაში, კოლმეურნეობების დაარსებაში კენჭის ყრით და ამ კენჭის ყრის დროს ადმინისტრატიული ზემოქმედების საშუალებით (კრებების მოწვევა ჩაწლის მეორე დღეს და სხვ.), ამა თუ იმ რაიონის თავისებურებათა მთლიანად გაუთვალისწინებლობაში და „კოლექტივიზაციის თამაშში“.

ეს გაუგებრობა არსებითად იმაში მდგომარეობდა, რომ ამა თუ იმ რაიონის ორგანიზაციები, ნაცვლად ფართო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისა, ნაცვლად იმისა, რომ გაეძლიერებინათ მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხობის ორგანიზაციები და საშუალო ფენებში განევითარებინათ კოოპერატიული საზოგადოებრიობა, ცდილობდნენ მექანიკურად გადმოეღოთ სხვა რაიონების საკოლმეურნეო მშენებლობის ეკონომიური და პოლიტიკური შესაძლებლობანი იმ საყოფაცხოვრებო და ეკონომიურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად, რომლებიც ამა თუ იმ ჩამორჩენილ ოლქს, მაზრას და რაიონს ახასიათებენ—ამით მათ სახელი გაუტეხეს საკოლმეურნეო მშენებლობას ფართო მასების თვალში.

ამ შეცდომებმა და პარტიის ხაზის გამრუდებამ მარტის შუა რიცხვებიდანვე გამოიწვიეს ცრუ კოლმეურნეობათა სწრაფი რღვევა და კოლმეურნეობებიდან გლეხთა საგრძნობი მასების გასვლა.

ცენტრალური კომიტეტი შეუდგა დაშვებული შეცდომების გადაჭრით გამოსწორებას, თუმცა ერთგვარი დაგვიანებით. მაგრამ ზოგ ადგილას ქვედა ორგანიზაციებმა ვერ გაიგეს პარტიის ასეთი ნაბიჯი. შეცდომების და გამრუდებათა გამოსწორება თავდაპირველად იგვიანებდა იმის გამო, რომ არ სურდათ ეცნოთ თავიანთი შეცდომები იმ შიშით, რომ „სახელი არ გასტეხოდათ“ გლეხობის თვალში. კოლექტივიზაციის პროცესში ადგილებზე დაშვებული შეცდომების გამოსწორების დაწყებას ხელი შეუწყო მხოლოდ იმან, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და საოლქო კომიტეტებმა აშკარად აღიარეს შეცდომები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 13 აპრილის დადგენილებაში აღნიშნულია ის მთავარი შეცდომები, რომლებიც დაუშვა საქართველოს პარტორგანიზაციამ კოლექტივიზაციის საკითხებში და, რომლებიც რამდენადმე გამომდინარეობენ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგი დადგენილებებიდან. სახელდობრ: ა) გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი გავრცელებულ იქნას ქალაქის ახალ ბურჟუაზიაზე; ბ) 1930 წელს მთელი ოლქების და მაზრების გადაცემა მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში და, წინააღმდეგ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, გეზის აღება საქართველოს მთლიან კოლექტივიზაციისაკენ 1931 წლის დამლევისათვის ან, ყოველ შემთხვევაში, 1932 წლის გაზაფხულისათვის; გ) შემცდარი დადგენილება განკულაკების შესახებ, რაც მოითხოვდა განკულაკების გატარებას არა მარტო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, არამედ სხვაგანაც; დ) საქართველოს სხვადასხვა რაიონების სპეციფიური პირობების არასაკმაოდ კონკრეტულად გათვალისწინება.

პარტიული ორგანიზაციები ამ დადგენილებებისა და ამხ. სტალინის მითითებათა („პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“) საფუძველზე შეუდგნენ ადგილებზე შეცდომების გამოსწორებას, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მდგომარეობა სოფლად. თუ მანამდე მთელ რიგ რაიონებში გართულებული მდგომარეობა იყო როგორც თესვის კამპანიის ჩაშლის მოსალოდნელობის, ისე საშუალო გლეხობასთან კავშირის დარღვევის შესაძლებლობის მხრით, ახლა ასეთი გართულებული მდგომარეობა უკვე არ არსებობს, თუმცა შეცდომები ყველგან არ არის გამოსწორებული და, მით უმეტეს ჯერ კიდევ მთლიანად არ არის თავიდან აცილებული ამ შეცდომების შედეგები. დაშვებული შეცდომების გამოსწორების საფუძველზე პარტიული ორგანიზაციები ამჟამად აწარმოებენ თავიანთი მუშაობის გარდაქმნას სოფლად. მაგრამ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ფრონტზე ჩვენი შემდგომი შეტევის ძირითად პირობას წარმოადგენს ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც „უკან რჩება და ვინც წინ მიხტის“. თუ „მემარცხენეთა“ შეცდომები ნიადაგს უმზადებენ მემარჯვენე განწყობილებათა გაძლიერებას, მემარჯვენეთა შეცდომების და მემარჯვენე გადახრა, როგორც მთავარი საფრთხე, აძლიერებენ კულაკის პოზიციას. გენერალური ხაზისათვის ბრძოლასთან და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნასთან ერთად, პარტიამ უნდა განაგრძოს გადამწყვეტი ბრძოლა ორ ფრონტზე და არც ერთი ნაბიჯით არ უნდა დასთმოს პარტიის გენერალური ხაზი.

ს. გ.

ტყავისა და ფეხსაცმელების მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი იყო 1932-33 წელში მთელ საბჭოთა კავშირში 1.500 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება. ფაქტიურად მიმდინარე 1929-30 წელში მზადდება 1.159 მილიონი მანეთის პროდუქცია და მომავალ 1930-31 წელში კი დასახულია 1.580 მილიონი მანეთის, ე. ი. 80 მილიონით მეტი, ვიდრე დასახული იყო ხუთწლედის ბოლოსათვის.

ფეხსაცმელების წარმოებას (საბჭოთა კავშირში) ხუთი წლის ბოლოში (1932-33 წ.) უნდა გამოეშვა 80 მილიონი რწყვილი ფეხსაცმელი, ფაქტიურად მიმდინარე წელში მზადდება 62 მილიონი და მომავალი წლისათვის საკონტროლო ციფრების პროექტით დასახულია 90 მილიონი რწყვილის, ე. ი. 10 მილიონით მეტი გამოშვება, ვიდრე იყო დასახული 32-33 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით.

საქართველოში თბილისის ფეხსაცმელების ქარხანაში ხუთწლიანი გეგმით 1932-33 წელში 5 წლ. ბოლოში) უნდა დამზადებულიყო 850 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, ფაქტიურად ეს შესრულებული იქნება მომავალ 1930-31 წელში. 1932-33 წელში კი აშენებული იქნება ახალი ქარხანა, რომელიც გამოუშვებს 6 მილიონ რწყვილ ფეხსაცმელს. ამ რიგად ამ დარგში ხუთწლიანი გეგმა სრულდება ექვსჯერ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე იყო დასახული.

გემოკვების მრეწველობაშიც ხუთწლიანი გეგმა სრულდება 3-3 ნახევ. წელში. გეგმით 1932-33 წელში უნდა დამზადებულიყო საბჭოთა კავშირში 2.600 ათასი ტონა ფხვნილი შაქარი. მომავალ 1930-31 წლის საკონტროლო ციფრებით კი ნავარაუდევია 2300 ათასი ტონას დამზადება, ე. ი. თითქმის იმდენის, რამდენიც უნდა დამზადებულიყო ხუთწლედის ბოლოში. პაპიროსი ხუთ წლის ბოლოში უნდა გამოშვებულიყო 75 მილიარდი ცალი, ნამდვილად პროდუქციის ეს რაოდენობა შესრულებული იქნება მომავალ 30-31 წელში.

საქართველოს თამბაქოს მრეწველობას უნდა გამოეშვა ხუთი წლის ბოლოში (1932-33 წელში) 4 მილიარდ 560 მილიონი ცალი პაპიროსი. მიმდინარე 29-30 წელში უკვე მზადდება 3 მილიარდი, მომავალი წლისათვის დასახულია საკონტროლო ციფრების პროექტით 6.100 მილიონი ცალის დამზადება. (აფხაზეთის და აჭარისტანის ქარხნების ჩათვლით). აქაც ხუთწლიანი გეგმა მესამე წელს გადაჭარბებით შესრულდება.

საკონსერვო მრეწველობაში 5-წლიანი გეგმით 1932-33 წელში უნდა დამზადებულიყო 8400 ტონა ხილის და მწვანილის კონსერვი. ფაქტიურად გამოშვებული იქნება ბევრად მეტი, ვინაიდან გარდა გორის კონსერვის ქარხნისა, ქუთაისში აგებული იქნება მძლავრი საკონსერვო ქარხანა, რომელიც 8190 ტონა პროდუქციას გამოუშვებს ერთ სეზონზე. (ქარხანა გადაამუშავებს გარდა ხილისა და მწვანილეულობისა — ხიმიდსაც.). ხუთწლიან გეგმაში ეს ქარხანა არ ყოფილა გათვალისწინებული.

სამკერვალო მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო 1932-33 წელში საბჭოთა კავშირის მასშტაბით 1600 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვება. ფაქტიურად ხუთწლიანი გეგმა სრულდება მესამე წელში, ვინაიდან მომავალი 1930-31 წლის საკონტროლო ციფრებით დასახულია 1850 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამიერ - კავკასიაში ხუთწლედის დასასრულს სამკერვალო მრეწველობას უნდა მოეცა 43 მილიონი მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად მიმდინარე 1929-30 წელში პროდუქცია უდრის 35 ნახ. მილიონ მანეთს. მომავალ 1930-31 წლისათვის საკონტროლო ციფრებით დასახულია 67 მილიონი მანეთის პროდუქციის დამზადება, ე. ი. 24 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე უნდა ყოფილიყო ხუთწლედის ბოლოში.

საქართველოს სამკერვალო მრეწველობის პროდუქცია 1932-33 წელში უნდა ყოფილიყო 33500000 მანეთის რაოდენობით. ფაქტიურად ეს რაოდენობა დამზადებული იქნება მომავალ წელში. საკონტროლო ციფრებით მომავალ 1930-31 წლისათვის დასახულია 28 მილიონი მანეთის პროდუქცია.

პოლიგრაფიულ მრეწველობას საქართველოში ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, უნდა მოეცა 1932-33 წელში 2.317.000 მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად მიმდინარე წელში ვიღებთ 1.721.000 მანეთის პროდუქციას და მომავალ წლისათვის ნავარაუდევია 2.300.000 მანეთის პროდუქცია, ე. ი. იმდენი, რამდენიც ხუთწლედის დასასრულს უნდა ყოფილიყო გამოშვებული.

საქ. ჩაის მრეწველობის 5-წლიანი პირვანდელი გეგმა იმდენათ გადაჭარბებით სრულდება, რომ ყოველწლიურათ ხდება გეგმის გადასინჯვა მისი გადიდების მხრივ. სულ პირველ ვარიანტით განზრახული იყო მხოლოდ 15 ათას ჰექტ. ჩაის გაშენება. მეორე ვარიანტით — 20 ათას ჰექტარზე. შემდეგ ეს გეგმა ერთი ორათ გადიდდა და დადგენილ იქნა ჩაის მოშენება 40 ათას ჰექტარზე. საკავშირო საგეგმო კომისიამ კი დაადგინა 60 ათას ჰექტარამდე გადიდდეს ჩაის პლანტაციები. შრომის და თავდაცვის საკავშირო საბჭომ მიმდინარე წლის თებერვალში საგეგმო კომისიის ციფრი არა საკმაოდ სცნო და მოითხოვა ჩაის პლანტაციების გადიდება 75 ათას ჰექტარამდე. ამჟამად მუშავდება საკითხი გეგმის კიდევ უფრო გაფართოების შესახებ. აქედან აშკარაა, რომ ჩაის მრეწველობაშიაც, თუ მივიღებთ მხედველობაში პირველად შედგენილ გეგმას, ხუთწლიანი გეგმა უკვე გადაჭარბებითაა შესრულებული.

სახალხო მეურნეობის დანარჩენ დარგებშიაც ჩვენ გვაქვს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება, მაგალითად ელექტროფიკაციის დარგში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე. კულტურული მშენებლობის გეგმა იმდენად მცირე გამოდგა, რომ ის უარყოფილია და სდგება სრულიად ახალი გეგმა.

ამიერ - კავკასიის და საქართველოს ხუთწლიანი გეგმები ამოწურული იქნება მესამე წელიწადში — მომავალ 1930-31 წელში. დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაწყებული მუშაობა დაზუსტებით გეგმის შესადგენათ.

ორი წლის გამოცდილება იმის ნათელი დამამტკიცებელია, რომ ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც ჩვენი მტრები „ზღაპარს“, „უტოპიას“ და „ველურ ოცნებას“ უწოდებდნენ, ნამდვილად წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ძალას. ის უზრუნველყოფს „პროლეტარულ დიქტატურის ეკონომიურ და პოლიტიკურ პოზიციების განმტკიცებას კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარედ“.

ს. გოლდაბრელიძე.

ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვა თბილისის მეორე საოლქო პარტკონფერენციაზე*)

ამხანაგებო! პირველ ყოვლისა მე უნდა აღვნიშნო, რომ მოხსენების გარშემო გამოსული ორატორები შეეხენ მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებს და ამ საკითხების განხილვის ისინი მიუდგნენ საქმიანი და პრინციპიალური თვალსაზრისით. თავის სიტყვებში ეს ორატორები მეტისმეტად ატარებდნენ სოციალისტურ მშენებლობის და პარტიულ ხაზის დაცვის იდეას.

სპეციალისტების საკითხი

უნდა აღვნიშნო, სხვათა შორის, ამხ. მშვენიერაძის და კაკაურის გამოსვლა. ისინი შეეხენ მეტად საყურადღებო საკითხს, რომელიც მუდამ ახალი საკითხია საბჭოთა აღმშენებლობისათვის. მხედველობაში მაქვს სპეციალისტების როლი ჩვენს სინამდვილეში. ამ საკითხს ჩვენ ვარკვევთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან პირველ დღეებიდანვე. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ის დღეს გადაჭრილი იყოს. ამას ზედმეტად მოწმობენ უკანასკნელ დროს გამომჟღავნებული მთელი რიგი ფაქტები სპეციალისტთა ზოგიერთი ჯგუფების მავნებლობის შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში (1917 და 1918 წ. წ.) ყველა დარგის ინტელიგენცია და პირველ რიგში ინჟინერ - ტექნიკოსთა ფენები ეჭვით უყურებდნენ პროლეტარიატის ხელისუფლების გამარჯვებას. ინტელიგენციამ საბჭოთა ხელისუფლებას ამ ხანებში ბოიკოტი გამოუცხადა. მას შემდეგ, როგორც იცით, 12-მა წელმა განვლო. სოციალისტურ მშენებლობამ, თავისი წარმატებითი განვითარების გარდა, დიდი ცვლილებები განიცადა, მოხდა ღრმა გარდატეხა საზოგადოებრივ შეგნებაში. შეიცვალა საზოგადოთ ინტელიგენციის და კერძოდ ტექნიკური ინტელიგენციის პოლიტიკური განწყობილება. მათი მნიშვნელოვანი კადრები გულწრფელად მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან და ენერგიულად ჩაება დიდ საბჭოთა აღმშენებლობაში.

მაგრამ ამასთანავე ინტელიგენციის ფენებში იყო პრივილეგიური ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ იმ კაპიტალისტურ საზოგადოების აღდგენით, რომლის ექსპლოატატორები ისინი თვითონ იყვნენ. პროლეტარულმა რევოლუციამ თავქვე დაამხო მსხვილი კაპიტალისტური მესაკუთრეობა. ამან სხვებთან ერთად შელახა ინტელიგენციის ასეთი ჯგუფების მატერიალური ინტერესები და რაა გასაკვირი, თუ ინტელიგენციის ეს წარჩინებული რანგები განვლილი დროის მანძილზე გულში მუდამ თან ატარებდა არაჩვეულებრივ სიძულვილს პროლეტარიატის ხელისუფლებისადმი. უკანასკნელ წლებში ეს სიძულვილი ჩამოყალიბდა აშკარა მავნებლობის სახით სოციალისტური მეურნეობის მთელ რიგ დიდ მნიშვნელოვან დარგებში, როგორც მაგ.: ძველი ლითონისა და ფეროანი ლითონის წარმოებაში, ტრანსპორტში, ნავთობის მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაშიაც კი.

აქ გამოვიდა ბაქოელი მუშა ამხ. ბარაბანოვი, რომელიც შეეხო აზნეფტში აღმოჩენილ მავნებლობას და მართალია, ფაქტიურად უნდა ითქვას, რომ აზნეფტში ჩვენ საქმე გვქონდა მავნებლობის ხაზით ორგანიზაციასთან, რომელიც მუშაობდა უცხოეთის პირდაპირი დავალებით. ეს მავნებლობა პოლიტიკურად, ორგანიზაციულად და იდეურად დაკავშირებული იყო ჩვენი მტრების ინტერესებთან, მათ ინტერესებთან, ვისი სანუკვარი სურვილიც არის ინტერვენციის საშუალებით შემუსრონ საბჭოთა ხელისუფლება. ასეთი საზიანო მუშაობა აზნეფტში სპეციალისტების მხრივ იწყება 1925 წლიდან. მავნებლები ღებულობენ უცხოეთიდან ფულს, მათ აქვთ მოწყობილი მავნებლობის ცენტრი მთელ საბჭოთა კავშირში, სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან წერტილში ზის მათი აგენტები.

აზნეფტში და „სოიუზნეფტ“-ში *(ძველი ნეფტესინდიკატი) ნავთის ყოფილი მრეწველები ნობელი და უცხოეთის ცნობილი ნავთის მრეწველი დეტერდინგი შეუკვეთენ მავნებლობის საშუალებით ჩვენი მშენებლობის ჩაშლას სოციალისტური მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში. განსაკუთრებით მიზანში ჰქონდათ ამოღებული მავნებლებს ბათუმ-ბაქოს და გროზნი-ტუაპსის ნავთსადენი, დღეს ამის შესახებ უტყუარად მოგვითხრობენ გამოაშკარავებული მავნებლები.

იჭვი არ არის, რომ მავნებელთა ორგანიზაციის გამოაშკარავება როგორც ნავთის მრეწველობაში, ისე ჩვენი მშენებლობის სხვა დარგებში რამდენიმე ხნით მაინც დაუკარგავს ხალისს ჩვენს მტრებს კაპიტალისტურ ქვეყნებიდან შემოაძვრონ თავისი მავნებელი ხელი სოციალისტურ მშენებლობაში. მაგრამ ჩვენ ამით სრულიად ვერ დავმშვიდდებით. საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა და მზად ყოფნა ყოველგვარ ასეთ შესაძლებლობის დაუნდობლად უკუგდებისათვის.

ძველი ფორმაციის ინჟინერ - ტექნიკოსთა კადრებს ხშირად უჭირთ თავიანთი შეგნების გარდაქმნა. ისინი ჩვენ მაინც გამოვიყენეთ და მომავალშიაც უნდა გამოვიყენოთ. თავის თავად გასაგები მიზეზების გამო, ისინი ხალისით არ ამზადებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს, არ სურთ გაუზიარონ მათ თავიანთი ცოდნა. ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ამ ხალხს ის კულტურული ტექნიკური ცოდნა, დოვლათი, რაც მათ წარსულში მუშათა კლასის ხარჯზე შეუძენიათ. ამისათვის ჩვენ უნდა შევქმნათ შესაფერი პირობები. რასაკვირველია, მე ამით სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, რომ ჩვენ ოდნავ მაინც უნდა წავიდეთ რამე პოლიტიკურ და ეკონომიურ დათმობაზე ტექნიკური ინტელიგენციის ასეთი ნაწილის წინაშე, მაგრამ საჭიროა შევქმნათ ინტელიგენციის ამ ჯგუფს პირადი და ყოფაცხოვრების ისეთი პირობები, რომ მათი ცოდნის გამოყენება შესაძლებელი იყვეს მაქსიმალური სარგებლობით. ჩვენ არც ისე მდიდარი ვართ კადრებით, რომ ეს ნაბიჯი არ გადავდგათ.

არის ინტელიგენციის ისეთი ჯგუფიც, რომელიც მოდის ჩვენთან ღრმა შეგნებით და ენტუზიაზმით. ისინი გატაცებულნი არიან, მათ უხარიათ როდესაც მისჩერებიან საკუთარი მუშაობის შედეგებს სოციალისტურ მშენებლობაში.

ამავე დროს ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ახალი კადრების მომზადების საქმე. ყოველი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ სოციალიზმის მშენებელთა ახალ თაობას გადაეცეს ის კულტურული კაპიტალი, რომელიც დააგროვა კაცობრიობამ დროთა მსვლელობაში.

საწარმოს მართვა-გამგეობის საკითხი.—დაწინაურების საქმე

აქ ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ საწარმოების ხელმძღვანელები ვერ იჩენენ ყოველთვის საქმეში საჭირო უნარს, შეცდომა იქნებოდა ამისათვის მთელი დანაშაულობის სამეურნეო მუშაკებისათვის დაკისრება. ასეთ მდგომარეობაში არა ნაკლებ მიუძღვით ბრალი ჩვენ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელი დღეში 10 სხდომას უნდა დაესწროს. საქმე კი მიტოვებულია უყურადღებოთ. თუ რომელიმე სამეურნეო მუშაკი ყველა ამ სხდომებს ვერ ესწრება, მას მაშინათვე უსაყვედურებენ. ჩვენს ადგილობრივ ორგანიზაციებს ავიწყდებათ, რომ მათი მოვალეობაა ყოველნაირად შეუწყონ ხელი სამეურნეო მუშაკებს, პირველ რიგში და უმთავრესად კი დაწინაურებულ მუშებს მართვა-გამგეობის საიდუმლოების შეთვისებაზე. ყველაფერს თავისი ზომა აქვს. კრებების დასწრებას და საზოგადოებრივ მუშაობასაც აქვს თავისი ზომა. ადგილობრივ მუშაკებმა უნდა განთავისუფლონ ასეთი დატვირთვებისაგან სამეურნეო კადრები და დაწინაურებული მუშები. მათ უნდა სთქვან: საზოგადოებრივ, პროფესიონალურ და პარტიულ საკითხებს ჩვენ უხელმძღვანელებთ, შენ კი წადი და სამეურნეო საქმე აკეთე. განსაკუთრებით უნდა ვთქვა მე ეს თბილისის ტრამვაის მუშაკთა საყურადღებოთ, სადაც დაწინაურების საქმე ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. არ შეიძლება კაცი, რომელსაც დღეს ხელში ცოცხი ეჭირა, ხვალ მანქანის მმართველად დასვან. ასეთმა შემთხვევამ ამ დღეებში უკვე გამოიღო სამწუხარო შედეგი, რომელიც ადამიანის მსხვერპლით დამთავრდა. (ხმა ადგილიდან: ყოველმა მზარეულმა უნდა ისწავლოს სახელმწიფოს მართვა). ამხანაგებო! მე მიკვირს ასეთი რეპლიკა. ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია ის მისგან, ვისაც თავის მდგომარეობით სწორად უნდა ქონდეს წარმოდგენილი დაწინაურების საქმე. მოგეხსენებათ, რომ მე დღეს პასუხისმგებელი მუშაკი ვარ, მაგრამ თქვენ რომ ხვალ ვატმანათ გამგზავნოთ, გარწმუნებთ, ეს ვერაფერ შედეგს გამოიღებს. ბევრ ამხანაგს ავიწყდება, რომ კაბინეტიდან მართვა - გაცილებით უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე მანქანაზე მუშაობა.

რასაკვირველია, შეუძლებელი არის აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ეს დებულება დაწინაურებას ეწინააღმდეგება. მუშათა დაწინაურება საბჭოთა აპარატის და სოციალისტური მშენებლობის გაჯანსაღების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. მაგრამ საჭიროა მისი დაყენება სალ ნიადაგზე.

აქ ზოგიერთი ამხანაგები ამბობდნენ, რომ რკინის გზაზე არიან სპეციალისტები, რომელნიც უნდობლად უყურებენ ტრანსპორტის რეორგანიზაციის საკითხებს. ეს ახალი ამბავი არ არის. შესაძლებელია, რომ რკ. გზაზეც იყვნენ ასეთი სპეციალისტები. მაგრამ აქედან ჩვენ ისეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საჭიროა მეტი სიფხიზლე, უფრო სისტემატიური კონტროლი და შეგნებული ხელმძღვანელობა მეურნეობაზე.

აპარატის გამუშურება

თქვენ იცით ამხანაგებო, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებმა არა ერთი დადგენილება გამოიტანეს საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების მიზნით მთელ რიგ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმის შესახებ. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აპარატის გამუშურებას. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ამიერ - კავკასიის სახელმწიფო აპარატი მეტად ბიუროკრატიულია. შეიძლება საბჭოთა კავშირის არც ერთი რესპუბლიკის აპარატში არ არის იმდენი უცხო და გადაგვარებული ელემენტი, რამდენიც ჩვენ სახელმწიფო აპარატში. ეს უნდა აიხსნას იმ სპეციფიური პირობებით, რომლებიც ჩვენ გვაქვს ამიერ-კავკასიაში. სხვა საქმეა საბჭოთა აპარატის შედგენა ისეთ სამრეწველო ცენტრებში, როგორიც არის ლენინგრადი, მოსკოვი, ხარკოვი, ბაქო და სხვ. სულ სხვა არის თბილისი, ეს ძველი ჩინოვნიკური და უაღრესად ინტელიგენტური ქალაქი, რომლის ინტელიგენციაც ამასთანავე გამოსულია ყოფილ აზნაურთა წრიდან. აქედან ცხადია, რომ ენერგიული ზომის მიღება საბჭოთა აპარატის გამუშურებისათვის ამიერ-კავკასიაში მეტად რთული და ამავე დროს უაღრესად აქტუალური ამოცანაა.

გავამაგროთ ამ.-კ. ფედერაცია

კამათში გამოსული ორატორების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხო მრეწველობის ხელმძღვანელობის საკითხს. მე უკვე ვსთქვი ჩემს მოხსენებაში, რომ ამიერ - კავკასიამ შესდგა ფეხი განვითარების ახალ საფეხურზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერ - კავკასიის ფედერაცია არის არა მარტო ეროვნული ზავის ორგანიზაცია, არამედ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაც, რომლის წინაშე ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მთელი თავისი სიმწვავით სდგას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გარდაქმნის ამოცანები სოციალისტურ საფუძველზე. სოციალისტური მშენებლობა, რომლის წარმატებით განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მტკიცე გეგმიანობა, მოითხოვს ხელმძღვანელობის კონცენტრაციას. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ის ზუსტი მმართველობა, რომელიც ასე აუცილებელია სოციალისტური მშენებლობისათვის. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას დირექტივა, რომელიც მოცემული იყო ამის შესახებ დაახლოებით 5 თვით უკან, ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. როგორც ეს ხშირად ხდება, ჩვენ მხოლოდ ფორმალურად შევქმენით ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიწსახკომი და სხვ. ნამდვილად კი ამ ორგანიზაციების მუშაობის შინაარსი ვერ აკმაყოფილებს მათ დანიშნულებას.

არის დეკლარაციები, ამ დაწესებულებებს აქვთ შესაფერი წარწერებით აბრები, არის მათ აპარატში ხალხი, მაგრამ შედეგი აქედან ჯერ კიდევ არ სჩანს.

ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით იმით, რომ ამიერ - კავკასიაში დავამყაროთ ეროვნული ზავი. ჩვენ ვერ გავჩერდებით ამ მიღწევებზე, რაც ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის ტემპებისაგან ჩამორჩენას. ჩვენი მიზანია ამიერ-კავკასია ეროვნული სოლიდარობის მტკიცე ორგანიზაციასთან ერთად, გადავაქციოთ სოციალისტურ მშენებლობის მძლავრ დასაყრდენ ეკონომიურ ბაზად. აშკარაა, რომ ამ ამოცანის განხორციელების დროს ჩვენ ბევრი დაბრკოლებები გველოდება წინ. საჭიროა ტალახის გაცლა, რომელიც დღეს აფერხებს წინსვლას ამ მიმართულებით. ჩვენი მიზანია, ზუსტად ჩამოვაყალიბოთ ფუნქციების დანაწილება, მოვსპოთ პარალელი მუშაობაში და მოვგოთ დრო, რომელიც დღეს ასე დაუზოგავათ იფლანგება უგეგმო მუშაობაში. მაგრამ ჩვენ წინ გვეღობებიან ნაციონალისტური ელემენტები და მათ გავლენის ქვეშ მოქცეული პარტიის ზოგიერთი წევრებიც კი. უკვე ისმის ნაციონალიზმის ბრძოლის სუნი ამ საკითხების გადაწყვეტის დროს. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, სადაც კედლის გაზეთში დაიბეჭდა შოვინისტური სულით გაჟღენთილი წერილი ამიერ-კავკასიის სამეურნეო მშენებლობაში დაწყებულ რეორგანიზაციის წინააღმდეგ.

საბინაო მშენებლობა

საკითხის შემდეგი ჯგუფი, რომელსაც ეხებოდნენ ორატორები — ეს არის საბინაო მშენებლობა. მომავალი წლის საკონტროლო ციფრებში ჩვენმა ხელისუფლებამ თვალსაჩინო ადგილი დაუთმო საბინაო მშენებლობას. ყველა ახალი ფაბრიკები უზრუნველყოფილი იქნება ბინებით. ეს მტკიცედ არის გათვალისწინებული გეგმებში, მაგრამ გამონაკლისს შეადგენს თბილისის მაუდის ფაბრიკა, რომელიც ნახევრად „კონტრაბანდული“ საწარმოა. თქვენ ალბად გახსოვთ დავა იმის შესახებ, საჭირო იყო თუ არა ამ ქარხნის თბილისში აგება. ეს დავა ავად თუ კარგად მაინც იმ მხრივ გადაწყდა, რომ ქარხანა თბილისში უნდა აგებულიყო და მისი მშენებლობის დროს არ იქნა გათვალისწინებული მუშათა უზრუნველყოფა ბინებით.

რაც შეეხება საზოგადოთ თბილისის და საერთოდ ყველა ძველ ქალაქების საბინაო მდგომარეობას, ეს ყოვლად არანორმალურად უნდა ჩაითვალოს. აქ ამბობენ, რომ საბინაო კოოპერატივის სახლებში შედის მუშა-მოსამსახურეთა ისეთი ნაწილი, რომელსაც დიდი ხელფასი აქვთ. ეს მართალია. სახელმწიფოს ჯერ ჯერობით არა აქვს იმდენი შესაძლებლობა, რომ თვითეული მოქალაქე უზრუნველყოს ნორმალური საბინაო პირობებით. ამიტომ ის მოუწოდებს თვით მუშა-მოსამსახურეთა მასას კოოპერატიულად შეკავშირების გზით გაერთიანონ საშუალებები და გაშალონ საბინაო მშენებლობა. თავის მხრივ სახელმწიფო დახმარებას უწევს მას გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტებით. რაც შეეხება მოქალაქეთა ისეთ ნაწილს, რომელიც მოკლებულნი არიან საშუალებას ამ გზით მიიღონ მათთვის საჭირო ბინა — ამაზე უფრო მეტად და უფრო აქტიურად უნდა იზრუნონ ქალაქების აღმასკომებმა და მათ კეთილმოწყობის განყოფილებებმა.

საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები

კამათში გამოსული ორატორების დიდი უმრავლესობის ყურადღება ბუნებრივად მიიპყრო საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებმა. ამ მხრივ საგულისხმოა ამხ. ნასარიძის გამოსვლა. ამხანაგი ნასარიძე არ მეთანხმება, რომ ჩვენი ხაზი გარკვეულია. ბოლშევიკური პარტიის სტრატეგია კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგშიაც მოცემულია. ადგილობრივი ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა ამ სტრატეგიის საფუძველზე გაშალონ, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, სათანადო ტაქტიკური მუშაობა. კოლექტივიზაციის დარგში კი ეს ბევრგან ასე არ მოხდა. ჩვენ ვერ გავიგეთ პარტიის მიერ მოცემული ხაზი და ავირჩიეთ დაჩქარებული, შეტევითი ტაქტიკა. ამ შეცდომების საფუძველზე ჩვენ ახალი ტაქტიკური მეთოდით უდგებით საკოლმეურნეო მშენებლობას, რომ განვახორციელოთ პარტიის გენერალური ხაზის მიერ დასახული სტრატეგიული გეგმა. სტრატეგია ჩვენ გვქონდა მშვენიერი, მაგრამ ადგილობრივი მუშაკების ტაქტიკა აღმოჩნდა ცუდი. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც მივიღეთ საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში უდიდესი დადებითი შედეგები. ზოგიერთი ამხანაგები კი დაავადებულნი არიან ერთგვარი პარტიკულარისტული კუთხური პატრიოტიზმით. არის, ასე ვსთქვათ „გურული პატრიოტიზმი“, „ოსური პატრიოტიზმი“, „რაჭული პატრიოტიზმი“ და სხვა.

ამის ნიმუში მოგვცა ამხანაგმა ნასარიძემ, რომელმაც აქ განაცხადა, რომ კულტურულად მომზადებით რაჭველი გლეხობა საქართველოში მეორე ადგილას სდგასო. ამ განცხადებას არავითარი კავშირი ქონია საქმესთან. ამასთანავე ამხანაგი ნასარიძე გვარწმუნებს, რომ ამბროლაურის რაიონში კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხკაცობის 75 პროცენტი. ის ამტკიცებს აგრეთვე, რომ იქ კოლმეურნეობანი სავსებით ჯანსაღი და მტკიცე იყვნენ, მაგრამ როდესაც დაიწყო კოლმეურნეობათა ბუნებრივი გაცხრილვა, ის მექანიკურად ამბროლაურის ჯანსაღ კოლექტივებზე დაც გადიტანეს და დაშალეს. ეს ამხ. ნასარიძის სიტყვით, მემარჯვენე გადახრაა. რა საჭიროა ასეთი გადაჭარბებული ოპტიმიზმი და კატეგორიულობა; პირადათ მე, თუ კი ამბროლაურის რაიონში მართლაც ასეთი მდგომარეობა იყო, აღტაცებისაგან თავდავიწყებას მივეცემოდი. მაგრამ შესაძლებელია ეს ასე არ არის. შესაძლებელია იქ არ ყოფილა ასე მტკიცედ გაერთიანებული გლეხკაცობის 75 პროცენტი. (ხმა ადგილიდან: „დაახლოვებით 35 პროცენტამდე იყო“). ამხანაგებო, სწორედ ეს სიტყვა „დაახლოვებით“ უკვე თითქმის თავად ყველაფერს ლაპარაკობს. (სიცილი). ამხ. ნასარიძე ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო აქტივისტთაგანია და მას ასეთი შეცდომა მოსდის უნებლიეთ ისევე, როგორც ბევრ სხვას. მე მინდა ვსთქვა, რომ საკითხების შეფასების დროს საჭირო არ არის მდგომარეობის ვარდის ფერებით დახატვა და კუთხური პატრიოტული ტრაბახობა.

კოლექტივიზაციის საკითხს შეეხო აგრეთვე ამხანაგი ბარაბანოვი. მე მინდა კონფერენციის განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო მის გამოსვლას. მან სთქვა, რომ ჩვენს პარტიაში ცოტა-ღა დარჩა რევოლუციონური აღტკინება. ბევრნი, განაცხადა ბარაბანოვმა, რევოლუციას დასრულებულად სთვლიანო, საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში დაშვებული შეცდომები ცუდი ხელმძღვანელობის შედეგი არის. მოცემული იყო ბრმა დირექტივა და უნდა შესრულებულიყო იგი.

მე გეკითხებით, ხომ არ არის ამხანაგი ბარაბანოვი ბაქოს მუშაკთა იმ ერთი ჯგუფიდან, რომელიც სწორედ ასე აფასებდა საკოლმეურნეო მშენებლობის დღევანდელ მდგომარეობას? ბარაბანოვის გამოსვლას კონფერენციაზე არაფერი საერთო არ აქვს კომუნისტურ ხაზთან. მისი სიტყვა სრულიად ანტიპარტიული მსჯელობის ნიმუშია. ესაა ნამდვილი ცილისწამება პარტიის წინააღმდეგ. მე გეკითხებით, ამხანაგებო, თუ ცეკამ მოგვცა სწორი ხაზი და ის ჩვენ ვერ განვახორციელეთ, ვის უნდა დავაკისროთ ამისათვის პასუხისმგებლობა? საჭიროა ისწავლონ პარტიული პოლიტიკა, საჭიროა ერკვეოდნენ პარტიულ საკითხებში და შემდეგ გამოვიდნენ სალაპარაკოთ.

მუშაობა ქალთა შორის

საკოლმეურნეო მშენებლობაში მიღებულ გაკვეთილებმა სოფლად მუშაობის ბევრი მტკივნეული ადგილი გამოაამჟღავნა. განსაკუთრებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას ამ მხრივ მუშაობა გლეხ-ქალთა შორის. სინამდვილემ გვიჩვენა, რომ ქალთა სექტორი კოლექტივიზაციის მშენებლობის დარგში არა თუ გვეხმარებოდა, არამედ ბევრგან წინააღმდეგობასაც გვიწევდა. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენს ადგილობრივ მუშაკებს დღემდე კიდევ ახასიათებს ზერელე დამოკიდებულება ქალთა შორის მუშაობისადმი. ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ სოციალიზმის აშენება არ შეიძლება ქალთა მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე (ტაში). ქალი არის საუკეთესო „აგიტპროპი“ ოჯახში. ეს ამხანაგებს ხშირად ავიწყდებათ.

წინად იყო ისეთი მდგომარეობა, როდესაც ეკლესიებში ქალები და კაცები დანაწილებულნი იდგნენ. წინ, საკურთხეველის მახლობლად ხუცესთან და დიაკონთან იყო მამაკაცები, მათ უკან კი — ქალები. ეს მავნე ტრადიციული ჩვეულება დღესაც ძალზე დაღს აჩნევს ქალთა შორის მუშაობას. სოციალიზმის მშენებლობა, სხვათა შორის, სარწმუნოების უარყოფაც არის. ამიტომ შეუძლებელია მამაკაცების პირველ რიგში დაყენება და ქალების უკანა სექტორში მოქცევა. ასე არ შეიძლება ბრძოლა სოციალიზმისათვის. საჭიროა მოვამზადოთ კადრები მშრომელ ქალებისაგან არა მარტო პარტიულ მუშაობისათვის და მრეწველობისათვის, არამედ სოფლის საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებისათვისაც. არ უნდა დავივიწყოთ ქალთა შორის მუშაობა ღარიბთა ჯგუფების შეკავშირების დროსაც. ღარიბთა ჯგუფები მოჯამაგირე და ღარიბ ქალების გარეშე, სოფლად მუშაობა საშუალო გლეხქალთან კავშირის გარეშე შეუძლებელია.

ორიოდე სიტყვა ამხ. ილაგერდიძის გამოსვლის შესახებ. ის შეეხო ენის საკითხს. ეს საკითხი ამიერ - კავკასიის სინამდვილეში უაღრესად დიდმნიშვნელოვანია. საბჭოთა კონსტიტუციის ძალით ყველა დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს მოქალაქეებთან საქმე მათთვის გასაგებ ენაზე. ამასთანავე საჭიროა შევისწავლოთ მშრომელ მოსახლეობის ის ენები, რომელნიც გაუადვილებენ მას კულტურულ ცოდნის შეძენას და ერთმანეთთან ურთიერთობას. უნდა ითქვას, რომ სახალხო განათლების ორგანოების მუშაობას ამ მხრივ დიდი ნაკლი აქვს. მასების ჩასაბმელად კულტურულ მუშაობაში, მათ გასათვითცნობიერებლად საჭიროა ამ ფენებიდან გამოსული კადრები აღვზარდოთ სამშობლო ენაზე. აქედან იბადება საკითხი სათანადო ლიტერატურის გამოშვების გაძლიერების შესახებ. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, აქ კარგი იქნებოდა ყველა ენების შემოღება.

ჩვენ გვინდა არა მარტო რუსული ენის ცოდნა, რომელიც აძლევს ადამიანს დიდ კულტურის საუნჯის გასაღებს, არამედ გერმანული, ინგლისური და ფრანგულიც. ყოველივე ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს სოციალისტური მშენებლობის განვითარებას.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ჩვენს შემდგომ პარტმუშაობაზე. ამიერ - კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით ბევრი ახალი გაკვეთილი მიიღეს. მოხდა ამიერ - კავკასიის საოლქო პარტიულ კომიტეტის და რესპუბლიკანური ცენტრალურ კომიტეტების ზოგიერთი მუშაკების შეცვლა, თითო-ოროლა გზა აბნეულ ელემენტებს ეს შეეძლოთ თავისებურად გამოეყენებინათ. საჭიროა პარტიის რიგების კიდევ უფრო შემჭიდროება, ბოლშევიკური ძალების უფრო მტკიცედ გაერთიანება, რომ არ დაუშვათ მომავალში შეცდომები და წარმატებით განვახორციელოთ პარტიის გენერალური ხაზი. (ხანგრძლივი ტაში).

---

*) ამხ. ელიავას მოხსენების ანგარიში გამოქვეყნებული იქნება.

კონფერენციის დღიური

გუშინ საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ე. ახრიბეკოვის მოხსენება რუსულ ენაზე თბილისის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება, ამის შემდეგ გაიხსნა კამათი ამხ. ლ. სუხიშვილის და ამხ. ე. ახრიბეკოვის მოხსენებების გარშემო.

ქართულ ცხენოსანი ლეგიონის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. **ხოშტარია და გაბიჩვაძე.**

გუშინდელი სხდომის ანგარიში მოთავსებული იქნება გაზეთის შემდეგ ნომერში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო ორგანიზაციის მე-2 პარტკონფერენცია

ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის

ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ

მეოთხე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლ. სუხიშვილის საანგარიშო მოხსენება თბილისის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. მომხსენებელს კონფერენციამ ფეხზე ადგომით ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა.

ამხანაგებო! თბილისის პარტიული კომიტეტის მუშაობა, განვლილ საანგარიშო პერიოდის მანძილზე, მიმდინარეობდა იმ დირექტივების საფუძველზე, რომელიც მოგვცა ჩვენ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ, მე-16 პარტკონფერენციამ, ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა.

ჩვენი მთავარი ყურადღება ამ ხნის განმავლობაში მიქცეული იყო ორ ფრონტზე ბრძოლისათვის. ერთი მხრივ პარტიის ხაზის ოპორტუნისტულად დამახინჯებელთა-მემარჯვენე გადახრის გამომხატველთა წინააღმდეგ და მეორე მხრივ კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკისტულ გამოსვლების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ტროცკიზმი საქართველოში სხვადასხვა სპეციფიური მიზეზების გამო მეტად გავრცელებული იყო საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთან შედარებით. ამის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ჩვენში სუსტია ინდუსტრიალური პროლეტარიატი და სამაგიეროდ სჭარბობენ წვრილ-ბურჟუაზიული მეშჩანური ელემენტები.

როგორ იზრდება თბილისის მრეწველობა

ამ საკითხთან ერთად თბილისის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამრეწველო მშენებლობას. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თბილისის ოლქის მრეწველობა ფეხდაფეხ მიჰყვება საერთოდ მთელი კავშირის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ტემპებს. ამას მოწმობენ ის ფაქტები, რომლებზედაც მე მინდა ქვემოთ შევაჩერო თქვენი ყურადღება. მაგალითად: 1928—29 სამეურნეო წელში სოციალისტური სექტორი—მრეწველობა 98,8 პროცენტს უდრიდა, 1929-30 წელში კი ის უდრის 99,6 პროც., ამავე დროს კერძო სექტორის პროცენტი 1928-29 წლის განმავლობაში უდრიდა 1,2 პროცენტს, ხოლო 1929-30 წელს—0,4 პროცენტს. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ სოციალისტური სექტორი შეუჩერებლად იზრდება და მრეწველობიდან დევნის კერძო სექტორს.

ჩვენი მრეწველობის განვითარების მეორე ფაქტად ჩაითვლება მუშათა რაოდენობის ზრდა. 1928-29 წელში მუშების რიცხვი თბილისის ოლქის მრეწველობაში, ტრანსპორტის გამოკლებით, უდრიდა 7.218 კაცს; 1929-30 წელში მუშების რიცხვი უდრის 10.242 კაცს. ტრანსპორტზე დაბანდებულ მუშების რიცხვი კი თბილისის ოლქში შეადგენს 7.400 კაცამდე.

ამასთან ერთად ჩვენი მრეწველობის განვითარებას მოწმობს გამომუშავებულ პროდუქციის განუწყვეტელი ზრდა. თუ 1928-29 წელს გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება უდრიდა 23.560 ათას მანეთს, 1929-30 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში მრეწველობის მიერ გამოშვებულ პროდუქციის ღირებულება უდრის 23.720 ათასს მანეთს.

საგრძნობი მიღწევები გვაქვს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგშიც. ამ მხრივ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში მყოფ თბილისის ოლქის საწარმოო ერთეულებს უფრო მეტი მიღწევები აქვს, ვიდრე ადგილობრივ მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნებს. თუ პირველი ჯგუფის საწარმოებმა თვითღირებულება დაუკლეს 11 პროცენტით, ადგილობრივ მრეწველობის საწარმოო ერთეულებში, თვითღირებულების საშუალო შემცირება მხოლოდ 1 პროცენტს უდრის.

დაახლოებით ასეთივე სურათია შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგშიაც. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში მყოფ თბილისის ოლქის საწარმოებმა შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 30,6 პროცენტით, ადგილობრივ მრეწველობამ კი—21,2 პროცენტით.

როგორც ვიცით პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებმა მოგვცეს დირექტივა მუშათა ხელფასი 12 პროცენტით გაგვედიდებია. სინამდვილეში საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ფაბრიკა-ქარხნებში შრომის ნომინალური ხელფასი გაიზარდა 9 პროცენტით. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში კი—14,8 პროცენტით, სამწუხაროდ ვერ ვიტყვით, რომ ასეთმა მდგომარეობამ გავლენა არ იქონია მუშათა რეალურ ხელფასის ზრდაზე. ამ მხრივ ჩვენ ვერ დავიკვეხნით მიღწევებით. იმისათვის, რომ რეალური ხელფასის საკითხი წარმატებით იქნას გადაჭრილი, უნდა მოვაგვაროთ პირველ ყოვლისა მუშათა მომარაგება მასიური მოთხოვნილების საგნებით. სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო უნარი ამ საქმეში. ძალიან ხშირად კერძო ბაზარზე მოიპოვება ისეთი პროდუქტები, რომელიც კოოპერაციას არა აქვს. ამის გამო მუშები ხელში უვარდებიან ჩარჩებს. ჩვენი მორიგი უდიდესი ამოცანაა რათაც არ უნდა დაგვიჯდეს მოვაგვაროთ ეს საკითხი.

შემდეგი არანაკლებ დამახასიათებელი გარემოება მრეწველობის შეუჩერებელი განვითარებისა არის ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. როგორი მიღწევები გვაქვს ჩვენ ამ მხრივ? იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც ჩვენ მოგვეპოვება შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენა თბილისის ოლქის საწარმოებში შემცირებულია 50,5 პროცენტით. მიუხედავად ამისა არიან ცალკე საწარმოები, სადაც სამუშაო დღეების გაცდენა შემცირების ნაცვლად გაიზარდა, ასეთი მდგომარეობა გვაქვს ხე-ტყის ქარხნებში, აგურის ქარხნებში და ნაწილობრივ თამბაქოს ქარხნებშიაც.

ზოგიერთ საწარმოებში საჭირო ტემპით არ არის გაშლილი ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის. ეს უნდა ითქვას ხე-ტყის დამამუშავებელ ქარხნებზე. თუ მრეწველობის ამ დარგში ძველმა ქარხნებმა საწარმოო-საფინანსო გეგმა შეასრულეს 81,9 პროცენტით, ახალმა ქარხნებმა გეგმა მხოლოდ 66,19 პროცენტით განახორციელეს. გეგმა არ არის შესრულებული აგრეთვე ფეხსაცმელების საწარმოებში, საპნის და ზეთის ქარხნებში. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხებს.

რა მიღწევები გვაქვს ჩვენ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის დარგში? ჯერჯერობით თბილისის ოლქში განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილია 4.500 მუშა, ანუ მთელი მუშების 43,8 პროცენტი. თუ ამ მხრივ ჩვენ ერთგვარ მიღწევები გვაქვს, ამას ვერ ვიტყვით 7 საათის სამუშაო დღეზე საწარმოების გადაყვანის შესახებ. ეს ამოცანა მხოლოდ 15 პროცენტით არის შესრულებული. შრომის სახალხო კომისარიატმა ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. მან უნდა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ ჩატარდეს საწარმოების 7 საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანა იქ, სადაც ეს შესაძლებელია.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი მრეწველობის განვითარებაში კაპიტალურ დაბანდებებს, ე. ი. თანხების გადადებას მრეწველობის რაციონალიზაციის ჩასატარებლად და ახალი ქარხნების ასაგებად. 1928-29 წელში თბილისის ოლქის მრეწველობაში კაპიტალურ ხარჯებზე დაბანდებული იყო სულ 3.287 ათასი მან. წელს კი—3.763 ათასი მან. ადგილობრივ მრეწველობის ბიუჯეტი კაპიტალურ დაბანდებებზე მიმდინარე სამეურნეო წლის ითვალისწინებს 1.632 ათას მანეთს, წარსულ წელში კი ადგილობრივი მრეწველობამ კაპიტალურ დაბანდებებზე გაიღო 935 ათასი მანეთი.

კომუნალური მეურნეობა

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევეხოთ კომუნალურ მეურნეობის ახალ წამოწყება-მშენებლობას! მუშათა რიცხვის შეუჩერებელი ზრდა, მათი კულტურული დონის ამაღლება დაჟინებით უკარნახებს ჩვენს კომუნალურ მეურნეობის ორგანოებს გააცხოველონ მუშაობა მუშათა კომუნალურ საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის. ეჭვი არ არის, რომ ამ დარგში ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები. მაგალითად: კომუნალურ მეურნეობის პროდუქცია ამ ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 28 პროცენტით, მაგრამ ამასთან ერთად არის მთელი რიგი მწვავე საკითხები, რომელნიც ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის.

საბინაო მშენებლობა

მე მხედველობაში მაქვს საბინაო მშენებლობა, რომელზედაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა მასების ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება. ამ ამოცანის გადაწყვეტის გარეშემო არ კმარა მარტო საბინაო კოოპერაციის მუშაობა, საჭიროა ქალაქის ალმასკომის ენერგიულად ჩარევა ამ საქმეში. ამასთან ერთად საბინაო მშენებლობას ცხოველი დახმარება უნდა გაუწიონ ცენტრალურმა ორგანოებმა. თუ რამდენად მწვავე მდგომარეობა გვაქვს მუშათა ბინების დაკმაყოფილების დარგში, ეს ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან. გეგმით გათვალისწინებული სანიტარული საბინაო ნორმა ჩვენი ჯანმრთელობის ორგანოების ანგარიშით თვითეულ კაცზე გულისხმობს 10 კვადრატულ მეტრს საცხოვრებელ მოედანს. დღეს კი თბილისში თითო სულზე საშუალოდ მოდის 5 კვ. მეტრი. ამას გარდა არიან ისეთი მუშები, რომელთაც ხუთი კვადრატიული მეტრის ნაცვლად თითო სულზე მოსდის ორი, სამი ან ოთხი კვ. მეტრი. მეტად მწვავედ სდგას ბინის საკითხი რკინის გზის მუშებისათვის. ამ დარგის მუშების 30 პროცენტს თვითეულ სულზე მოსდის არა უმეტეს 3 კვ. მეტრი საცხოვრებელი მოედანი. აქედან, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ თუ რამდენად ჩამორჩენილი ვართ ჩვენ საბინაო მშენებლობის მხრივ და რამდენად მტკივნეული საკითხია ეს მუშათა მასებისათვის. საბინაო მშენებლობის გაფართოებას ჩვენ დაჟინებით გვიკარნახებს არა მარტო მუშათა ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები, არამედ შრომის ნაყოფიერების გადიდების აუცილებლობა. ამრიგად ჩვენი მიზანია უახლოესი დროის განმავლობაში გადამჭრელი ზომები მივიღოთ ბინის მოედნის დეფიციტის შესავსებად. ეს დეფიციტი კი ამჟამად თბილისის ოლქში უდრის 946.000 კვ. მეტრს. უკანასკნელ ხანებში საბინაო მოედანს თბილისში ჩვენ მივუმატეთ 41 ათასი კვ. მეტრი. თუ შემდეგშიაც ასეთი ტემპით ვიარეთ, ხუთწლიან გეგმას ამ ნაწილში ვერ შევასრულებთ.

ბიუჯეტი

ამასთან ერთად კონფერენციის ყურადღება უნდა შევაჩერო თბილისის ქალაქის ბიუჯეტის საკითხზე. ამ დარგში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. 1928-29 წელში თბილისის ალმასკომის ბიუჯეტი უდრიდა 28 მილიონ მანეთს. 1929-30 წელში კი ბიუჯეტი გაიზარდა 35 მილიონ მანეთამდე. არანაკლებ საყურადღებოა ადგილობრივ მრეწველობის ბიუჯეტის მდგომარეობა. ბიუჯეტი გაიზარდა 50 პროცენტით, სოფლის მეურნეობის დარგში კი 28 პროცენტით. გადასახადებისაგან შემოსავალმა იმატა 38 პროცენტით.

როგორია თბილისის ალმასკომის გასავალი? პირველი ადგილი ალმასკომის გასავალ ხარჯებში უჭირავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებს. ამ საქმეებზე იხარჯება ბიუჯეტის 48,7 პროცენტი. სოციალურ-კულტურულ აღმზრდელობის საქმისათვის იხარჯება ბიუჯეტის 26,7 პროცენტი. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებში მიდის 7,7 პროცენტი. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ჩვენი ქალაქის ბიუჯეტის მდგომარეობა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ თბილისის ოლქის ბაზარზე, როგორია აქ სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მიღწევები. მოვიყვან რამდენიმე ციფრს: კერძო სექტორის ხვედრითი წონა საბითუმო ვაჭრობაში 1928-29 წელს 4,6 პროცენტს შეადგენდა, ეხლა კი კერძო სექტორის ხვედრითი წონა საბითუმო ვაჭრობაში განიზომება 0,6 პროცენტით. საცალო ვაჭრობაში კერძო სექტორი თავიდანვე უფრო ძლიერი იყო. 1927-28 წელში საცალო ვაჭრობის დარგში კერძო სექტორის ხვედრითი წონა უდრიდა 39,8 პროცენტს. 1928-29 წელში კი მისი ხვედრითი წონა შეადგენს 33,5 პროცენტს, ამრიგად ჩვენ აქაც ვხედავთ, რომ სოციალისტური სექტორი კერძო ბაზარზეც თანდათან იპყრობს პოზიციებს.

კოოპერაციის მუშაობა

უკანასკნელ ხანებში ჩვენ მოწმე ვართ კოოპერაციის შეუჩერებელი ზრდის. განუწყვეტლივ მატულობს როგორც კოოპერაციაში გაერთიანებულ მუშათა რიცხვი, აგრეთვე ჩვენი კოოპერაციის საბრუნავი თანხებიც. 1928-29 წელს კოოპერაციაში გაერთიანებული იყო 68 ათასი კაცი, 1929-30 წელს კი კოოპერაციაში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 101 ათას კაცს. მე მხედველობაში მაქვს ამხანაგებო, მხოლოდ მუშკოოპი.

1928-29 წელში კოოპერაციის საერთო ბრუნვა უდრიდა 42 მილიონ მანეთს. 1929-30 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში კოოპერაციის ბრუნვა შეადგენს 29 მილიონ მანეთს. ამასთან ერთად თანდათან ფართოვდება კოოპერაციის ქსელიც. სამომხმარებლო კოოპერაციას აქვს 68 სავაჭრო წერტი, მიუხედავად ასეთი დიდი მიღწევებისა ჩვენს კოოპერაციას მრავალი დეფექტები ახასიათებს, მთავარი მათ შორის არის მუშათა სურსათ-სანოვაგის მომარაგების მოუგვარებლობა, რომელზედაც უკვე ვილაპარაკე. ცუდად არის დაყენებული საზოგადოებრივი კვების საქმეც.

მუშათა მომარაგებისათვის პირველ მოთხოვნილების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობაში. პარტიამ ამას გაუწია თავის დროზე ანგარიში და დირექტივა მისცა კოოპერაციას პროდუქტების ღირებულებაზე დაეკლო სამი პროცენტი. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, რომ პროდუქტების ფასი გაიზარდა. ამავე დროს კოოპერაციას ფართო ასპარეზი აქვს მუშაობისათვის სოფლებშიაც. ის შეუჩერებლად იზრდება ორგანიზაციულად. მაგალითად: 1928-29 წელში სამომხმარებლო კოოპერაციას თბილისის ოლქში ყავდა 38 ათასი კაცი, ხოლო 1929-30 წელში კოოპერაციის წევრთა რიცხვი თბილისის ოლქში 68 ათას კაცამდე გაიზარდა.

ჩვენი კოოპერაციის მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისიც, რომ კოოპერაცია სუსტად ემსახურება გლეხკაცობასაც. ხშირად კოოპერაცია ვერ აწვდის გლეხკაცობას მრეწველობის ისეთ პროდუქციას, რომელიც ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება. ეს უნდა ითქვას ნავთის, მარილის და სხვ. შესახებ. მართალია, ჩვენ განვიცდით მრეწველობის პროდუქციის ნაკლებობას, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ რაც გვაქვს, იმასაც ვერ ვანაწილებთ მიზანშეწონილად.

საგრძნობი მიღწევები აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. ამ კოოპერაციაში 1928-29 წელს თბილისის ოლქში გაერთიანებული იყო 41.239 კაცი, 1930 წელში კი სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის წევრთა რიცხვი თბილისის ოლქში 52.900 კაცამდე აღწევს. უნდა ითქვას, რომ ამ მიღწევების მიუხედავად სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა სუსტია პირველმოთხოვნილების პროდუქტების დამზადების დარგში.

ამასთანავე საჭიროა შევჩერდეთ სარეწაო კოოპერაციის მდგომარეობაზე თბილისის ოლქში. უკანასკნელ წლებამდე სარეწაო კოოპერაცია ჩამორჩენილი იყო, მას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ჩვენ შევძელით ამ მდგომარეობის გამოსწორება. პარტია დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წვრილი ხელოსნების დარაზმვას სოციალისტურ მშენებლობაში. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ შინამრეწველთა რიცხვი თბილისის ოლქში საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1929 წელში სარეწაო კოოპერაციას თბილისის ოლქში ყავდა 3.967 წევრი; წელს კი სარეწაო კოოპერაციის წევრთა რიცხვი 9.360 კაცს უდრის. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ დავრაზმოთ სარეწაო კოოპერაციაში მრავლად დაქსაქსული შინამრეწველთა დანარჩენი მასები. თბილისის ალმასკომი ვერ იჩენს საჭირო ყურადღებას შინამრეწველობის საკითხებისადმი. ეს ნაკლი დროზე უნდა იქნას გამოსწორებული. ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უნდა დასძლიონ ის გულგრილობა, რომელსაც ადგილი აქვს სარეწაო კოოპერაციის განვითარების მიმართ.

ცალკე ადგილი უჭირავს ჩვენს აღმშენებლობაში საბინაო კოოპერაციას, რომელიც 1928 წელში აერთიანებდა 960 კაცს; 1929-30 წელში კი — 1043 კაცს. უნდა ითქვას, რომ საბინაო კოოპერაციას ამ მხრივ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და დიდი ამოცანები აქვს დაკისრებული. სამწუხაროდ ამას შესაფერ ანგარიშს არ უწევენ ზოგიერთი ორგანიზაციები და ხშირად თვით საბინაო კოოპერაციის წევრებიც. რით თუ არა საბინაო კოოპერაციის ინტერესების დავიწყებით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ საბინაო კოოპერაციის სახლებში მცხოვრებნი და ამ კოოპერაციის წევრნი მთელი წლობით არ იხდიან ბინის ქირას.

უმუშევრობა მცირდება

ამ საკითხებთან დაკავშირებით მე მინდა შევჩერდე უმუშევრობის მდგომარეობაზე ჩვენში. 1929 წელში უმუშევართა რიცხვი უდრიდა 20.800 კაცს, უკანასკნელ ხანებში კი ჩვენ ვამჩნევთ, რომ უმუშევრობა სწრაფი ტემპით კლებულობს. წელს უმუშევართა რიცხვი 12.300 კაცს უდრის. ეს მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უმუშევრობა დღითი-დღე იზრდება. ჩვენში უმუშევრობას სპეციფიური ხასიათი აქვს იმ დროს, როდესაც მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განიცდის მუშაკთა დიდი ნაკლებობას, ჩვენს შრომის ბირჟაზე მაინც არიან აღრიცხულნი უმუშევარნი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ უმუშევართა შორის სრულიად არ მოიპოვება კვალიფიციური მუშა-ხელი. შრომის ბირჟაზე უმუშევრებათ აღრიცხულნი უმთავრესად მოკლებულნი არიან რაიმე კვალიფიციურ ცოდნას. აქედან ჩვენი შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე ისმება საკითხი უმუშევართა ამ მასის გადამზადების შესახებ, რომ მათ მიიღონ კვალიფიციური ცოდნა. უმუშევართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად შრომის სახალხო კომისარიატმა დახარჯა 61 ათასი მანეთი. ამავე დროს ჩვენი შრომის სახალხო კომისარიატი მატერიალურ დახმარებასაც უწევს უმუშევრებს. ამ მიზნით მან გაიღო 1.700 ათასი მანეთი.

სოციალისტური შეჯიბრება

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების წარმატებით გადაჭრა მჭიდროდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ჩავაბამთ სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასებს. ამ მხრივ კი მასიური ორგანიზაციების საქმიანობა ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იპყრობდეს. პირველ ყოვლისა საჭიროა შევჩერდეთ უდიდეს მნიშვნელობის მოვლენაზე მრეწველობაში, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება. დღეს თბილისის ოლქში ჩვენ გვყავს 1.190 დამკვრელი ბრიგადა, ცეხები და 5 დამკვრელი ქარხანა, სულ თბილისის ოლქში სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობს 15.300 კაცი. ამ რიცხვში შედის ტრანსპორტის მუშებიც. ამავე დროს ჩვენი ოლქის მუშათა კლასი დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცებას. ამ მიზნით თბილისის ორგანიზაციამ გამოჰყო 460 მოხალისე მუშა, რომელიც წავიდა სოფლად მუდმივ სამუშაოზე. აქედან დაახლოებით 400 კაცი ფაქტიურად ეწევა მუშაობას ადგილობრივ. გარდა ამისა თბილისის ოლქიდან 2 ათასმა მუშამ შეიტანა თავისი ქონება კოლექტივებში. ეს უთუოდ ღირსშესანიშნავი ფაქტია, მაგრამ ეს არ კმარა, ამასთან ერთად ჩვენ უნდა მოვუწყოთ მათ, რომ თვითონაც შევიდნენ კოლექტივებში და უხელმძღვანელონ კოლექტივების მუშაობას, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მუშა კომუნისტებზე და კომკავშირლებზე.

ჩვენი მორიგი ამოცანაა მთელი ასი პროცენტით ჩავაბათ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტები და კომკავშირლები. ეს საკითხი დღემდე არ არის მოგვარებული, ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია კომუნისტების 51,1 პროცენტი, კომკავშირლების — 54,5 პროც. და უპარტიო მუშების —66,7 პროც., უდავოა, რომ კომუნისტი და კომკავშირელი ყველა ახალ სასარგებლო წამოწყობაში მაგალითის მიმცემი უნდა იყოს, ამიტომ ჩვენ ვერ შევურიგდებით იმ ფაქტს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის წევრები და კომკავშირლები მხოლოდ 50 პროც.-მდე არიან ჩაბმული.

კომკავშირი და ქალთა შორის მუშაობა

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კომკავშირი. მთავარი, რასაც აქ უნდა მიექცეს ყურადღება, ეს არის მუშების რიცხვი ახალგაზრდა კომკავშირელთა შორის. სანამ თბილისს შემოუერთდებოდა ბორჩალოს ყოფილი მაზრა, კომკავშირის თბილისის ოლქის ორგანიზაციაში მუშათა პროცენტი შეადგენდა 41,6 პროც., ბორჩალოს შემოერთების შემდეგ კი მუშათა პროცენტმა თბილისის ოლქის ორგანიზაციაში დაიკლო 30,8 პროც.-მდე, კ. კ. საოლქო კომიტეტის მორიგი ამოცანაა, რომ გაძლიერებულ იქნეს მუშაობა კომკავშირის რიგების შესავსებად ახალგაზრდა მუშათა ძალებით. ამასთანავე კომკავშირის ნაკლს თბილისის ოლქში შეადგენს აგრეთვე ისიც, რომ მეტად უმნიშვნელოა კომკავშირის ორგანიზაციაში პარტიული ფენა. პარტიულების პროცენტი კომკავშირში უდრის 12,7 პროც.. აშკარაა რომ ასეთ პირობებში ძნელია კომკავშირის აღზრდა და გაწვრთნა ბოლშევიკურად. რომ კომკავშირის პოლიტიკური გაწვრთნა მოისუსტებს ეს ნათლად დასტურდა საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ასევე უნდა ითქვას ქალთა შორის მუშაობის შესახებ. მართალია, აქ ჩვენ რამდენიმედ წავიწიეთ წინ, მაგრამ ეს კიდევ ბევრად დამაკმაყოფილებელი არ არის. სადელეგატო კრებები რამდენადვე მოძველდნენ და ვეღარ ამართლებენ მთლიანად სადღეისო ამოცანებს. საჭიროა გადამჭრელი გარდატეხა მოხდეს ქალთა მუშაობის დარგში, საჭიროა ქალების მეტი რაოდენობით, მეტი აქტიობით ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ დავაწინაურეთ 58 ქალი. პოლიტსკოლები გაიარა 2.599 ქალმა.

თბილისის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საშეფო ორგანიზაციის მუშაობას. ამ მხრივ აქტიურ თვითმოქმედებას იჩენდნენ მუშები, რომელნიც მიემგზავრებოდნენ სოფლად და სრულიად უსასყიდლოდ უკეთებდნენ რემონტს სასოფლო - სამეურნეო მანქანა-იარაღებს, წისქვილებს და ხიდებს.

სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია ვიამაყოთ მოჯამაგირე და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობით. საკოლმეურნეო მშენებლობამ სრულიად ცხადყო ჩვენი ნაკლი ამ დარგში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის ოლქმა ჩაატარა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ორი სარაიონო და ერთი საოლქო კონფერენცია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ მეტად ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ამ დარგში. ზოგიერთი ამხანაგები ზერელედ უყურებენ ღარიბთა შორის მუშაობას, არიან რაიკომის ისეთი მდივნებიც, რომელნიც აცხადებენ, რომ საჭიროა ღარიბ გლეხთა ჯგუფების მოწყობა, მაგრამ რას აკეთებენ ეს ჯგუფები, ან რა დანიშნულება აქვთ მათ ჩვენ არ ვიცით.

საბჭოთა აპარატის ნაკლოვანებანი

სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება - გაუმჯობესებას. თბილისის ოლქის დაწესებულებებში ძალიან ბევრი არასაბჭოთა ელემენტებია მოკალათებული. ეს ხალხი არც თავის მსოფლმხედველობით და არც ცოდნით არ შეეფერებიან ჩვენს აღმშენებლობას. მუშათა და გლეხთა ინსპექცია აწარმოებს საბჭოთა აპარატის წმენდას, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი ელემენტების გაძევებას ჩვენი დაწესებულებებიდან. უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ადგილობრივი, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ვერ უწევენ დახმარებას მუშგლეხინს ამ დიდი საქმის შესრულებაში. დღემდე თბილისის ოლქში გადათვალიერებულია თბილისის ალმასკომის 9 განყოფილება და რამოდენიმე სხვა დაწესებულება, სულ წმენდა გაიარა 1.047 მოსამსახურემ. აქედან პირველი კატეგორიით მოხსნილ იქნა 17 კაცი, მეორე კატეგორიით — 48 კაცი და მესამე კატეგორიით — 35 კაცი. ეს ციფრები მოწმობენ, რომ აპარატის წმენდას ვერ მივაქციეთ საჭირო ყურადღება და ის არ იძლევა ისეთ შედეგებს, რომელსაც მისგან მოველით, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია აპარატის გაჯანსაღება განვსაზღვროთ მხოლოდ მასიურ წმენდის სახით, საჭიროა სისტემატიურად ვადევნოთ თვალყური აპარატის მუშაობას და ყველა იქ შემჩნეული უღირსი ელემენტები დაუზოგავად გავაძევოთ. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშების შეფობას დაწესებულებებზე. ჯერ-ჯერობით კი ეს საქმე მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

აპარატის გაჯანსაღება ბევრად არის დამოკიდებული აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად წარმატებით განვახორციელებთ ჩვენ აპარატის გამუშურებას, ამ საკითხზე ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ყველა კონფერენციებსა და ყრილობების დროს, მაგრამ შესაფერ პრაქტიკულ ზომებს კი ჯერ კიდევ ვერ ვღებულობთ. დაწინაურებულ მუშების რიცხვი მეტად მცირეა, საჭიროა უფრო მეტი გაბედულება გამოვიჩინოთ მუშების დაწინაურებაში, ამავე მიზნით ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იპყრობდეს საბჭოთა აპარატის კომუნიზაცია. ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ეს ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან. სახკომსაბჭოს აპარატში პარტიულ მუშაკთა ფენა გასულ წელს უდრიდა 16,2 პროც., ამჟამად კი — 18,2 პროც.-ს. მუშკოოპში გასულ წელს კომუნისტების რიცხვი შეადგენდა 13 პროც.-ს, წელს ამ პროცენტმა დაიკლო და კომუნისტების რიცხვი იქ უდრის 11,2 პროც.-ს. ასეთი მდგომარეობა მოსათმენი არაა. მუშკოოპი უაღრესად მასიური ორგანიზაციაა, მას განსაკუთრებით დღეს მეტად დიდი ამოცანები აქვს დაკისრებული და იქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე საჭიროა პარტიის თვალყურის გაძლიერება. განსახკომში კომუნისტების რიცხვი უდრიდა 23 პროც., წელს — 26 პროც., „საქართველოს ღვინო"-ში კომუნისტების რიცხვი გასულ წელს შეადგენდა — 17 პროც., წელს კი შეადგენს — 29,2 პროც., ცუდათ არის დაყენებული მუშათა დაწინაურების საქმე თბილისის ალმასკომში. აქ დაწინაურებულთა პროცენტმა დაიკლო. თუ წარსულ წელს ალმასკომში დაწინაურებული იყო 14 პროცენტი, წელს ამ დაწესებულების აპარატში დაწინაურებულ მუშათა რიცხვი უდრის 13 პროც.. აქ წინსვლის მაგიერ ჩვენ უკან დახევასთან გვაქვს საქმე. თუ შემდეგშიაც ასე ვიარეთ, თბილისის ალმასკომი ვერ გადასწყვეტს პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას აპარატის გამუშურების შესახებ.

სოფლის მეურნეობის საკითხები

საკითხების შემდეგი წყება, რომელზედაც მე მინდა შევაჩერო კონფერენციის ყურადღება, ეს არის თბილისის ოლქის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა. თბილისის ოლქში ამჟამად ირიცხება 62.780 კომლი, აქედან გლეხკაცობის სოციალურად დაჯგუფების სურათი თუ შემდეგ საზომს ავიღებთ ასეთია. ისეთ გლეხურ მეურნეობების რიცხვი, რომელთა წლიური შემოსავალი უდრის 100 მანეთს, 38,4 პროცენტს შეადგენს. საშუალო გლეხურ მეურნეობათა რიცხვი, რომელთა შემოსავალი წლიურად ქანაობს 100 მანეთსა და 500 მანეთს შორის, შეადგენს 57,3 პროცენტს. შეძლებული გლეხკაცობის რიცხვი, რომელთა წლიური შემოსავალი 500 მანეთზე მეტი აქვს, უდრის 4,3 პროცენტს. დღეს ეს შეფარდება ჩვენი ოლქის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა რამოდენიმედ შეცვლილია, რადგან სოციალური ჯგუფების დახასიათების საზომი სხვაა.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ნათესი მოედნის გაფართოების მხრივ? თუ შარშან დათესილი იყო 106.592 ჰექტარი, წელს დათესილ მოედნის სივრცე უდრის 109.806 ჰექტარს. ამ მიწებზე გაშენებულია სხვადასხვა კულტურები. ტეხნიკურ კულტურათა შორის თბილისის ოლქში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბამბას. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის გეგმით ჩვენ თბილისის ოლქში უნდა დავთესოთ 10.000 ჰექტარი ბამბა. დღემდე დათესილია 9.900 ჰექტარი, მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. თბილისის საოლქო კომიტეტს აქვს ბამბის თესვის საკუთარი გეგმა, რომელიც გულისხმობს 11 ათასი ჰექტარის დათესვას ბამბით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ საკუთარ გეგმას არა, ყოველ შემთხვევაში ც. კ-ტის დავალებას მაინც შევასრულებთ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მესაქონლეობას. ამ საკითხზე ბევრი იწერება და ბევრს ვლაპარაკობთ. მაგრამ ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არა გვაქვს. თბილისის ოლქში არის ისეთი რაიონები, სადაც მესაქონლეობის განვითარებას ფართო ასპარეზი აქვს. მე მხედველობაში მაქვს ბაშკიჩეთი, თიანეთი, წალკა, ხევი, ხევსურეთი და სხვა. მესაქონლეობის განვითარების დარგში მარტო სოფლის კავშირი ვერაფერს გახდება, თუ ადგილობრივ ორგანიზაციებმა არ აღმოუჩინეს მას ენერგიული დახმარება. ჩვენ დღეს ვდგევართ წვრილი საქონლის პროცენტის დაკლების წინაშე. ეს დაკლება უდრის რვას. ამავე დროს მეძროხეობის დარგში ჩვენი მიღწევები 5 პროც.-ით გამოიხატება. რასაკვირველია ეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

კოლექტივიზაცია

მიღწევები და შეცდომები

მთავარი საკითხი, რომლისკენაც მიპყრობილია დღეს პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება სოფლად მუშაობის დარგში, ეს არის საკოლმეურნეო მშენებლობა. როგორც ვიცით, აქ ბევრ შეცდომებს ქონდა ადგილი. პარტიის ზოგიერთი წევრები ფიქრობენ, თითქოს აღებული იყო არასწორი ხაზი. სანამ თბილისის ოლქში გაცხოველებული საკოლმეურნეო მშენებლობა დაიწყებოდა, კოლმეურნეობათა პროცენტი უდრიდა 6,17 პროც. შემდეგ კოლმეურნეობათა რიცხვი არაჩვეულებრივად გაიზარდა, მან ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა; ამას მოყვა კოლმეურნეობათა დაცხრილვა, ნაადრევად შეკოწიწებულ კოლექტივების დაშლა. მიუხედავად მრავალი დეფექტებისა გასულ წელთან შედარებით საკოლმეურნეო სექტორი სოფლის მეურნეობაში 100 პროც.-ით გაიზარდა. ზოგიერთ ადგილებში კოლექტივებიდან გასულ გლეხობას ისევ შემოაქვს განცხადებები უკან დაბრუნების შესახებ. მაგრამ მათ ჯერ-ჯერობით არ ღებულობენ, ვინაიდან სოფლად ამჟამად გახურებული თესვაა. ეს საკითხი უფრო ფართოდ დაისმება შემოდგომაზე და გვწამს, რომ კოლმეურნეობათა პროცენტი საგრძნობლად გაიზრდება.

რა შეცდომები გვქონდა ჩვენ საკოლმეურნეო მშენებლობაში? მთავარი შეცდომა, რომელიც უკვე ვაღიარეთ პრესაში და რომელიც ერთხმად სცნო თბილისის ოლქის პარტიულ კომიტეტის პლენუმმა, ეს არის ის, რომ ჩვენ მეტად აჩქარებითი ტემპი ავიღეთ გლეხკაცობის ჩასაბმელად კოლმეურნეობებში. საჭირო იყო წინასწარ შეგვესწავლა ყველა პირობები, საჭირო იყო უფრო წინდახედულება და ჩვენი მიღწევები კოლმეურნეობის დარგში უფრო დიდი იქნებოდა. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა, ჩვენ უმთავრესად საკითხებს ვსწყვეტდით ბიუროკრატიულად. დავადგინეთ, რომ გაზაფხულის თესვის დროისათვის კოლმეურნეობათა რიცხვი თბილისის ოლქში 25 პროც-მდე ავეყვანა. შემდეგ ეს ნორმა გავზარდეთ 30 პროც.-მდე, მაგრამ არც ამას დავჯერდით. უკანასკნელად გადავწყვიტეთ შემოდგომისათვის მთელი თბილისის ოლქის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადაყვანა, ეს მეტად აჩქარებული ნაბიჯები აღმოჩნდა. ეს უნდა, ვაღიაროთ პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე. ჩვენ თვითონ დავარღვიეთ ც. კ-ტის დირექტივა.

მეორე შეცდომა, რომელიც დავუშვით საკოლმეურნეო მშენებლობაში, ეს არის შემდეგი: ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა არ ჩაატარეს წინასწარი ბრძოლა ისეთი დიდი საქმისათვის ნიადაგის მოსამზადებლად, როგორიც არის საკოლმეურნეო მშენებლობა. რომ ეს აუცილებელი იყო, ამაში დაგვარწმუნა თვით სინამდვილემ. გაცხოველებულ საკოლმეურნეო მშენებლობის დროს მთელ რიგ რაიონებში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდენ საბჭოს ზოგიერთი წევრები, კომკავშირელები და პარტიის წევრებიც კი. მაგალითად, ბაშკიჩეთის რაიონში 180 კომკავშირელმა დაჰყარა თავიანთი ბილეთები და უარი განაცხადეს კოლექტივში შესვლაზე. ასეთივე შემთხვევას ქონდა ადგილი სოფ. მანავში, სადაც კომუნისტები ეწეოდენ აგიტაციას კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. სოფელ მისაქციელში კოლექტივის საწინააღმდეგო აგიტაციით გამოვიდა პარტიის წევრი. მე უკვე აღვნიშნე, რომ ღარიბთა შორის მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლად და საკოლმეურნეო მშენებლობის მარცხი, რომელსაც ადგილი ქონდა ზოგიერთ რაიონებში, ამ გარემოებითაც აიხსნება.

მესამე მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც ჩვენ დავუშვით, ეს იყო კოლექტივიზაციის იდეის მექანიკურად გატარება. ბევრგან ადგილობრივი პირობების სპეციფიურობა სრულიად გამოგვრჩა მხედველობიდან. თბილისის ოლქში არის ისეთი რაიონები, რომელნიც განსაკუთრებულ თავისებურ მიდგომას საჭიროებენ. აიღეთ მაგალითად ბორჩალოს მაზრა, სადაც წერა - კითხვის მცოდნეთა რიცხვი მხოლოდ 15 პროც. უდრის, სადაც საბჭოთა მშენებლობა ჩვენდა სამწუხაროდ ჯერ კიდევ ვერ არის შესაფერისად გაშლილი. გლეხკაცობას ბორჩალოს ყოფილ მაზრაში ადგილობრივ მუშაობით ჯერ კიდევ არ უნახავს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები. სკოლები და სავადმყოფოები ამ მაზრაში მეტად უმწეო მდგომარეობაშია. მთელი მაზრა კულტურულად ჩამორჩენილია და განა მარტო კულტურულ მომზადებაშია საქმე? ამასთან ერთად საჭიროა დიდი წინასწარი ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება. გარდა ამისა ყოფ. ბორჩალოს მაზრაში საშუალო გლეხობის 25 პროც. უკანონოდ წაერთვა საარჩევნო ხმა. ჩვენ კი ყოველივე ეს მხედველობიდან გამოგვრჩა და ბორჩალო მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად გამოვაცხადეთ. ნუ თუ აშკარად არ სჩანს, რომ როგორც ბევრგან, ისე აქაც ჩვენ დავარღვიეთ პარტიის მითითებანი.

აიღეთ გარე-კახეთის რაიონი, აქაც განსაკუთრებულ პირობებთან გვაქვს საქმე. გარეკახეთში სცხოვრობენ ქართველები, თათრები, რუსები და გერმანელები, აქაც საჭირო იყო ყველა ადგილობრივი პირობების სწორად გათვალისწინება, მაგრამ ეს არ მოხდა.

მეოთხე შეცდომა არის ის, რომ ჩვენ ბევრგან მეტად დიდი შეცდომა დავუშვით განკულაკების ჩატარების დროს. ჩვენ მოვახდინეთ განკულაკება არამთლიან კოლექტივიზაციის რაიონებშიაც. პარტიამ კატეგორიული დირექტივა მოგვცა, რომ განკულაკება არ შეხებოდა საშუალო გლეხობას, მაგრამ ეს დირექტივა ბევრ შემთხვევაში დარღვეულ იქნა. მაგალითად, ბაშკიჩეთის რაიონში სრულიად ბიუროკრატიულად ჩატარდა განკულაკება. აქ იყო ასეთი შემთხვევა: იალღუჯაზე საზამთროთ ჩამორეკილი იყო სხვადასხვა სოფლების დიდძალი ცხვარი. ამ ცხვარის მნიშვნელოვანი ნაწილი საშუალო გლეხკაცობასაც ეკუთვნოდა. ჩვენ მივედით და ადმინისტრატიული წესით ჩამოვართვით ცხვარი მწყემსებს. შემდეგში გამოირკვა, რომ კულაკებს გარდა ცხვრის მეპატრონეები საშუალო გლეხებიც იყვნენ. ასევე მოხდა ხევის რაიონებში. ამ რაიონის ცხვარი ზამთრობით იხიზნება ყიზლიარის საძოვრებზე. იმის შიშით, რომ კულაკები გაზაფხულზე არ დააბრუნებენ ყიზლიარიდან ცხვარს, ჩვენ გავგზავნეთ აქედან ხალხი იმისათვის, რომ ჩამოერთმიათ პატრონებისათვის ყიზლიარში გარეკილი ცხვარი. აქაც გამოირკვა, რომ ცხვრის დიდი უმრავლესობა საშუალო გლეხკაცობას ეკუთვნოდა. აი, განკულაკების ის მახინჯი ფორმა, რომელმაც ასეთი დიდი დაბრკოლებები შექმნა საკოლმეურნეო მშენებლობაში.

მეხუთე შეცდომა, რომელიც ჩვენ დავუშვით მდგომარეობს იმაში, რომ ადგილობრივ ამხანაგებმა ჩვენს შეცდომებს საკუთარი შეცდომები დაურთეს. ამან კი მდგომარეობა უფრო არევ-დარია. მაგალითად, ანანურის რაიონში იყო ასეთი შემთხვევა: 14 საშუალო გლეხი, რომლებმაც უარი სთქვეს კოლექტივში შესვლაზე, დააპატიმრეს და დუშეთის გამასწორებელ სახლში გადაგზავნეს. ალბულახის რაიონში არიან გლეხები, რომელნიც ერთ და იმავე დროს კალატოზხანაც ეწევიან და კავშირის წევრებიც არიან, როდესაც ამ გლეხებმა უარი განაცხადეს კოლექტივებში შესვლაზე, ადგილობრივ პარტორგანიზაციამ დაადგინა გამორიცხულ იქნან ისინი პროფესიონალური კავშირის რიგებიდან.

დიდი ზიანი მოუტანა საკოლმეურნეო მშენებლობას იმ გარემოებამაც, რომ ადგილობრივ ამხანაგებმა კოლექტივიზაციის საკითხი მეტად გააფართოეს და მას დაუკავშირეს ანტირელიგიური კამპანია. კოლექტივების დაარსებასთან ერთად ზოგიერთ რაიონებში ხდებოდა ეკლესიების დახურვა. ისეთ ადგილას, როგორიც არის წალკა, სადაც სარწმუნოებრივი ფანატიზმი მეტად ძლიერია, დახურულ ეკლესიებში მოაწყვეს ბოსლები და საწყობები. აშკარაა, რომ ყველა ამ შეცდომათა შემდეგ საშუალო გლეხობის ერთი ნაწილი შეირყა და მან პირი იბრუნა კოლექტივებიდან.

ჩვენი მორიგი ამოცანაა შევინარჩუნოთ ის მიღწევები, რომელნიც მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა მაინც გვაქვს საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში. ჩვენ ყოველი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ არსებული კოლექტივები გადაიქცნენ ნიმუშად გლეხკაცობისათვის. ამ მიზნით უნდა მოვამარაგოთ კოლმეურნეობანი მანქანა - იარაღებით, გაუწიოთ მათ დახმარება კრედიტით, შევუწყოთ ხელი შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას კოლმეურნეობებში, აღრიცხვის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას და სხვ. ამავე დროს ოდნავადაც არ უნდა შევასუსტოთ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვა. გარდა ამისა საჭიროა ერთხელ კიდევ კატეგორიულად აღინიშნოს, რომ სოფლის თვითეული კომუნისტი, თვითეული კომკავშირელი შევიდეს პირველ რიგში კოლმეურნეობაში. ჩვენ ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ ის გაკვეთილები, რომელიც გვაქვს საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში.

საბჭოთა მეურნეობა

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა მეურნეობების ზრდა-განვითარებას სოფლად, ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი წლიდანწლობით ფართოვდებიან, მაგრამ მათი მთავარი ნაკლი ის არის, რომ ეს მეურნეობანი არ ატარებენ მაჩვენებელ ხასიათს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებისათვის. ამას გარდა საბჭოთა მეურნეობანი ხშირად არღვევენ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დაწესებულ გეგმებს, მაგალითად, ბორჩალოს და ევლახის საბჭოთა მეურნეობები იმის მაგივრად, რომ მათ ხელი მიჰყონ ბამბის ნათესების განვითარებას, რომლისთვისაც ამ რაიონებში საუკეთესო პირობები არსებობს მევენახეობის განვითარებას მისდევენ. ჩვენ ვუკრძალავთ ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობებს ამ რაიონებში სიმინდის მოშენებას, რადგან აქ უფრო მეტ სარგებელს მოიტანს, როგორც გლეხკაცობისათვის, ისე სახელმწიფო მრეწველობისათვის ბამბის კულტურის განვითარება. საბჭოთა მეურნეობანი კი უხეშად არღვევენ ამ დირექტივას და ამრიგად დანაშაულს სჩადიან საფეიქრო მრეწველობის წინააღმდეგ. ამ გარემოებას მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

კულტურული მშენებლობა და იდეოლოგიური ფრონტი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის მუშაობაში უდიდესი ადგილი ქონდა დათმობილი კულტურულ აღმშენებლობისა და კადრების მომზადების საკითხს. ამ დარგში ჩვენი მორიგი მთავარი ამოცანაა საყოველთაო სწავლების შემოღება. 1933 წლის დასასრულამდე ეს ამოცანა უნდა გადავჭრათ. დღეს-დღეობით ჩვენ ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა გვაქვს. თბილისის ოლქში სკოლის გარეთ დარჩენილია ბავშვთა 45 პროც., წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მთელს ოლქში უდრის 47 ათას კაცს, თვით თბილისში კი 16 ათას კაცს. იმისათვის, რომ ეს მდგომარეობა აღმოფხვრილ იქნეს, ჩვენ უნდა გავაცხოველოთ მუშაობა ახალი სკოლების ასაგებად. განსაკუთრებით კი უნდა გადიდებულ იქნეს სკოლების რიცხვი ჩამორჩენილ რაიონებში. თვითონ თბილისში საყოველთაო სწავლა განხორციელებულია, მაგრამ სოფლად ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

უღარიბესი გლეხობის შვილების სკოლებში მიღებას არ ექცევა საჭირო ყურადღება. არ არის გადადებული თანხები იმისათვის, რომ ღარიბ გლეხთა ბავშვები უზრუნველყოფილი იქნან სახელმძღვანელოებით. ასეთ პირობებში აშკარაა სკოლა უმთავრესად სამსახურს გაუწევს ეკონომიურად უფრო შეძლებულ მოსახლეობის ფენებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მასწავლებელთა კადრების საკითხი. აქაც ჩვენ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ჯერ კიდევ არა გვაქვს. მეტად მცირეა მასწავლებელთა შორის კომუნისტებისა და კომკავშირელების რიცხვი. გარდა ამისა ინტელიგენციის ამ ნაწილშიაც მრავლად მოიპოვება იდეოლოგიურად მიუღებელი ელემენტები. აი ამისი მაგალითებიც:

თბილისის მე-107 შრომის სკოლაში მოწაფე ეკითხება მასწავლებელს: „მასწავლებელო ამბობენ, რომ ღმერთი არ არის. რას იტყვით თქვენ" ამის შესახებ „მასწავლებელი" შეკითხვაზე წარბშეუხრელად უპასუხებს: „მე კი მწამს ღმერთი და შენ როგორც გინდა ისე იფიქრეო".

მეორე შემთხვევა, მოწაფე ეკითხება მასწავლებელს: „გვიხსენით რა და რა კლასები არსებობენ საბჭოთა კავშირში"? მასწავლებელი „ბრძნულად" აკმაყოფილებს ბავშის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას: „ჩვენში არის 7 კლასი: — კომუნისტების, მუშების, გლეხების, ბურჟუების და სხვაო".

მესამე მაგალითი — მოწაფე სთხოვს მასწავლებელს აუხსნას მას თუ რა არის პროლეტარული მწერლობა. მასწავლებელიც სიამოვნებით ასრულებს თხოვნას. ის ეუბნება ბავშებს, რომ საქართველოს პროლეტარული მწერლებია ილია ჭავჭავაძე და გრიშაშვილი.

რა უნდა ვთქვათ მასწავლებლებზე მაშინ, როდესაც ასეთივე აშკარა ანტისაბჭოთა იდეოლოგია გასავალს პოულობს ჩვენს ზოგიერთ სახელმძღვანელოებში, რომელნიც გამოდიან სახელგამის, მთავლიტის და განათლების სახალხო კომისარიატის თანხმობით. აიღეთ მაგალითად ვინმე გრიგოლ ქუმბურიძის წიგნი შემდეგი სათაურით: „საბჭოთა კავშირი". აქ თქვენ იპოვით ასეთ „მარგალიტებს":

საქართველოს სახალხო მეურნეობაში, —აცხადებს ახლად მოვლენილი პუბლიცისტი ქუმბურიძე, — თავისი ხვედრითი წონით პირველი ადგილი უჭირავს სასოფლო მეურნეობას, რომლის განვითარებაზეა დამოკიდებული არა მარტო სოფლის მოსახლეობის ნივთიერი და კულტურული კეთილდღეობა, არამედ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებაც, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაც".

ჩვენ დღემდე გვეგონა, რომ მრეწველობა და პირველ რიგში მძიმე მრეწველობა დღევანდელ ორთქლის, ელექტრონის და რადიოს ეპოქაში ხელმძღვანელ როლს თამაშობს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ქუმბურიძეს რომ კითხოთ საქმე სხვანაირად ყოფილა. თურმე ნუ იტყვით სოფლის მეურნეობის განვითარება განსაზღვრავს არა მარტო თვით სოფლის მეურნეობის წარმატებას, არამედ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმესაც. ქუმბურიძის აზრით წინამძღოლის როლი სახალხო მეურნეობაში სოფელს ეკუთვნის. ეს, ამხანაგებო, შემთხვევითი შეცდომა როდია. ეს არის გარკვეულ ანტისაბჭოთა, ანტიმარქსისტული მსოფლმხედველობის ბუნებრივი ნაყოფი.

მე მინდა კიდევ მოვიყვანო ერთი მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ ებრძვის ზოგიერთი ჩვენი მასწავლებელი სარწმუნოების დამაბრმავებელ შხამს სკოლებში. ერთი მასწავლებელი ამის შესახებ ლაპარაკობს შემდეგს:

„ანტირელიგიური აღზრდის შესახებ მე არაფერს ვამბობ, რადგანაც არ ვიცი მოხდება თუ არა ჯგუფთან ლაპარაკი ანტირელიგიურ საკითხებზე. ეს დამოკიდებულია იმაზე, დასვამენ თუ არა თვითონ მოსწავლეები ასეთ სიკითხს: რამდენადაც ვიცი, ჩემმა ბავშებმა რელიგიის შესახებ არაფერი არ იციან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე მუშაობა არ მომიხდება".

აი მეორე ამავე ყალიბის მასწავლებელი. დაუგდეთ ყური მას. ის ამბობს:

„ანტირელიგიური და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები უკვე მოძველდა. ეს წარსულს ეკუთვნის. ჩვენ ეხლა სხვა რამეზე გველაპარაკეო".

როგორ მოგწონთ ამხანაგებო? ჩვენ ყოველ გზაჯვარედინზე გავიძახით, რომ ახალი თაობის ინტერნაციონალურად აზრდა და ბრძოლა გონების გამაჩლუნგებელ სარწმუნოების წინააღმდეგ უდიდესი ამოცანაა, არსებითად ჩვენ ეხლა სოციალისტური რეკონსტრუქციის პირობებში ნამდვილი თავისი მნიშვნელობით ვიწყებთ ამ საკითხების ფართოდ გადაჭრას. ამ დროს გამოდიან ისინი ჩვენი სინამდვილისაგან მოწყვეტილი უბადრუკი ინტელიგენტები, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ახალი თაობის ინტერნაციონალურად აღზრდა და მათი დაცვა რელიგიის მავნე გავლენისაგან მოძველებული საქმეაო. ეს მოწმობს თუ რამდენად ცუდი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ მასწავლებელთა კადრების დარგში. ამიტომ ჩვენი მორიგი ამოცანაა გავაძლიეროთ სახალხო განათლების ფრონტი კომუნისტური ძალებით. უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ პედაგოგი კომუნისტები და კომკავშირელები, რომელნიც თავიანთ პირდაპირ დანიშნულებისამებრ არ მუშაობენ, გადაყვანილ იქნენ სკოლებში სამუშაოდ. (ტაში).

ჩვენ გვეჭირდება დიდძალი რაოდენობა მუშაკებისა, როგორც უმაღლესი, ისე საშუალო კვალიფიკაციით. ამასთანავე ჩვენ ვერ დავივიწყებთ მუშათა კვალიფიციურ კადრების მომზადების უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანას. მართალია, ჩვენ გვაქვს საფაბრიკო - საქარხნო სკოლები, მაგრამ ისინი მთელ რიგ ობიექტიური მიზეზების გამო ვერ ამართლებენ მთლიანად თავიანთ დანიშნულებას.

იდეოლოგიურ ფრონტზე ხდება ძალთა დიფერენციაცია. ინტელიგენციის ერთი ნაწილი მარჯვნით იხრება. მეორე ნაწილი მერყეობს. ამასთანავე არის ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც ენერგიულ და თავდადებულ მუშაობას ეწევა სოციალისტურ მშენებლობისათვის.

ინტელიგენციის ის ჯგუფი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია ძველი დამყაყებული იდეოლოგია, ხშირად ეტრფის ფეოდალურ საქართველოს ხანას, ნატრობს თამარის დროს და როდესაც ეს სასაცილო იმედები თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო უცრუვდებათ, მიმართავენ ღმერთის ვედრებას. აიღეთ მაგალითად პოეტი აბაშელი. აი ის ხელიხელ საგოგმანებელი „მარგალიტები", რომლითაც ის ასე უხვად გვაბედნიერებს. აბაშელი ერთ-ერთ თავის წიგნში სწერს:

„მეც იქ დავლპები სად მორწმუნეთა
ლპება იმედი ნანუგეშები,
სადაც ნაგავი საუკუნეთა
ძველ ეპოქათა ყრია ლეშები.

მართლაც ამ ნაგავს კითხულობს და იხრწნება ჩვენი ახალი თაობა. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამ „დამპალი" პოეტის ნაწარმოები ნაბეჭდი სახით გამოდის ჩვენს სინამდვილეში. აბაშელი მზათ არის იქ დალპეს, ისტორიის იმ სანაგვეში მოისვენოს, სადაც განისვენებენ პროლეტარული რევოლიუციის ბევრი სხვა მტრები. ჩვენ ამის წინააღმდეგ რა უნდა გვქონდეს. (ხმა ადგილიდან: კუზიანს საფლავი გაასწორებს"). სჩანს აბაშელისათვის ძველი თამარის დრო უფრო მოსაწონია, ვიდრე ეხლანდელი სინამდვილე.

აი კიდევ პოეტ აბაშელის მეორე სიბრძნე. აბაშელს, ცხადია, ვერ მოუნელებია ბოლშევიკური საქართველო. მას ცხადათ და სიზმრათ ძველი მამა-პაპური ბატონყმობაში და თავადაზნაურობის ალვირახსნილ ექსპლოატაციაში სულთმობრძავი საქართველო ენატრება. აბაშელი ამბობს:

და საქართველო კვლავ მოისხამს ნათელ
შარავანდს
სიზმარში ხული ძველ სამშობლოს უცებ
მიავნებს
ძველი კოლხეთის გაბრწყინდება ამაყი
ღერბი
და ძველ ნაპირზე ამაღლდება მრისხანე
კერპი.

არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე პოეტის ი. გრიშაშვილის ეხლანდელი ვარჯიშობა ხელოვნების ასპარეზზე. ეს არის პოეტი მეშჩანინი, პოეტი ნაციონალისტი. გრიშაშვილი ძველი ყარაჩოღული თბილისს მომღერალია. ის ვერ შეთვისებია ახალ სოციალისტურ თბილისს. რად დასჭირდა მას ასეთი უხამსი ცილისწამება. ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი ლიტერატურის ძველ კლასიკოსებს, რომელთა ნაწარმოებსაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს სოციალისტურ მშენებლობას, პატივს სცემს, არასოდეს საქართველოში ისე ფართოდ და მასიურად არ გამოცემულა როგორც [illegible]რული, ისე სხვა ორიგინალური ლიტერატურა, როგორც დღეს. მიუხედავად ამისა აი რას ამბობს გრიშაშვილი ერთ თავის ლექსში:

ქვევით ბაზარზე კვირა დღით ვანქით
მტვრიან ქუჩებში დამალი მაგზე
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე.
აი სად ყრია ჩვენი დიდება,
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა;
აი ქართლის ხმა სად იყიდება
ჯავახიშვილი და ინგოროყვა.

როგორც ვთქვი, ჩვენ ფართოდ ვავრცელებთ აკაკი წერეთლის და ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა მთელ რიგ ნიმუშებს, რომელნიც თანამედროვე საზოგადოებრიობისათვის დიდ საგანძურს წარმოადგენენ. კიდევ უფრო მეტი შეგვიძლია ვთქვათ შოთა რუსთაველზე. ამის შემდეგ ნუ თუ გასაგები არ არის, თუ რა ალაპარაკებს ამ სტრიქონების ავტორს.

მეორე ნიმუში, რომელიც გრიშაშვილმა მოგვცა, შემდეგში მდგომარეობს. ის ერთ-ერთ თავის ლექსში სწერს:

„მუშა მძლავრია, მაგრამ მერწმუნეთ
ვერ ასწევს მგოსნის სიტყვის სიმძიმეს".

ეს ცრუპოეტური ტრაბახობის საუკეთესო ნიმუშია. პროლეტარიატი, ასე გასინჯეთ, „ვერ ასწევს მგოსნის სიტყვის სიმძიმეს". ეს გვესმის ჩვენ საბჭოთა ქვეყანაში, მუშათა კლასის შესახებ, რომელიც ყოველის შემქმნელია, რომლისთვისაც არ არსებობს წინააღმდეგობანი; ეს გვესმის კაცობრიობის მოწინავე კლასის ბუმბერაზ პროლეტარიატის შესახებ, რომელიც ულმობელად ამსხვრევს ძველი ქვეყნის ბორკილებს და ახალ დიად ქვეყანას აშენებს. სასაცილოა, როდესაც მეშჩანინი თავის ობივატელური თვალით ამას ვერ ამჩნევს, მაგრამ ეს დამახასიათებელია. გრიშაშვილს, ქალების ფეხების პოეტს, ჰყოფნის გამბედაობა ასეთი სტრიქონები დასწეროს პროლეტარიატზე.

აქედან ჩვენ შესაფერი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. საჭიროა გავაათკეცოთ მუშაობა ინტელიგენციის შორის, ყოველნაირად გაუადვილოთ თვითგამორკვევა ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც თავის ღრმა შეგნებით და წრფელი გულით მოდის ჩვენსკენ. სხვათა შორის ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ თბილისის ორგანიზაციამ 17 სპეციალისტი — ინჟინერი და ტეხნიკოსი მიიღო პარტიაში. ჩვენ უნდა გავშალოთ ფართო მუშაობა სპეციალისტების ზედა ფენებში. ამასთან ერთად დაუზოგავად უნდა გამოვააშკარავოთ ყველა ისინი, ვინც შეეცდება თავისი დრომოჭმული ისტორიისაგან საბოლოოდ განწირულ იდეოლოგიის მზის სინათლეზე გამოთრევას.

პარტიული მშენებლობა

უკანასკნელი საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევაჩერო კონფერენციის ყურადღება, ეს არის პარტამშენებლობა. ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივით ორგანიზაციის შემადგენლობაში მუშების რიცხვი ჩვენ უნდა აგვეყვანა 50 პროცენტამდე მაინც. დღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო ორგანიზაციაში მუშათა რიცხვი უდრის 49,5 პროცენტს. თუ ავიღებთ თვითონ თბილისის ორგანიზაციას, აქ მუშების პროცენტი პარტიაში შეადგენს 53,8 პროცენტს. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ დირექტივა ორგანიზაციის გამუშურების შესახებ შესრულებულია. მაგრამ ჩვენ ამ მიღწევებზე ვერ შევჩერდებით. ჩვენი მიზანია შეუნელებლად განვაგრძოთ მუშათა ახალი ფენების მიზიდვა პარტიის რიგებში. საოლქო კომიტეტსაც სწორედ ეს კურსი აქვს აღებული. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშების პროცენტი უდრის 92,5 პროცენტს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მეტად ნაკლები ყურადღება ექცევა მშრომელი ქალების ჩაბმას პარტიაში. ამ მხრივ საჭიროა ენერგიული ზომების მიღება. მეტად მცირეა ჩვენს პარტიაში მოჯამაგირეების პროცენტი. ყოველივე ეს გვავალებს, რომ ჩვენი რიგების შემდგომი ზრდის დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ საკითხებს.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევდით პარტიის რიგების წმენდას უცხო ელემენტებისაგან. წმენდამ, შეიძლება ითქვას, დადებითი შედეგი მოგვცა. პარტიიდან განდევნილ იქნენ გახრწნილი და გადაგვარებული ელემენტები და სისხლის დამნაშავენი, რომელნიც ჩვენს რიგებს მოეტმასნენ. ამასთანავე წმენდამ დიდი აღმზრდელობითი გავლენა იქონია პარტიის იმ წევრებზე, რომელნიც გადაგვარების გზაზე იდგნენ. ადგილობრივი ამხანაგები ხშირად უსაყვედურებენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, რომ ამ უკანასკნელმა წმენდის დროს გამორიცხულნი პარტიიდან ისევ აღადგინა.

ამხანაგებო, ეს საყვედური არ შეიძლება საფუძვლიანად ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პარტიის წმენდა მიზნათ ისახავდა არა მარტო უღირს და გაუსწორებელ ელემენტების გაძევებას ჩვენი ორგანიზაციიდან, არამედ არსებულ ნაკლოვანებათა გამომჟღავნებას, და ისეთ ამხანაგების გამოსწორებას, რომელთაც კიდევ შეუძლიათ სარგებელი მოუტანონ ჩვენს პარტიას. რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია სწორად ატარებდა წმენდის დირექტივებს, ამის შესახებ, სხვათა შორის, პარტიული სასჯელი მიიღო ნ-მა პასუხისმგებელმა მუშაკმა. სულ წმენდა გაიარა 12.500 კაცმა. აქედან სხვადასხვა სახის პარტიული ხაზით დაისაჯა 10 პროცენტი.

ჩვენი ორგანიზაციის შემდგომი განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტგანათლების საქმის მოგვარებას. ხშირია შემთხვევები, როცა უპარტიო მუშა საზოგადოებრივად უფრო აქტიურად, პოლიტიკურად უფრო მომზადებული და პარტიულ ხაზითაც უფრო გარკვეულია, ვიდრე ზოგიერთი კომუნისტი. ეს მეტად არანორმალური მდგომარეობაა. კომპარტია — პროლეტარიატის ავანგარდია; თვითეული კომუნისტი, რომ ის ღირსეულად გაუძღვეს თავის საქმეს და უხელმძღვანელოს სხვებს, მეტი ცოდნით უნდა იყვეს აღჭურვილი. მან მეტი უნარი უნდა გამოიჩინოს საზოგადოებრივ მუშაობაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთელ თბილისის ოლქში პარტსკოლების სხვადასხვა საფეხურები გაიარა 1864 კაცმა. ეს უთუოდ ერთგვარი მიღწევაა, მაგრამ საკმარისი არ არის. პარტგანათლების საკითხებს მომავალში მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

მე მინდა შევჩერდე აგრეთვე ჩვენი ორგანიზაციების დამოკიდებულებაზე წითელ არმიასთან. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ აქ ხშირად სიტყვა საქმეს არ შეეფერება. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ წითელი არმიის დახმარების შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად აქ იმდენს არ ვაკეთებთ. საქმე კი ამას არ ითმენს. წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლი შვილი, რომელიც სოციალისტური მშენებლობის ერთგულ გუშაგს წარმოადგენს, უფრო მეტი ყურადღების, უფრო მეტი ამხანაგური მზრუნველობის ღირსია.

თვითკრიტიკა

უკანასკნელად მე მინდა შევჩერდე ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის საკითხებზე თბილისის საოლქო ორგანიზაციაში. უდავოა, რომ თვითკრიტიკის განვითარებამ უდიდესი სამსახური გაუწია სოციალისტურ მშენებლობას. მან ბევრი ნაკლი გამოამჟღავნა და ხელი შეუწყო მის გამოსწორებას.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადოთ ვერ აფასებენ თვითკრიტიკის მნიშვნელობას და ზოგჯერ კიდევაც ახშობენ მას. აი ამის რამოდენიმე ფაქტი. მილიციის უჯრედში თვითკრიტიკის ჩახშობამ დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ პარტიულ მუშაობას. ამას შედეგად მოყვა ის, რომ ხუთი კაცი გაძევებულ იქნა პარტიის რიგებიდან. აიღეთ სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითი, სადაც გამეფებული იყო ძმაბიჭობა, საზოგადოებრივი ფულების ფლანგვა და სხვა უმსგავსოებანი, რომელშიაც ზოგიერთი კომუნისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. ყოველივე ეს მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვერ იქნა გამოაშკარავებული ვერც კრებებზე და პარტიის წმენდის დროსაც კი.

თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა ერთ-ერთი უებარი საშუალებაა ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად საბჭოთა აპარატში. ბიუროკრატიზმს კი საკმაოდ ფართოდ აქვს გადგმული ფესვები ჩვენს სინამდვილეში. აი ამის ტიპიური მაგალითი. ამიერ - კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციას მოსდის ცნობა განჯიდან იმის შესახებ, რომ ამ კოოპერაციის სახელზე გამოგზავნილია 50 ფუთი თევზი. შემთხვევით ეს ქაღალდი სავაჭრო განყოფილების ნაცვლად საფინანსო განყოფილებაში მოხვდა რომელიც სავაჭრო განყოფილების გვერდით არის მოთავსებული. საფინანსო განყოფილების ბიუროკრატებმა რაკი ქაღალდი მათ მისამართზე არ იყო გამოგზავნილი, წააწერეს ზედ რეზოლიუცია, რომ ეს საკითხი ეხება სავაჭრო განყოფილებას და ქაღალდი უკანვე განჯაში გაგზავნეს. ამ მიწერ-მოწერაში გავიდა დრო, თევზი დალპა და მტკვარში გადაიყარა. აღსანიშნავია, რომ საფინანსო განყოფილების გამგე პარტიის წევრი იყო, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული. ამასთანავე არანაკლებ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს უმსგავსოება იცოდა უჯრედის მდივანმა, მაგრამ ამას მან ხელი დააფარა.

განსაკუთრებული იერიში უნდა იქნას მიტანილი მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრის წინააღმდეგ, მართალია, ჩვენში ადგილი არ ქონია მემარჯვენეთა აშკარად გამოსვლას, მაგრამ მემარჯვენეობის ფაქტები პრაქტიკაში უამრავია. აიღეთ თუნდაც ძეგვის უჯრედის შემთხვევა. აქ უჯრედში 15 კაცია და არც ერთი მათგანი არ არის კოლექტივის წევრი. ეს მაშინ, როდესაც ძეგვში საუკეთესო კოლექტივია.

აი კიდევ მეორე ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ პარტიის რიგებში გასავალი აქვს მემარჯვენე გადახრას. თბილისის დეპოს მუშა ბერიშვილი და შაქარაშვილი გამოვიდნენ უჯრედის კრებაზე სიტყვით კოლექტივების დაარსების წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს თითქოს ნაადრევი ნაბიჯი იყოს.

მართალია, „მემარცხენე" ტროცკისტულ ოპოზიცია წელში გატეხილი და დაქსაქსულია, მაგრამ ის მაინც ვერ ურიგდება თავის ბედს და დროგამოშვებით მოგვაგონებს თავის უბადრუკი არსებობის შესახებ. ამიტომ ჩვენი მიზანია გავაცხოველოთ ბრძოლა როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

ორიოდე სიტყვა ამიერ - კავკასიის ფედერაციის შესახებ, რომელსაც ამხ. შალვა ელიავა თავის მოხსენებაში საკმაოდ ვრცლად შეეხო.

ამხანაგებო, ამიერ - კავკასიის ფედერაცია მოღონიერდა და გაიზარდა პოლიტიკურად. აქ მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ეროვნულ ზავს, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენ ერთ ადგილას არ გავიყინოთ და მარტო ამ მიღწევებით არ დავკმაყოფილდეთ, საჭიროა ამიერ-კავკასიის შემდგომი განვითარებისათვის სოციალისტური მშენებლობის გზით შევუქმნათ მას სათანადო მტკიცე სამეურნეო ბაზა. ამ მხრივ დღეს ამიერ-კავკასიის მდგომარეობა ვერ უპასუხებს მიმდინარე ამოცანებს. არიან ისეთი ინტელიგენტები და ზოგჯერ მათ გავლენის ქვეშ მოქცეული თითო-ოროლა კომუნისტები, რომლებიც ვერ შეიგნებენ ამ აზრს. საჭიროა მათ შესაფერისი პასუხი გაეცეს. თუ ამიერ - კავკასიის მრეწველობის განვითარებას არ შევუქმნით შესაფერი პირობები, ჩვენი ფედერაცია ჩამორჩება სოციალისტურ მშენებლობის ტემპებს საბჭოთა კავშირში და ჰაერში გამოკიდებული დარჩება.

აი, ამხანაგებო, ის განვლილი მუშაობა, რომელიც შეასრულა თბილისის საოლქო პარტიულ კომიტეტმა და რომელიც ისახება ჩვენს წინაშე როგორც მორიგი გადაუდებელი საქმე. მე ღრმად მწამს, რომ თბილისის ორგანიზაცია, ისე როგორც მთელი საკავშირო კომუნისტური პარტია, მიუხედავად მრავალ ობიექტურ განცხადებებისა, კვლავაც შეუპოვრად განაგრძობს წინსვლას სოციალისტური აღმშენებლობის გზით და კიდევ უფრო მაღლა დაიჭერს ლენინიზმის სახელოვან დროშას. (კონფერენცია ფეხზე ადგომით ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს მომხსენებელს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვის საკითხები—ყურადღების ცენტრში

ზაფხულის პერიოდი ფართოდ გამოვიყენოთ თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო მუშაობისათვის

საზაფხულო სამხედრო სწავლება

ზაფხული საუკეთესო დროა თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო მუშაობის გაშლა-გაფართოებისათვის.

საზაფხულო-სამხედრო სწავლების მთავარი ამოცანაა იმ სამხედრო ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, რომელიც შეიძინეს ზამთრის განმავლობაში თავდაცვა-ავიაქიმის წევრებმა. მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საველე მეცადინეობით მიღწეული იქნეს სამოსწავლო-სამწყობრო ერთეულების შექმნა. ამ ერთეულებს შესაძლებლობა უნდა მიეცეს ზაფხულის განმავლობაში სისტემატიური მეცადინეობით შეიძინონ რაც შეიძლება მეტი ცოდნა და გამოცდილება. ამასთანავე, ერთეულების ჩამოყალიბების დროს ავიაქიმის ორგანოებმა უნდა გამოიყენონ წითელი ჯარის ნაწილები და ერთეულების ჩამოყალიბება ჩაატარონ მათთან ერთად. ავიაქიმის ერთეულებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ ლაშქრობასა და მანევრებში, რომლებსაც ჩაატარებენ წითელი ჯარის ნაწილები.

ამ უკანასკნელ დროს სამხედრო უწყებამ დაავალა თავდ.-ავიაქ. სხვადასხვა სახის მუშაობის წარმოება კადრების მოსამზადებლად თავდაცვისათვის, როგორიც არის თადარ. მეთაურთა გადამზადება, მეცადინეობა იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან ჯარის გარეშე მომზადების წესით და შეკრებების ჩატარება. ავიაქიმის საზაფხულო მუშაობის მესამე ამოცანაა ამ მუშაობის ჩატარება ზაფხულის პირობებში. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერია გაკეთებული. სამხედრო უწყების დავალება არ არის შესრულებული ავიაქიმის მიერ, ამიტომ საჭიროა გაცხოველებული მუშაობა, რათა ავიაქიმმა პირნათლად შესძლოს დავალების შესრულება.

აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკულ საქმიანობას. თეორიულ მეცადინეობას, როგორც წესი, არ უნდა ჰქონდეს ადგილი ზაფხულობით. ეს კი წარმოადგენს უმთავრეს სიძნელეს.

ტაქტიკური მეცადინეობის, მანევრების, ლაშქრობის, სროლის და სხვ. სახის მუშაობის ჩატარება მოითხოვს უპირველეს ყოვლისა კარგ ხელმძღვანელობას, ვინაიდან ცუდი ხელმძღვანელობით არ იქნება მიღწეული დადებითი შედეგი. აი ამაზე უნდა იზრუნონ ავიაქიმის ორგანიზაციებმა და ბანაკად გასვლამდე უნდა შესძლონ კარგად მომზადებული და უნარიანი ამხანაგების გამოყოფა გაზაფხულის სწავლებისათვის.

ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა დაამყარონ მჭიდრო კავშირი ბანაკად გასულ წითელი არმიის ნაწილებთან. წითელი ჯარის ნაწილები გაუწევენ უდიდეს დახმარებას რჩევა-დარიგებით, მეცადინეობისათვის საჭირო სახელმძღვანელოების, ხელსაწყოების და სხვა მასალის მიწოდებით. ამასთან ერთად, ავიაქიმის ორგანიზაციებმა წითელი ჯარის ნაწილების მეთაურები ფართოდ უნდა გამოიყენონ ინსტრუქტორებად, ხელმძღვანელებად, რაც ხელს შეუწყობს ავიაქიმის საზაფხულო მუშაობის გაუმჯობესებას. საჭიროა, აგრეთვე, რათა ხშირად ეწყობოდეს ავიაქიმის წევრების ექსკურსიები წითელი ჯარის მანევრებში. ექსკურსიები უნდა ისახავდნენ მიზნად წითელი ჯარის ტაქტიკური და ტექნიკური მიღწევების გაცნობას. ეს ექსკურსიები ავიაქიმის წევრებს შესძენენ დიდ გამოცდილებას.

ავიაქიმელი.

ჩვენი საქმიანობა

(წერილი ფოთიდან)

თავდაცვა-ავიაქიმის ფოთის ორგანიზაციას აქვს დიდი მიღწევები მშრომელთა გასამხედროების დარგში. ამჟამად ორგანიზაციის რიგებში ირიცხება 3.502 წევრი, რომლებიც აქტიურად მუშაობენ საზოგადოებაში.

ფოთის ორგანიზაციამ მოაწყო 3 ტაქტიკური მეცადინეობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 4.000-ზე მეტმა კაცმა.

წარმატებით მიმდინარეობს თადარიგის მეთაურთა გადამზადება, თვით საშუალო მეთაურთა მოთხოვნით გაიხსნა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები, რომლებიც დაამთავრა 40 მეთაურმა. კარგად მიმდინარეობს მშრომელ ქალთა გასამხედროება. ჩამოყალიბებულია სასროლო წრე, რომელშიაც მეცადინეობს 24 ქალი. ქალთა აქტივის მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობს 32 ქალი.

მოწაფეთა შორის სწარმოებს ნაყოფიერი მუშაობა. ინდუსტრიალური ტექნიკუმის მოწაფეები შეუდგენ თავდაცვის კლუბის მოწყობას. ეწყობა წვევამდელთათვის სამეცნიერო წერტი, რისთვისაც უკვე გამონახულია 200 მანეთი.

ამჟამად ფოთში არსებობს 6 სამხედრო კუთხე, ერთი მუდმივი და ორი მოძრავი ტირი.

ფოთის ორგანიზაციის მუშაობაში არის აგრეთვე ნაკლი; სუსტია მუშაობა სოფლად, მშრომელი გლეხები არ არიან ჩაბმულნი გასამხედროების საქმეში.

გ. ჟღენტი.

თადარიგის მეთაურთა გადამზადება

თბილისის ოლქის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია გასული წლის 1-ლ დეკემბრიდან შეუდგა თადარიგის მეთაურთა გადამზადებას. თბილისში და დუშეთში ჩამოყალიბდა კურსები, რომლებზედაც მიზიდულ იქნენ საშუალო და უმცროსი მეთაურები და რიგის შემადგენლობის შვებულებაში მყოფი არმიელები. მეცადინეობას კურსებზე აწარმოებდნენ ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის და საკადრო ნაწილების მეთაურები. დიდი დახმარება გაუწია ავიაქიმს მეთაურთა გადამზადებაში ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლამ, რომელმაც დაუთმო კურსებს შენობა, ლაბორატორიები, კაბინეტები და სახელმძღვანელოები.

თვით თადარიგის მეთაურები ხალისიანად მეცადინეობდნენ და იძენდნენ სამხედრო ცოდნას. 18 მაისს ჩატარდა გამოცდები, რომლებმაც გამოაშკარავეს თადარიგის მეთაურთა მიერ ყველა საგნების საუკეთესოდ შეთვისება. ის მეთაურები, რომლებმაც გამოცდები წარმატებით ჩააბარეს, დასაჩუქრებულ იქნენ ავიაქიმის მიერ.

ზაფხულში საჭიროა, რომ კურსდამთავრებული მეთაურები გაწვეული იქნენ პრაქტიკულ სამუშაოზე, რათა კურსებზე მიღებული ცოდნა გამოიყენონ საველე მეცადინეობის დროს.

ი—ა.

სუსტი ორგანიზაცია

(კახეთი)

თავდაცვა-ავიაქიმის კახეთის საოლქო ორგანიზაცია ითვლება ერთ-ერთ სუსტ ორგანიზაციად. ავიაქიმის პრეზიდიუმმა ბევრჯერ აღნიშნა ეს გარემოება, მაგრამ არავის არ გადაუდგამს ნაბიჯი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კახეთის ორგანიზაციას არა ჰყავს პატრონი, არავინ აქცევს მას ყურადღებას, არავის შესტკივა მისთვის გული. გურჯაანში, სადაც მოთავსებულია საოლქო საბჭო, არ არსებობს სამხედრო კუთხე. საოლქო საბჭოს არა ჰყავს ინსტრუქტორები, რის გამო მთელი სამხედრო მუშაობა კახეთის ოლქში მიტოვებულია უხელმძღვანელოდ. რაიონებში არავითარი სამხედრო მუშაობა არ მიმდინარეობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თადარიგის მეთაურთა და რიგის შემადგენლობის სავალდებულო გადამზადებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კადრის იმ მეთაურებს, რომლებმაც ჩაატარეს გადამზადება, ჯერ-ჯერობით არ მიუღიათ კუთვნილი ხელფასი.

ავიაქიმის კახეთის ორგანიზაციას არ უწევენ არავითარ დახმარებას არც პარტიული და არც საბჭოთა ორგანიზაციები. არც ერთხელ არ ყოფილა დასმული ამ ორგანიზაციებში საკითხი ავიაქიმის მუშაობის შესახებ. საქმის ასეთ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. დროა, რომ საქ. ავიაქიმმა და კახეთის პარტორგანიზაციამ მიაქციონ სათანადო ყურადღება მშრომელთა გასამხედროების საქმეს კახეთის ოლქში.

—ლი.

ახალწვეული წითელარმიელები ეცნობიან ტყვიამფრქვევს

ქრონიკა

პირველი ქართ. მსრ. დივიზიის დამკვრელთა კონფერენცია

26 მაისს გორის ბანაკში შესდგება პირველი ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილების დამკვრელთა პირველი კონფერენცია, რომლის მიზანია სოც. შეჯიბრების და დამკვრელობის ერთი წლის მუშაობის შეჯამება და საგაზაფხულო პერიოდის გეგმის გამომუშავება.

თადარიგის მეთაურთა კურსების გამოშვება

საქ. ავიაქიმის მიერ მოწყობილ საშუალო და უმცროს თადარიგის მეთაურთა და ტირის საქმის ინსტრუქტორთა კურსების საზეიმო გამოშვება შესდგება 26 მაისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის წითელ არმიის სახლის საზაფხულო შენობაში (პლეხანოვის პროსპ.).

ველო-ლაშქრობა

სამხედრო ნაწილების და თავდაცვა-ავიაქიმის ველოლაშქრობა თბილისიდან-კავკავამდე დაიწყო დღეს დილით. ლაშქრობის მონაწილენი გავიდნენ ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლიდან. ლაშქრობაში მონაწილეობენ არმიის ნაწილების ველოსიპედისტები, ავიაქიმის და ველო-საზოგადოების წევრები.

ლაშქრობა გასტანს 2 ივნისამდე.

საქ. სახკომსაბჭოში

მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებისათვის

მებაღეობა-მებოსტნეობაში კაპიტალური მშენებლობისა და მებაღეობა-მებოსტნეობის საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის მოხსენებასთან დაკავშირებით შემუშავებული ღონისძიებანი.

ბაჟიების მოშენება

სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა მერძევე-მესაქონლეთა კავშირის მიერ წარმოდგენილი გეგმა თბილისის მახლობლად და წითელ-წყაროში ჯიშიანი ბაჟიების 2 საშენი პუნქტების მოწყობის შესახებ.

საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მიწსახკომს დაევალა მომავალი წლის საკონტროლო ციფრებით მებაჟიეობისათვის გათვალისწინებულ კრედიტებში შეიტანონ მერძევე-მესაქონლეთა კავშირისათვის ამ მიზნით საჭირო თანხა.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა ა.-წ. მაისის დამლევამდე დაამუშაოს ბაჟიების მოშენების 5 წლიანი გეგმა.

მუშათა მომარაგების კომისიის ორგანიზაცია

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან დაარსებულია მუშათა მომარაგების კომისია ამხ. ჯაფარიძის (თავმჯდომარე), აბესაძის, მუაძის, ლაშქარაშვილის, ძაგანიას და ათოევის შემადგენლობით.

კაუჩუკის მცენარეების კულტურის განვითარება

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა ჩაატაროს საფუძვლიანი გამოკვლევა და შეისწავლოს შესაძლებლობა კაუჩუკის კულტურის გავრცელებისა საქართველოში და კერძოთ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში.

საქართველოში კაუჩუკოვან მცენარეთა შესწავლისათვის საჭირო საორიენტირო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 39.500 მან. რაოდენობით.

„რძის პროდუქტის" ორგანიზაცია

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან დაარსდა გაერთიანება „რძის პროდუქტი"-ს სახელწოდებით, რომელიც იარსებებს სამეურნეო ანგარიშზე. ამ გაერთიანებაში შედიან ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, მერძევე-მესაქონლეთა კავშირი, ცეკავშირი, თბილისის მუშკოოპი და ახალციხის ალმასკომი. საპაიო კაპიტალი განსაზღვრულია — 700.000 მან.

სამოქალაქო ავიაცია

ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ შეიმუშავა ამიერ-კავკასიაში სამოქალაქო ავიაციის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

სახკომსაბჭოს დადგენილებით სამოქალაქო საავიაციო მიმოსვლა მოეწყობა თბილის-ერევანს შორის. ეს ხაზი ჯულფაზე გავლით გაგრძელებული იქნება თავრიზამდე.

თბილის-ერევნის შორის საავიაციო მიმოსვლა დაიწყება 1930—31 წელს.

აგრეთვე მაგისტრალური ხაზი მოეწყობა: სოჭი-თბილისი-ბაქო-პეხლევის მიმართულებით.

ამიერკავკასიაში სამოქალაქო ავიაციის განვითარების მიზნით გადაწყდა დაარსებულ იქნეს ამიერ-კავკასიის საჰაერო-სატრანსპორტო სამმართველო.

ადგილობრივ საავიაციო ქსელისათვის მომზადებული იქნება საჭირო კადრები.

საავიაციო საქმისათვის საჭირო თანხებს გაიღებენ რესპუბლიკანური მთავრობები და დაინტერესებული ორგანიზაციები.

საზოგადოებრივი კვების შემოწმება

შემოწმება დამთავრდა, არ დამთავრებულა ბრძოლა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის

საზოგადოებრივ კვებაზე მუშათა კონტროლის გაძლიერების მიზნით ფართოდ უნდა დამუშავდეს შემოწმების შედეგები

გავაცნოთ მუშებს შემოწმების შედეგები

საზოგადოებრივი კვების შემოწმება დამთავრდა. ეხლა უკვე გვაქვს შესაძლებლობა ვთქვათ, რომ შემოწმებამ გარდა იმისა, რომ გამოაშკარავა მთელი რიგი ნაკლოვანებანი საზოგადოებრივ კვების საქმეში, ამავე დროს წამოაყენა საზოგადოებრივი კვების თეორიული და პრაქტიკული საკითხები და მიიპყრო დიდი ყურადღება პროფესიონალური და საბჭოთა დაწესებულებებისა. მხოლოდ შემოწმებით გახდა შესაძლებელი შემოგველო სისტემა მასების კონტროლისა საზოგადოებრივ კვებაზე.

მაგრამ მარტო შემოწმების შედეგებითა და მიღწევებით ვერ დავკმაყოფილდებით. მიღწევები საკითხს არ სწყვეტენ საბოლოოთ. ჩვენი ამოცანაა ამ მიღწევების შემდგომი განმტკიცება და მისი დამუშავება ფართო მასებში. საზოგადოებრივი კვების შემოწმება დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ბრძოლა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის, ახალი ყოფა - ცხოვრების შექმნისათვის, მშრომელთა მდგომარეობის თანდათანობითი გაუმჯობესებისათვის. ეს საკითხი არ შეიძლება მოგვარებული და გადაწყვეტილი იქნეს მარტო საზოგადოებრივი კვების შემოწმებით. საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, ეს არის საფინანსო - სამრეწველო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის ერთი ნაწილი. ამიტომ შემოწმების შემდეგ არამც თუ არ უნდა შევანელოთ საზოგადოებრივი კვების საკითხისადმი ყურადღება, არამედ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ პროლეტარული თვითკრიტიკა ამ საკითხში და გავაძლიეროთ მასების კონტროლი საზოგადოებრივ კვებაზე.

ის მდიდარი მასალა, რომელიც მოგვცა საზოგადოებრივ კვების შემოწმებამ, ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული მუშათა საერთო კრებებზე. ამისათვის ფაბრიკა - ქარხნებთან არსებულ საზოგადოებრივი კვების შემმოწმებელ კომისიებმა მუშათა ფართო კრებებს უნდა ჩააბარონ თავიანთი მუშაობის ანგარიში. კომისიებმა დაწვრილებით უნდა გააცნონ მუშებს, როგორც საზოგადოებრივი კვების მდგომარეობა, ისე შემოწმების შედეგები და პრაქტიკული ღონისძიებები საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისათვის და გაუმჯობესებისათვის. ასეთი მოხსენებები საჭიროა ჩატარდეს არა მარტო იქ, სადაც არის საზოგადოებრივი კვება, არამედ იქაც, სადაც ჯერ კიდევ არ არის საზოგადოებრივი კვება, მაგრამ შესაძლებელია მისი მოწყობა. კრებებზე ფართოდ უნდა იქნეს განხილული საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმებში შეიძლება მოწყობილ იქნეს მასების მუდმივი კონტროლი საზოგადოებრივ კვებაზე. კრებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საზოგადოებრივ კვების კვალიფიციური მუშაკთა მომზადების საკითხს. საზოგადოებრივი კვების საკითხის დადებითად გადაწყვეტა დიდათ არის დამოკიდებული კადრების მომზადების საკითხზე. ამიტომ ეს საკითხი ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს დასმული.

ფაბრიკა - ქარხნებში და დაწესებულებებში ასეთი კრებების ჩატარების შემდეგ, საჭიროა მოწვეულ იქნეს საქალაქო და სასოფლო კონფერენციები, სადაც მოსმენილი უნდა იქნეს მოხსენება როგორც საზოგადოებრივი კვების შემოწმების შედეგებზე, ისე სხვადასხვა ორგანიზაციების (ცეკავშირის, მუშკოოპის, პროფსაბჭოს ყოფა - ცხოვრების სექციის, საბჭოების, სახალხო კვების კომიტეტის და სხვ.) ღონისძიებებზე საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად. კონფერენციებზე საბოლოოდ უნდა გადასწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ორგანიზაცია უნდა იყოს პასუხისმგებელი საზოგადოებრივ კვების საქმეში. დღემდე ამ საკითხს არ ექცეოდა შესაფერი ყურადღება. საზოგადოებრივ კვებას ფორმალურად ყველა ორგანიზაცია აწარმოებდა. სინამდვილეში კი არც ერთი მათგანი საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად არაფერს აკეთებდა. ასეთ მდგომარეობას მომავალში ბოლო უნდა მოეღოს, საზოგადოებრივი კვების საქმე უნდა მიენდოს ერთ რომელიმე ორგანიზაციას. კონფერენციაზე ეს საკითხი ფართოდ უნდა იქნეს განხილული.

ამასთან ერთად საჭიროა კონფერენციებზე დაისვას საკითხი მუშათა შეფობის შესახებ სასადილოებზე და საზოგადოებრივი კვების სხვა დაწესებულებებზე, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობდა სასადილოების სურსათ - სანოვაგით მომარაგებას და კვების ხარისხის გაუმჯობესებას.

საზოგადოებრივი კვების შემოწმება ეს იყო საშუალება ამ დარგში ნაკლოვანებათა გამოსამჟღავნებლად. ახლა ჩვენი ამოცანაა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება და მასების კონტროლის საფუძველზე გავაფართოვოთ საზოგადოებრივი კვება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და ასეთი საშუალებით ხელი შევუწყოთ ახალი ყოფა - ცხოვრების შექმნას. შემოწმების შედეგების მუშათა კრებებზე დამუშავება—საწინდარია საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების.

ვ. ჭ.

საზოგადოებრივი კვების შემოწმების შედეგები

საზოგადოებრივი კვების შემმოწმებელი შტაბის სხდომამ განიხილა საზოგადოებრივი კვების შემოწმების შედეგები.

შემოწმებამ გამოარკვია, რომ საზოგადოებრივი კვება საქართველოში მეტად სუსტად ვითარდება და იმყოფება სრულიად არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის თბილისში ირიცხებოდა 321.669 მცხოვრები, მათ შორის 10.000 მუშა, 58.000 დაქირავებული შრომით მცხოვრები და 76.000 მოსწავლე. თბილისის მუშკოოპს ამ დროისათვის თბილისში ჰქონდა მხოლოდ 6 სასადილო, რომლებშიაც ყოველდღიურად მზადდებოდა 2.000 სადილი და 350 პორციული კერძი. „ზაკვოენპო"-ს ჰქონდა 11 სასადილო და 7 ბუფეტი, სადაც ყოველდღე ამზადებდა 935 სადილს. სახკვების კოლექტივს—20 სასადილო, სადაც მზადდებოდა 6.000 სადილი და 2.000 პორციული კერძი. ამრიგად თბილისში ყოველდღიურად მზადდებოდა—9.385 სადილი და 2.550 პორციული კერძი, რომელიც აკმაყოფილებდა მხოლოდ 30 პროც.-ს. ამასთან ერთად სასადილოებით დაკმაყოფილებული იყო სტუდენტობისა და მოსწავლეების მხოლოდ 0,1 პროც.

საზოგადოებრივი კვების განვითარებას საგრძნობლად აფერხებდა ის გარემოება, რომ ამ საქმეს აწარმოებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები (არტელები, ინვალიდები, ყრუ - მუნჯები და სხვ.), რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მხოლოდ კომერციული მხარით. უმთავრესი ბრალი მიუძღვის კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც აქამდე არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ საზოგადოებრივი კვების საქმეს.

შემოწმების პერიოდში თბილისში სასადილოები გაიხსნა ტრამვაის პარკთან, თამბაქოს 1 და მე-2 ფაბრიკებთან, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან, 26 კომუნარის სახ. ქარხანასთან და სტალინის სახელობის შემკეთებელ სახელოსნოსთან. ბათომის მუშკოოპმა ამავე პერიოდში ქალაქში გახსნა 9 და წარმოებებთან 5 სასადილო. თბილისის მუშკოოპმა სადილების ყოველდღიური რაოდენობა 2.000-დან 5.000-მდე აიყვანა. გარდა ამისა იგი საბინაო ამხანაგობებთან აწყობს 5 რაიონულ სამზარეულოს, სამკერვალო ფაბრიკებთან მოაწყო 2 სასადილო. მასვე გადაეცა სახკვების 24 სასადილო. ამავე პერიოდში მოეწყო სასადილო სამთავისის კომუნაში.

შემოწმებამ გამოარკვია, რომ სასადილოების 30-40 პროცენტი მოთავსებულია სარდაფებში. სასადილო დარბაზების 26-37 პროც. და სამზარეულოების 26-37 პროცენტი მოთავსებულია ბნელ შენობებში. ხელსაბანები არ მოიპოვება სასადილოების 39 პროც-ში. საპონი არ მოიპოვება სასადილოების 41 პროც-ს, პირსახოცი — 45 პროც-ს, ტანისამოსის გასახდელი ოთახი აქვს მხოლოდ 7 სასადილოს (9 პროც.) და სხვ.

მომარაგების მდგომარეობა

მოუგვარებელია სასადილოებისათვის სანოვაგის მიწოდება. მუშკოოპი თავის სასადილოებში ასაღებს სანოვაგის უვარგის ნარჩენებს, რომლის გასაღებაც მაღაზიებში მოსალოდნელი არ არის. სასადილოების მეტი ნაწილი სანოვაგის 50 პროც.-ს იძენს კერძო ბაზარზე, ხოლო სასადილოების დანარჩენი ნაწილი კერძო ბაზარზე იძენს სანოვაგის მთელ რაოდენობას. გურჯაანში კოოპერაციის გამგეობამ დაბრაკა ბოჭკა ზეთი (ნავთის სუნი უდიოდა) და შემდეგ გადასცა იგი სასადილოს. სასადილოების მქონე ორგანიზაციები სასადილოებს უყურებენ, როგორც საუტილიზაციო დაწესებულებას, სადაც ასაღებენ უვარგის და შემორჩენილ სანოვაგს. მოწესრიგებული მომარაგების უქონლობის გამო სასადილოებში თანდათანობით მცირდება სადილების რაოდენობა. ხშირად 3-4 საათზე უკვე აღარ იშოვება მორიგი კერძი. ამაში ბრალი მიუძღვის აგრეთვე ვაჭრობის კომისარიატს, რომელმაც სასადილოებს არ აწვდის საზოგადოებრივი კვებისათვის გამოყოფილ ფონდებს.

სადილების ხარისხი და ფასი

სასადილოებში დამზადებულ სადილების ანალიზმა გამოარკვია, რომ თბილისის არც ერთი სასადილო არ აძლევს მომხმარებელს კალორიის საჭირო რაოდენობას. სადილის ფასების მიხედვით თვითეულ კაპეიკზე „ზაკტპო" აძლევს მომხმარებელს 8 კალორიას, მუშკოოპის დიეტური სასადილო — 6,7 კალორიას, ცეკავშირი—8,9 კალორიას, სახკვების სასადილოები 5,6 კალორიას, ხოლო გლეხთა სასადილო მხოლოდ 5 კალორიას. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება ცხიმებისა და ცილის შემადგენლობა სადილებში. საქართველოში სრულიად არ არის შემოღებული სადილების დიფერენციალური ფასი და მუშათა მრავალრიცხოვან ოჯახებს არ აქვთ საზოგადოებრივი კვებით სარგებლობის საშუალება.

კადრები

საზოგადო კვების საქმე ამჟამად ძველი ხაზეინების ხელშია. ამიტომ უმთავრეს ამოცანად დასახულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი კვების მუშაკების (კულინარები, მზარეულები, ოფიციანტები) კადრის მომზადება. ამ მხრივ მიღებულია ზომები (ცეკავშირმა მოაწყო საცდელ - საჩვენებელი სასადილო, სახკვების კავშირი აწყობს მზარეულებისა და ოფიციანტების მოსამზადებელ კურსებს), მაგრამ ეს არ კმარა. ამ მიმართულებით საჭიროა უფრო გადამჭრელი ზომების მიღება.

კულტმუშაობა და საზოგადოებრივი კონტროლი

ღვინით ვაჭრობა სწარმოებს თბილისის სასადილოების 57 პროც-ში, წითელი კუთხე კი მოეპოვება სასადილოების მხოლოდ 9 პროც-ს და ისიც უმთავრესად წარმოებებთან. თამბაქოს მოწევა არც ერთ სასადილოში არ არის აკრძალული. საზოგადოებრივ კვების დაწესებულებებში საერთოდ არსად არ სჩანს კულტმუშაობის ნიშანწყალი. მაგარი სასმელების მეტი რაოდენობით გასაღების უზრუნველყოფის მიზნით თითქმის არც ერთ სასადილოში არ ყიდიან მინერალურ და ხელოვნურ სასმელ წყლებს.

სასადილოებში არ არის გაშლილი საზოგადოებრივი კონტროლი. სასადილოს კომისიები, სადაც კი ასეთები ირიცხებიან, არას აკეთებენ.

თვითმომქმედი სასადილოები

კოოპ. ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ თვითმომქმედ სასადილოების მოწყობას საბინაო ამხანაგობებთან და მუშათა სახლებთან. პირველი სასადილო კომუნა მოაწყვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა. საქ. პროფსაბჭომ მუშკოოპს ორჯერ მისცა წინადადება საბინაო ამხანაგობებთან დახურული სამზარეულოების მოწყობის შესახებ, მაგრამ ამ მხრივ აქამდე არა გაკეთებულა რა. საჭიროა თვითმომქმედ სასადილოების ქსელის ფართოდ გაშლა, ვინაიდან ეს სასადილოები დიდ როლს ითამაშებენ საზოგადოებრივი კვების მოგვარების საქმეში.

კვების საქმე ოზურგეთის მაზრაში

სამაზრო პროფბიურომ გამოჰყო ბრიგადები სახალხო კვების შესამოწმებლად. ბრიგადებმა საკმაო დეფექტები აღმოაჩინეს. ბრიგადების მიერ დღემდე შემოწმებულია 5 სასადილო: № 1 და № 2 ქალაქის სასადილოები, აბრეშუმის ქარხნის, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის და ანასეულის საბჭოთა მეურნეობის. რა აღმოაჩინეს ბრიგადებმა.

ეპოს სასადილოებში სისტემატიური ლოთობაა

სასადილოებში გაცხოველებული ქეიფია. ღვინით გალეშილები ხშირად აყალ-მაყალს სტეხენ სასადილოში და არ აძლევენ საშუალებას მოსადილე მუშებს, მოისვენებით ისადილონ. მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც სადილისათვის შედიან სასადილოში, უხდებათ ლოდინი 20—30 წუთი და ზოგიერთ შემთხვევაში უსადილოთა რჩებიან. სადილები უგემური კეთდება, სამზარეულოში მომუშავეებს და სადილის მომტანთ ხალათები ჭუჭყიანი აცვიათ. სურსათ-სანოვაგე, პური, ხორცი და ტანსაცმელები თანამშრომლებისა, ერთ ოთახშია მოთავსებული. სამზარეულოში და ეზოში უსუფთაობა არის. ხორცი მინდვრად არის და ბუზები ეხვევა; პირველი და მეორე კერძი სასადილოებში ძლიერ ცოტა კეთდება. დიდი ნაკლებობაა სასადილოებში ხორცეულისა, თევზეულისა და მწვანეულობისა.

სამზარეულო ღამის გასათევ ოთახად

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 3 სასადილოა: ერთი ოზურგეთის ეპოს, მეორე გლეხკომის და მესამე ინვალიდების. უსუფთაობაში და სიძვირეში ეს სასადილოები ერთიმეორეს არ ჩამორჩებიან. სასადილოებში გაცხოველებულია ღვინით ვაჭრობა. ამიტომ აქ ხშირად ხანჯლების ტრიალია მოქეიფეებს შორის. სასადილოში მზადდება ცუდი საჭმელი—ნახევრად მოხარშული ტარანი, რომელზედაც საწებლად ჭუჭყიანი ტყემლის წვენია. ლობიო სრულიად შეუმზადებელი და უგემურია. იშვიათად კეთდება ხორცეულის პირველი და მეორე კერძი. როგორც სასადილოს გამგემ განაცხადა „იოლად გადიან".

სამზარეულოში საშინელი უსუფთაობაა. აქვეა საბანი, ლები, ტანსაცმელი, ხორცი და სხ. მზარეულის სიტყვით რადგან სხვა ბინა არ აქვთ, თანამშრომლები სამზარეულოში ათევენ ღამეს. სასადილოს თანამშრომლებს ღამის 11-12 საათამდე უხდებათ მუშაობა (შემცვლელი არა ყავთ). საბჭოთა მეურნეობაში 1.500-მდე მუშა მუშაობს, მაგრამ რადგან კვების საქმე ცუდათ არის დაყენებული, მუშები კვებისათვის ოზურგეთში გარბიან.

ასეთივე მდგომარეობაა ანასეულის სასადილოშიაც. ამ სასადილოში 800 მუშებიდან მხოლოდ 60-100 კაცამდე სადილობს. ამის მიზეზი კი სადილის სიძვირეა.

ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის სასადილოს ბინა შეუფერებელია სასადილოსათვის. სასადილო იგივე კრების მოსაწვევი დარბაზია. ამის გამო სისუფთავის დაცვა შეუძლებელი ხდება. სასადილოს არ აქვს საკუჭნაო. ხორცი და სხვა პროდუქტები სამზარეულოში ყრია. სადილებიც უგემური მზადდება. სადილის ფასები მუშებისათვის მიუწვდომელია. ამის გამო 1.000 კაციდან დღიურად სადილობს 50-70 მუშა.

შემოწმებიდან აღმოჩენილი დეფექტები ნათელყოფენ იმას, რომ მაზრაში სახალხო კვების საქმე ცუდათ არის დაყენებული.

ქ. უჯმაჯურიძე.

მეტი ყურადღება კადრების საკითხს

რეკონსტრუქციის ხანაში, როდესაც ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური მშენებლობა, როდესაც სახალხო მეურნეობა იძენება სოციალისტურად, მწვავედ სდგას საკითხი ამ გიგანტიური მშენებლობის კვალიფიკაციური კადრებით—წითელ სპეცებით უზრუნველყოფის შესახებ. ამ საკითხს ჩვენმა პარტიამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება. პარტიის ნოემბრის პლენუმმა, თავის დადგენილებაში კადრების მომზადების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა ის თუ რა უნდა გაკეთდეს ამ დარგში ხუთწლიანი გეგმის მიხედვით.

სამწუხაროდ ჩვენი სამეურნეო ორგანოები ამ საკითხს არ აქცევენ შესაფერ ყურადღებას. მათ დღემდე თითქმის არაფერი გაუკეთებიათ ამ მიმართულებით, საქართველოში ჯერ კიდევ არც ერთმა სამეურნეო ორგანომ არ იცის რამდენი კვალიფიციური მომუშავე დასჭირდება მას ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებისათვის.

თუ გავეცნობით საკონტროლო ციფრებს, ვნახავთ, რომ საქართველოში შედარებით მშენებლობის ჩქარი ტემპია აღებული. მახლობელ წლებში საქართველო უნდა გადაიქცეს სამრეწველო ქვეყნად. მშენებლობის ასეთი სწრაფი ტემპებისათვის კი საჭიროა კადრები. ჩვენი სამეურნეო ორგანოები ამ გარემოებას არ უწევენ ანგარიშს. ჩვენს პროლეტარულ სტუდენტებს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების სამეურნეო ორგანოები სიამოვნებით იყვანენ კონტრაქტაციაზე, ჩვენი სამეურნეო ორგანოები კი ამ საკითხს უყურადღებოდ ეკიდებიან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი სასწავლებლების მესამე-მეოთხე კურსებიდან სტუდენტების გადასვლამ სხვა სასწავლებლებში, მასიური ხასიათი მიიღო. ამით, რასაკვირველია, არ მინდა ვსთქვა, რომ თითქოს ასეთი მოვლენა დაუშვებელი იყოს, პირიქით, ეს კიდევ უფრო საბჭ. კავ. ხალხთა კულტურულ კავშირს განამტკიცებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა არ მიაქციონ ყურადღება ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის კადრების მომზადება და საამისოდ სტუდენტების კონტრაქტაციაზე აყვანა.

დღეს ჩვენში კონტრაქტაციაზე სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილია აყვანილი. 17.000 სტუდენტიდან კონტრაქტაციაქმნილია მხოლოდ 900 კაცი. 4615 სტუდენტი კი ღებულობს სტიპენდიას. ეს დიდი მიღწევებია შედარებით წასულ წლებთან, მაგრამ როგორც სჩანს, პროლეტარული სტუდენტობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ განიცდის ნივთიერ სივიწროვეს. ასეთ პირობებში ჩვენ ვერ მოვთხოვთ სტუდენტს მოგვცეს ის, რის მოცემაც შეუძლებელია.

უკვე პროლეტარულმა სტუდენტობამ პირი იბრუნა წარმოებისაკენ. ისინი ფაბრიკა ქარხნებში, ჩაქუჩით და კლიბით ხელში მუშაობენ პრაქტიკულად. ყველა ეს ლაღადებს იმას, რომ საქ. პროლეტარული სტუდენტობა საუკეთესო დასაყრდენი იქნება მუშათა კლასის და მისი საუკეთესო დარაჯი ყველა ფრონტებზე.

წარსული შეცდომები, რასაც ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტში, სტუდენტობის მიერ დაუყოვნებლივ იქნება გამოსწორებული და ძირფესვიანად აღმოფხვრილი. ამის თავდებია საქ. სტუდენტთა პირველი ყრილობის და მისი ც. ბ. დღევანდელი გზა.

საჭიროა მხოლოდ სამეურნეო ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ კადრების მომზადების საკითხს და ჩვენ პროლეტარულ სტუდენტობას აღმოუჩინონ შესაფერი დახმარება.

გ. ვაშაკიძე.

საქართველოს სამთო სიმდიდრეთა დამუშავება ფართოვდება

საქართველოს სამთო-ქიმიური მრეწველობის ყველა საწარმოებიდან მიმდინარე წლის დასაწყისამდე ყველაზე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები. ერთი ტონა ქვანახშირის თვითღირებულება უდრიდა 14 მან. 40 კაპ., ხოლო გასაყიდი ფასი—10 მან., რამაც გასული საწარმოო წლის განმავლობაში მაღაროებს მისცა 300 ათასი მანეთის დეფიციტი. ამის გამო სისტემატიურად იქმნებოდა ფინანსიური დაბრკოლებები და გვიანდებოდა ხელფასის გაცემა. მ.-წ. მოხდა ცალკე სამუშაოთა ძირეული რეორგანიზაცია, გაძლიერდა ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა (მთავარი ინჟენერი მოწვეულია დონბასიდან). მთლიანად განხორციელდა მიწისქვეშა სამუშაოებზე გადასვლა, რის გამო ქვანახშირის ხარისხი გაუმჯობესდა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 44,2 პროცენტით, თვითღირებულებამ დაიკლო 7,9 პროცენტით. მუშების ხელფასი გადიდდა 12,1 პროც. წლის პირველ ნახევარში საწარმოო პროგრამა შესრულებულია 7,6 პროცენტის გადაჭარბებით. მომავალ წელს ქვანახშირის ამოღების პროგრამა გაიზარდა 2 ნახევ.-ჯერ, ე. ი. 100 ათასი ტონიდან 250 ათას ტონამდე, რისთვისაც დამატებით საჭირო იქნება 500 მუშა. პროგრამის გადიდება გამოწვეულია იმით, რომ უმაღლეს ორგანოების გადაწყვეტილებით ამიერ-კავკ. რკინის გზების დასავლეთი უბანი გადაყვანილი იქნება ტყიბულის ქვანახშირზე, მასვე მოიხმარს კასპის ცემენტის ქარხანა. გარდა ამისა 25-30 ათას ტონას შეიძენენ უცხოეთის გემები, რომლებიც ფოთის ნავთსადგურში მოდიან. ტყიბულის ქვანახშირის პირველი პარტია „ზაკგოსტორგ"-მა მეტად კარგ ფასებში მიჰყიდა უცხოეთის გემებს—ტონა 24 შილინგათ.

ბარიტის ამოღება 1928 წლამდე არ აღემატებოდა 4 ათას ტონას. ამჟამად ბარიტის ამოღებამ უკვე 20 ათას ტონას გადააჭარბა. ბარიტის ამოღების გადიდებასთან დაკავშირებით, მომავალ წლიდან ქუთაისში დაიწყება ლიტოპონის ქარხნის აგება, რაც საშუალებას მოგვცემს შევცვალოთ საიმპორტო საღებავები, ტყვიის და თუთიის მათეთრა. ამჟამად საბჭოთა კავშირში ლიტოპონის მხოლოდ ერთი ქარხანაა (ლენინგრადში) 2,5 ათასი ტონის წარმოებით. ქუთაისის ქარხანა გათვალისწინებულია 12 ნახევ. ათასი ტონის წარმოებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ბარიტის გაგზავნამ ლენინგრადში არა რკინის გზით, არამედ ზღვით წლიურად 78 ათასი მანეთის ეკონომია მოგვცა.

დიატომიტი, რომელიც რაჭის მაზრაში მოიპოვება, წელს საზღვარგარედ გატანილი იქნება 2 ათას ტონამდე. ვინაიდან დიატომიტის ექსპორტი შეიძლება აყვანილ იქნას 10—15 ათას ტონამდე წელიწადში, დასახულია და ნაწილობრივ უკვე სრულდება მაღაროების გაფართოების და გადაკეთების სამუშაოები, გაჰყავთ გზა ახალციხიდან დიატომიტის საბადოებთან (12 ვერსის მანძილზე).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანდეზიტის მოპოვებას (იხმარება ქიმიურ მრეწველობაში) ყაზბეგის მახლობლად. 1925 წლიდან მუშაობას აწარმოებდნენ ჩრდილოეთ-კავკასიის ორგანიზაციები და შინამრეწველური კოოპერაცია. პროდუქცია ძლიერ მცირე იყო. საკავშირო მრეწველობის მოთხოვნილება ანდეზიტზე არა სრული ცნობებით გამოიხატება 12-15 ათას კუბომეტრში წლიურად, რის გამო ანდეზიტი საფრანგეთიდან შემოჰქონდათ. ანდეზიტის მარაგი ყაზბეგის რაიონში მეტად დიდია. ამჟამად, საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილების თანახმად, ანდეზიტის მოპოვება გადაეცა ამიერ-კავკ. სამთო-ქიმიურ ტრესტს და გაღებულია სათანადო თანხები კაპიტალური მშენებლობისათვის. მასალები მშენებლობისათვის იგზავნება ცენტრიდან რიგს გარეშე. წინად იყო 70-80 მუშა, ხოლო ამჟამად მათი რიცხვი ათასზე მეტია, ახლო მომავალში კი იმუშავებს 2.500 მუშა და ამოღებულ ანდეზიტის ღირებულება მიაღწევს 5-6 მილ. მანეთს. მუშები, სურსათით მომარაგების მხრივ, გათანაბრებული არიან მსხვილ სამრეწველო რაიონების მუშებთან. უკვე მოსულია ხე-ტყის მასალა მუშათა ბინების ასაგებად.

ყაზბეგს გარდა ანდეზიტის ფენები აღმოჩენილია ცხის-ჯვარის რაიონში, სადაც გაიგზავნება გეოლოგიური პარტია.

ხელფასის გაცემის მოსაწესრიგებლად

წარმოებებში ცუდი ხარისხის პროდუქციის გამომუშავების და წარმოების შეფერხების შემთხვევაში მუშებზე ხელფასის გაცემის დროს ადგილი აქვს მრავალ გაუგებრობას. ამიტომ შრომის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა დადგენილება, რომლის მიხედვით ცუდი ხარისხის პროდუქციის გამომუშავებისათვის, რაც გამოწვეული იქნება მუშისაგან დამოუკიდებელ მიზეზებით, ხელფასი მუშას უნდა მიეცეს კარგი ღირსების პროდუქციის თანაბრად.

ხოლო გამოსასწორებელი პროდუქციის გამომუშავებისათვის, რომელსაც ადგილი ექნება გამომუშავებლის დანაშაულით (დაუდევრობით, ტექნიკურ წესების დაუცველობით და სხ.), მათ ხელფასი არ მიეცემათ.

იმ შემთხვევაში, როცა გამოშვებული იქნება არა სრული ღირსების ნაწარმოები, ხელფასი გაცემული უნდა იქნეს სათანადო პროცენტების დაკლებით. ნაწარმოების ღირსების გარკვევა და ხელფასის აწესებს ადმინისტრაცია, დავის შემთხვევაში საკითხს სწყვეტს მ.-გ. ინსპექცია.

მომუშავენი, რომლებიც აღმოაჩენენ ხელსაწყოების, ნედლეულის, ნახევრად ფაბრიკატების, მასალების და სხ. დეფექტიანობას, ან უვარგისობას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნაწარმოების ხარისხის გაფუჭება, ვალდებულნი არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ადმინისტრაციას.

თუ ადმინისტრაცია არ მიიღებს სათანადო ზომებს, ამ შემთხვევაში გამომმუშავებელს ხელფასი უნდა მიეცეს კარგი ღირსების პროდუქციის თანაბრად, მიუხედავად დამზადებული ნაწარმოების ხარისხისა.

მასალის გაფუჭებისათვის მასალის ღირებულება შეიძლება გამოექვითოს გამომმუშავებელს, მაგრამ გამოსაქვითი თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი თვიური განაკვეთის ერთ-მესამედს.

ადმინისტრაციის მიზეზით ან ტექნიკურ დაბრკოლებების გამო გაცდენილი დრო მუშებს უნაზღაურდებათ, ხოლო თვით მუშის, ან მუშათა ჯგუფის მიზეზით გამოწვეული განაცდენები მომუშავეთ არ უნაზღაურდებათ.

მომუშავეთ ზედიზედ გაცდენილი 3 დღის ხელფასი ეძლევათ საშუალო ხელფასის მიხედვით, 3 დღის ზევით—განაკვეთის მიხედვით.

მომუშავე თავისივე მიზეზით 3-ჯერ წუნდადებულ ნაწარმოების გამომუშავებისათვის, ან მუშაობის შეჩერებისათვის, შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა სამუშაოზე.

ტრავმატიზმთან ბრძოლა

მიუხედავად მრავალი განკარგულებისა და გაფრთხილებისა დღემდე კიდევ არა აქვს მიქცეული შესაფერი ყურადღება საწარმოებში ტექნიკური უშიშროების საქმის სათანადო დონეზე დაყენებას. სტატისტიკური ცნობების თანახმად, სამრეწველო ტრავმატიზმის შემთხვევები თანდათანობით მატულობს და ხშირდება სამუშაო დროის გაცდენა მუშაობის დროის დაშავების ნიადაგზე.

საჭიროა გავიხსენოთ რამოდენიმე შემთხვევა, რომ უფრო ნათელი გახდეს ტრავმატიზმთან ბრძოლის მნიშვნელობა. რამოდენიმე თვის წინეთ ზარლისის გრეხილი [illegible] ფაბრიკაში მოულოდნელად გასკდა საორთქლე ქვაბის მილი, რომელმაც რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა, ბევრი დაშავდა, ხოლო ფაბრიკის მუშაობა კი მთელი ორი კვირით შეფერხდა. ამ გარემოებამ გავლენა იქონია საწარმოო გეგმის შესრულებაზედაც. ჰქონდა აგრეთვე ადგილი ისეთ შემთხვევას, როდესაც ქარხანაში უბრალო მოწყობილობის დაუდგმელობის გამო (მცხეთის სახერხი ქარხანა), მანქანამ დააშავა რამოდენიმე მუშა.

საქ. სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სამრეწველო ტრავმატიზმთან ბრძოლის საკითხი, გაეცნო წარმოებებში ტექნიკური უშიშროების საქმის მდგომარეობას და დაადგინა, რომ მიღებულ იქნეს დაუყოვნებლივი ზომები ტექნიკური უშიშროების უზრუნველსაყოფად მთელ მრეწველობაში.

ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა ტექნიკური უშიშროების საკითხების განსახილველად მოიწვიოს რესპუბლიკანური კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან შრომის კომისარიატის და დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლები, პროფორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები და მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლები.

კონფერენცია შესდგება ქალ. თბილისში 10 ივნისს.

თბ. მუშკოოპის საბჭოთა მეურნეობა სოღანლუღში

თბილისის მუშკოოპი სოღანლუღში აწყობს საბჭოთა მეურნეობას. მეურნეობის მოსაწყობად მუშაობა უკვე დაწყებულია. შეძენილია და მეურნეობის მოსაწყობ ადგილზე გადაგზავნილია 20 ვაგონი ხე-ტყის მასალა.

მეურნეობის მშენებლობა მინდობილი აქვს „ახალშენს", რომელმაც მთელი მუშაობა უნდა დაამთავროს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის.

მეურნეობაში გაყვანილი იქნება წყალი თელეთის წყაროებიდან 8—9 კილომეტრის მანძილზე. წყალსადენის გაყვანას შეუდგებიან ამ დღეებში.

საბჭოთა მეურნეობის მოწყობის საერთო ღირებულება განისაზღვრება 100.000 მანეთით.

მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება მეწველი და ნაკლავი საქონლით. ამ საქონლის შესაძენად მუშკოოპი აწყობს სპეციალურ ბრიგადებს. თვითეული ბრიგადა შესდგება ორი კაცისაგან—ერთი სპეციალისტი და ერთი მუშა თბილისის წარმოებიდან.

პირველი ასეთი ბრიგადა უკვე ჩამოყალიბებულია და დღეს მიემგზავრება ჩრდილოკავკასიაში და სამხრეთ-უკრაინაში, სადაც მან უნდა შეიძინოს 1.200 სული მეწველი რქოსანი საქონელი და 500 სანაშენო ღორი.

ეს საქონელი მოთავსებული იქნება ახლად მოწყობილ სოღანლუღის საბჭოთა მეურნეობაში.

წმენდის შედეგები

სპეცდანიშნულების იზოლიატორის და გამასწორებელ სახლების საავადმყოფოში

სპეციალურ დანიშნულების იზოლიატორის და გამასწორებელი სახლების საავადმყოფოს აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და წმენდის შედეგები გამოაცხადა ხსენებულ დაწესებულებათა თანამშრომლების საერთო კრებაზე.

კომისიის დადგენილებით პირველ კატეგორიით სამსახურიდან მოხსნილია ბუხჰალტერი მიხეილ პაპინოვი, როგორც უფ. სისხლის სამართლის დამნაშავე და კერძო ვაჭრის დამხმარე.

მეორე კატეგორიით მოხსნილი არიან საპატიმრო ადგილების სამმართველოს საქმის მწარმოებელი პეტრე ბაქრაძე, როგორც ყოფილი [illegible], ივანე ყიფიანი, საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგე, რომელსაც დაუმტკიცდა სამსახურისადმი გულგრილობა, ვარლამ ერისთავი, საპატიმრო ადგილების საავადმყოფოს აფთიაქის გამგე, რომელსაც დაუმტკიცდა პატიმრებთან კავშირი და სამსახურისადმი გულგრილობა; გიორგი ჟუჟუნაძე—იზოლიატორის უფროსის ზედამხედველი, რომელსაც დაუმტკიცდა პატიმრებისადმი უხეში მოპყრობა და მათთვის [illegible] დაგვიანებით გადაცემა; ი. ციშრუკი—იზოლიატორის უმცროსი ზედამხედველი, მას დაუმტკიცდა რეციდივისტებთან კავშირი; გიორგი ოგანეზოვი—იზოლიატორის უმცროსი ზედამხედველი, რომელმაც დაფარა თავისი წარსული და გარდა ამისა დაუმტკიცდა სისტემატიური ლოთობა და სამსახურისადმი გულგრილობა; ტატულა ოგანეზოვი—გამსახლის სახარაზო სახელოსნოს გამგე, როგორც გაუსწორებელი ინტრიგანი, მას დაუმტკიცდა თვითკრიტიკის ჩახშობა.

მესამე კატეგორიით მოხსნილია მიხეილ ხოსიანი—საპატიმრო ადგილების სამმართველოს ეკონომისტი, როგორც ყოფილი პატიმარი.

უკატეგოროთ მოხსნილი არიან ვ. ჯაკობია, შ. მიქნოვი, ა. ეროპკინა, ა. გაჩეჩილაძე, ნ. ჩიხლაძე, კ. ლომინაძე, შ. ლომსაძე კ. ხანიკიძე, გ. სემოვი, რომლებთაც დაუმტკიცდათ სხვადასხვა ბრალდებები.

გარდა ამისა, მთელ რიგ თანამშრომლებს გამოეცხადათ საყვედური, მიეცათ გაფრთხილება და სხვ.

გამწმენდი კომისიის შემადგენლობა: პლატონ ანთიძე (თავმჯდომარე), ფხალაძე (მდივანი), თოფურია, ოგანოვი, გძელიშვილი და მეტრეველი.

ტალღებზე განგის

(ინდოეთის ამბების გამო)

ხმა „სიურის" და...
  მაინც „მშვიდ სენთის",
რომ მისწვდა განდის.
დღეს ზვირთებს აყრის ზღვას ინდოეთის
  ტალღები განგის!
ბობოქრობს დელი..
გრგვინავს ბომბეი...
ზარს ჩიტაგონგი..
მშრომელი ხალხის ხელში—ბომბები
და მტრის პაგონი!..
აჯანყებულა:
  აქ—შოლაპური,
იქით—ბაროდი:
—მოიტათ შვება!
  მოიტათ პური!..
ხმები ზარობდა..
  ხმები ზარობდა!..
და კვლავაც ზანზარებს:
  კალკუტტა...
  ხოერი...
იქ, რკინის ჩექმის დაღს რომ ატარებს
  სისხლი და მძოვრი!..
ახლაც, ინდოეთს ზურგს რომ უმშვენებს
  გლოვის ნაბადი,
მაინც ასტყდა და აღარ ისვენებს
  ახმედაბადი...
არც პეშევარი...
  არცა მადრასი...
და არც ლაგორი...
ზარს ინდოეთის ველი ათასი,
  ხევი...
  მთა-გორი!..
ზარს ბენგალია,
  შიპლის უბე
და ჯულენდერი...
ყველგან ცეცხლის ზღვა!
  სისხლის გუბე!..
ამაყი მტერი!..
მტერი ამაყი..
  მაგრამ მოყვარეც
არა-სუსტია,
მას ბევრი ჭირი, ბევრი მწარეც
  გამოუცდია!..
  „ჯერ მწარე სჯამე"...
  სჯამენ არა,
ნოქავენ მკერდებით!
და მტერს ხედებიან... თხოვნით არა,
  არცა ვედრებით,
ხედებიან ცეცხლით!..
  ზარ-მეხებით!..
სისხლით და ძვლებით!...
ძალმომრეობას ჰსვრენ ფეხებით
და „მთების ძირებით"!..
ეს მთები არა, მკერდებია
  აჯანყებულთა!
თავდადებას არ სჯერდებიან,
  შეწირვას გულთა,
ხსნის კოცონზეა მიტანილი
  „გულის გულებიც",
[illegible] სისხლით განბანილი
  დაჩაგრულების!..
და მოჰქუს სისხლი,
  მძლე მკერდებით გადმოდინილი,
წინ რომ მოუძღვის იმედებით
  დროშა—ლენინი!
რა რომ ხმა მისწვდა „მშვიდი სენთის"
  უნებო განდის,
დღეს ზვირთებს აყრის ზღვას ინდოეთის
  ტალღები განგის!..

ნ. ზომლეთელი.

დავეხმაროთ საქ. პროლეტარულ სტუდენტობას

საქ. პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ შემომაქვს 50 მანეთი და ასეთივე თანხაზე ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ფილიპე მახარაძეს, სილია თოდრიას, შალვა ელიავას, მგალობლიშვილს, გ. ყურულაშვილს, შავერდოვს, ლევან ღოღობერიძეს, კასიანს, ბ. ლომინაძეს, სამსონ მამულიას, ლ. სუხიშვილს, ნ. სვანიძეს, მაჩაიძეს, ვ. სტურუას, გ. სტურუას, მარიამ ორახელაშვილს, მამია ორახელაშვილს, პ. საბაშვილს, ს. ჯუღელს, ვ. ვაშაკიძეს, ვ. მზარეულიშვილს, ლავრენტი ბერიას, რედენსს, რაგიმოვს, სტეპანოვს, ნ. ჩაპლინს, რუხულა-ახუნდოვს, ასრიბეკოვს, კუჭაიძეს, ფრანგულიანს, მამალაძეს, გედ. დოლიძეს, ხ. იაკუბოვს, დ. დოლიძეს, ავქსენტიევსკის, გ. ვაშაძეს, ივანოვ-კავკასკის, ბოლქვაძეს, ახუნდ-ზადეს, დავით კანდელაკს, მალაქია ტოროშელიძეს, გაბრიჩიძეს, ვასო კანდელაკს, იაკოვლევს და ერზინკიანს.

მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა მეათე ყრილობა

23 მაისს, საღამოს თბილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკტპო") რწმუნებულთა მეათე ყრილობა.

როგორც ვიცით, უმაღლეს სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად სატრანსპორტო კოოპერაცია უერთდება საერთო-სამოქალაქო მუშათა კოოპერაციას. ეს გადაწყვეტილება ამჟამად ტარდება მთელს საბჭოთა კავშირში. იგი უნდა გატარდეს ამიერ-კავკასიაშიაც. ასე, რომ „ზაკტპო"-ს რწმუნებულთა მე-10 ყრილობა წარმოადგენს საზოგადოების სალიკვიდაციო ყრილობას. იგი იბარებს გამგეობის უკანასკნელ ანგარიშს და იხილავს გაერთიანების საკითხს.

ყრილობის პირველ სხდომაზე რწმუნებულებმა მოისმინეს გამგეობის ანგარიში, განიხილეს და დაამტკიცეს საზოგადოების ფინანსიური ანგარიში და მოისმინეს სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მოხსენებით „ზაკტპო"-ს გამგეობის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ი. ბეჟანოვი. მისი მოხსენება შეიცავს გამგეობის მიერ ჩატარებულ მუშაობის დახასიათებას მთელი გასული სამეურნეო წლის და მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის პერიოდში.

როგორც მოხსენებიდან ირკვევა, გამგეობას საანგარიშო პერიოდში მეტად მნიშვნელოვანი შედეგებისათვის მიუღწევია. მას უმთავრეს დარგებში გეგმა გადაჭარბებით შეუსრულებია. მაგალითად, რკინის გზელების კოოპერატიულად შეკავშირების გეგმა უკვე 96,8 პროც. არის შესრულებული. საპაიო თანხების შეგროვების გეგმა გასულ წელს შესრულებულია 29,2 პროც. გადაჭარბებით, ხოლო მიმდინარე წლის გეგმა უკვე შესრულებულია 79,8 პროცენტით.

საზოგადოებაში ა. წ. 1 აპრილისათვის ირიცხებოდა 76.492 წევრი, 1.009.908 მან. საპაიო თანხით. საშუალო საპაიო თანხა წევრზე უდრის 13 მ. 21 კაპ. 29 წ. 1 ოქტომბრისათვის იგი არ აღემატებოდა 9 მ. 34 კაპ. (ზრდა 41,5 პროც.).

სავაჭრო ქსელი 1 ოქტომბრისათვის შეიცავდა 321 წერტს, ა. წ. 1 აპრილისათვის კი გაიზარდა 370-დე. ქსელი გაიზარდა უმთავრესად ბუფეტების და საპროდუქტო მაღაზიების გახსნის ხარჯზე.

სავაჭრო ბრუნვა 1928-29 წელში, 1927-28 წ. შედარებით გაიზარდა 46 პროც. და უდრიდა 26.402.100 მანეთს, ხოლო მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის ეს თანხა კიდევ გაიზარდა 20.314.400 მანეთით.

საზოგადოების ხარჯები საანგარიშო წლის განმავლობაში გამოიხატა 3.526.600 მანეთში. სავაჭრო ბრუნვასთან შედარებით ხარჯები შეადგენს 12,42 პროცენტს.

საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობა ასეთია: საბრუნავი თანხა ა. წ. 1 აპრილისათვის უდრიდა 4.396.700 მანეთს. შედარება საკუთარ და ნასესხებ თანხებს შორის გვიჩვენებს, რომ თითოეულ საკუთარ მანეთზე მოდის 2 მ. 71 კაპ. ნასესხები.

საანგარიშო წელში საზოგადოებას მიუღია მოგება 327.200 მან. რაოდენობით, რაც საერთო ბრუნვის 1,24 პროც. შეადგენს.

ბალანსის საერთო მდგომარეობა ნათელჰყოფს, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფინანსიურად განმტკიცებულ ორგანიზაციას.

სარევიზიო კომისიის სახელით გამოვიდა ამხ. მუმლაძე. მომხსენებელმა განაცხადა, რომ სარევიზიო კომისიამ გასინჯა გამგეობის 1928-29 წ. ანგარიში და სცნო, რომ უკანასკნელს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. მიმდინარე წლის ექვსი თვის საქმიანობის შესახებ სარევიზიო კომისიას დასკვნები არ მიუცია, რადგან, როგორც მომხსენებელი ამბობს, გამგეობამ მხოლოდ ეხლა შეადგინა ამ პერიოდის ანგარიში.

შემდეგ გაიმართა კამათი გამგეობის მოხსენების გარშემო, რომელიც დამთავრდა გუშინ დილის სხდომაზე.

კამათში გამოსული ამხანაგები „ზაკტპო"-ს გამგეობას უსაყვედურებდნენ უმთავრესად საზოგადოებრივი კვების საქმის მოუგვარებლობას.

გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია სატრანსპორტო კოოპერაციის საერთო-საქალაქო მუშათა კოოპერაციასთან გაერთიანების საკითხმა.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა „ზაკსოიუზ"-ის გამგეობის წევრი ამხ. გოკი. მან გააცნო დამსწრეთ გაერთიანების სქემა და განუმარტა ამ რეორგანიზაციის მნიშვნელობა.

ამ საკითხზე კამათში გამოსული რკინისგზელები შიშს გამოსთქვამდნენ, რომ ქალაქის კოოპერატივები ვერ შესძლებენ რკინისგზელებისათვის ისეთ სამსახურის გაწევას, როგორც ეს შეუძლია საკუთარ კოოპერატიულ ორგანიზაციას. ისინი მოითხოვენ, რომ გაერთიანების შემდეგ რკინისგზელების საქონლით მომარაგებაში დაცულ იქნეს ეხლა არსებული ნორმები და ის შეღავათები, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ სატრანსპორტო კოოპერაციის არსებობის პერიოდში.

კამათის დამთავრების შემდეგ არჩეულ იქნა კომისია ათი კაცის შემადგენლობით, რომელსაც მიენდო რეზოლიუციის შემუშავება მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

ხელოვნება

ბაქოს თურქული მუშათა თეატრის გასტროლები თბილისში

26 მაისს რუსთაველის თეატრში იწყება ბაქოს თურქული მუშათა თეატრის გასტროლები. ეს თეატრი დაარსდა 1921 წელს, ე. ი. აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. საჭირო რეპერტუარის უქონლობის გამო პირველ სამ წელიწადს თეატრმა იარსება აგიტ-სატირის სახით და უმთავრესად თარგმნილ საგიტაციო პიესებით სარგებლობდა. 1924 წელს თეატრი გადაკეთდა მუშათა და გლეხთა თეატრად. ამ დროისათვის მას შემუშავებული ჰქონდა უკვე საკმაოდ ვრცელი რეპერტუარი.

თეატრს მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, ვინაიდან მას უნდა დაეკმაყოფილებია, როგორც მუშა, ისე გლეხ-მაყურებლების მოთხოვნილებები. ორი წლის შემდეგ თეატრი გადაკეთდა სპეციალურ მუშათა თეატრად, რის შემდეგ მან სავსებით შესძლო შექმნა მუშა-მაყურებლების მტკიცე კადრი, რომელიც თეატრს დღითი დღე უახლოვდებოდა. ამასთან ერთად, ასეთი რეორგანიზაციის შემდეგ, მუშათა თეატრს მიეცა მუშაობის უფრო მძლავრად გაშლის საშუალება, მან თავის გარშემო თავი მოუყარა მუშა-პროლეტარულ მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს. ბაქოს თურქულ მუშათა თეატრის ერთ სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ორიგინალური რეპერტუარის უქონლობა. აქამდე თეატრს აქვს მხოლოდ ერთი ორიგინალური და ორი სამი თურქული სინამდვილესთან შეფარდებით გადმოკეთებული პიესა. უკანასკნელ ხანებში მიღებულ იქნა ზომები ორიგინალური რეპერტუარის გასაძლიერებლად. ამ მიზნით თურქ პროლეტარულ მწერლებს შორის გამოცხადებულია კონკურსი უკეთეს პიესაზე და შედეგადაც მუშათა თეატრს მოელის რამოდენიმე ორიგინალური პიესა. თეატრის დასი მთლიანად შესდგება ისეთი მსახიობებისაგან, რომლებმაც პირველად დაიწყეს სცენაზე მუშაობა ამ თეატრის დაარსებიდან. თეატრის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ახალგაზრდა ხელოვნების ნიჭიერი მუშაკები. თეატრი ამჟამად უკვე ითვლის თავის რიგებში რამოდენიმე უკვე საკმაოდ დახელოვნებულ ახალგაზრდა მსახიობს, გარდა ამისა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნილია რამოდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც თეორეტიულ ცოდნასთან ერთად ჩაბმული არის მოსკოვის თეატრების მუშაობაში და პრაქტიკულ გამოცდილებას ღებულობენ.

მოსკოვში გაგზავნილ ახალგაზრდების დაბრუნების შემდეგ თეატრთან მოეწყობა სახელოსნო, სადაც იმუშავებენ, როგორც დრამატურგები, აგრეთვე სცენის მუშაკები.

მუშათა თეატრს გათვალისწინებული აქვს ის გარემოება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შორის კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის მოძმე ხალხების საერთოდ ლიტერატურის და კერძოდ დრამატიული ნაწარმოებთა გაცნობას. ამ მიზნით თურქულ მუშათა თეატრს უკვე გადადგმული აქვს პრაქტიკული ნაბიჯი: სომხურიდან გადმოთარგმნილია თურქულ ენაზე შირვან ზადეს ცნობილი პიესა „მორგანის ნათლიმამა", რომელიც თურქულ მუშათა თეატრის მაყურებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. წელს თეატრი გადათარგმნის და დადგამს ერთ ან ორ ქართულ პიესას. ბაქოს თურქული მუშათა თეატრის მუშაობის ერთ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი თავისი დროის საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობს მუშათა უბნების თეატრებში მუშაობას. მარტო გასულ წელს თეატრმა ბაქოს მუშათა უბნებში და პროვინციაში დადგა 112 წარმოდგენა. ამ მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას ხელს უშლის ის გარემოება, რომ აზერბეიჯანის პროვინცია მეტად სუსტია სათეატრო შენობებით. ამ გარემოებას ამჟამად მიქცეული აქვს სერიოზული ყურადღება.

გასტროლების მთავარ მიზანს შეადგენს თეატრის მიღწევების ჩვენება მოძმე ხალხების მაყურებლებისა და თეატრის მუშაკთათვის და მათი მიღწევების გაცნობა, რაც დიდად შეუწყობს ხელს ამიერ-კავკასიის ხალხთა თეატრალურ ხელოვნების შემდგომ წარმატებას. თეატრი შემოივლის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავარ ცენტრებს.

თბილისში თეატრი დადგამს 6 წარმოდგენას. აქედან 5 წარმოდგენა დათმობილი აქვთ პროფესიონალურ კავშირებს და ერთი გათვალისწინებულია ფართო მაყურებელთათვის.

ქ. რ—ძე.

ხელოვნების ქრონიკა

◆ დღეს, 25 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება სახ. კონსერვატორიის საოპერო კლასის მეორე საჩვენებელი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ოპერა „თამარ ცბიერი" ახალი შემადგენლობით.

— დღეს, 25 მაისს, [illegible] კავშირის კლუბში გაიმართება საღამო ბაქოს თურქული მუშათა თეატრის პატივსაცემად, მისი საგასტროლოდ ჩამოსვლის გამო თბილისში. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

— ამხ. სტალინის სახელობის სამუსიკო მუშფაკი 26 მაისს მართავს მეექვსე საჩვენებელ კონცერტს განათლების მუშაკთა კლუბში (კალოუბნის ქ. № 3) მუშფაკის სიმფონიურ ორკესტრის და კვარტეტის მონაწილეობით.

ქრონიკა

ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო კონგრესი

20 ივნისს მოსკოვში გაიხსნება ნიადაგმცოდნეობის საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს წარმომადგენლებიც. კონგრესის დასრულების შემდეგ, კონგრესის წევრების ექსკურსია სამეცნიერო მიზნით მოივლის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოსაც.

შეღავათიანი ბილეთები ექსკურსანტებს

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ ექსკურსანტებისათვის გამოყო 10.000 შეღავათიანი ბილეთი.

დანაკარგებთან ბრძოლა

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიასთან დაარსდა დანაკარგებთან ბრძოლის ცენტრალური ბიურო. ასეთივე ბიუროები დაარსდება რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებთან.

კინო-მექანიკოსთა მომზადება

სამეფო საზ-ბამ გახსნა კინო-მექანიკოსთა მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც ირიცხება 45 კაცი. კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან სოფლად სამუშაოდ.

დახმარება მუშა-მწერლებს

მუშა-მწერლებს ჟურნალ „მიზანი"-ს გამოსაცემად თბ. ალმასკომმა დახმარების სახით გადასცა 500 მანეთი.

სხვადასხვა

◆ 26 მაისს საღამოს 5 საათზე, ამიერ-კავკ. რკინის გზის საშემოსავლო განყოფილების წითელ კუთხეში, საბჭოს (ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 70, მოწვეულია ს. ხოტევის სათვისტომო საზოგადოების საორგანიზაციო კრება.

— საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დღეს, 25 მაისს, საღამოს 7 საათზე შესდგება სტუდენტთა საერთო კრება.

— 26 მაისს, საღამოს 7 საათზე, ს.ს.პ.ი-ში დიდ სახაზველოში შესდგება კონფერენცია, რომელზედაც შემოწმებული იქნება ს.ს.პ.ი-ს ფაკულტეტებს შორის სოც-შეჯიბრების შედეგები.

◆ სახ. უნივერსიტეტის ეკონომიურ-სამეცნიერო წრის აგრარული სექცია 26 მაისს, საღამოს 6 საათზე პოლიტეკონომიის კაბინეტში აწყობს დისკუსიას შემდეგ თემაზე: „შრომის ორგანიზაციის და შრომის ანაზღაურების პრობლემები კოლმეურნეობებში".

მომხსენებელი ამხ. ზ. ჩახვაძე.

ფერო-მარგანეცის საცდელი ქარხანა

ამუშავდება ივნისიდან

მარგანეცის ტრესტისა და საქ. ს. მ. უ. საბჭოს ინიციატივით ამ ერთი წლის წინად თბილისში დაწყებულ იქნა ფერო-მარგანეცის გამამუშავებელი საცდელი ქარხნის აგება.

ქარხანაში ამჟამად უკვე დადგმულია ფერო-მარგანეცის სადნობი ღუმელი და სწარმოებს ქარხნის დანარჩენ მოწყობილობათა დადგმა.

აღნიშნულ ქარხანაში დაწყებულ იქნება ჭიათურის მარგანეცის მადნიდან ფერო-მარგანეცის გადამუშავება და შესწავლილი იქნება ყველა ის მეთოდები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქნება ჭიათურის მადნიდან საუკეთესო ღირსების ფერო-მარგანეცის მიღება.

ქარხნის აღმშენებლობას ხელმძღვანელობს საქ. „სამრეწმშენი", რომელმაც ხელშეკრულების თანახმად ქარხანა უნდა დაამთავროს ივნისისათვის. ქარხანა ამუშავებული იქნება ივნისის პირველ რიცხვებში.

საცდელ ქარხანაში ფერო-მარგანეცის გადამუშავებისას მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება ფერო-მარგანეცის ქარხნის ახალი კონსტრუქციის გამორკვევისათვის. ფერო-მარგანეცის ახალი დიდი ქარხნის მშენებლობა დაწყებულია სად. შორაპნის მახლობლად.

სატყეო მეურნეობის რეორგანიზაცია

საქართველოს ცაკმა და სახკომსაბჭომ დაამტკიცეს საქართველოს სატყეო მეურნეობის მართვა-გამგებლობის დებულება, რომლის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სატყეო სამმართველო და მისი ქვემდებარე სატყეოები მიმდინარე წლის 1 ივნისიდან გადაყვანილი არიან სამეურნეო ანგარიშზე. სახელწოდება „სატყეო სამმართველო" შეცვლილია „სატყეო მეურნეობის ცენტრალური სამმართველო"-თ. ცალკე სატყეოებს ეწოდება საბჭოთა სატყეო მეურნეობა. ისინი წარმოადგენენ სატყეო მეურნეობების ცენტრალური სამმართველოს საადმინისტრაციო-სამეურნეო და საწარმოო ერთეულებს, დებულების თანახმად სატყ. მეურნეობის ცენტრალური სამმართველო რიცხება მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის გამგებლობაში.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა საქართველოს სატყეო მეურნეობათა ცენტრს დაამუშავოს იმ დადგენილებათა პროექტი, რომლებიც შეტანილი უნდა იქნან სატყეო კოდექსში, სატყეო მეურნეობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. ხსენებული პროექტი სახკომსაბჭოსა და ცაკს უნდა გადაეცეს არა უგვიანეს 30 მაისისა.

სასამართლო

რად სცემეს საბჭოს წევრს

მიმდინარე წლის იანვარში, საღამოს, დაბა მანგლისიდან თავის სოფელში ბრუნდებოდა საბჭოს წევრი **ივანე ქავთარაძე.**

ქავთარაძეს ემტერებოდნენ მისი თანასოფლელები **ვანო წიკლაური** და **ვანო მიგრიაული.** ეს მტრობა იმით იყო გამოწვეული, რომ ქავთარაძემ, როგორც საბჭოს წევრმა გაილაშქრა წიკლაურის და მიგრიაულის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივში ჩარიცხვის წინააღმდეგ, რადგან უკანასკნელები იყვნენ მდიდარი გლეხები და გარდა ამისა არა საიმედო ელემენტებად ითვლებოდნენ.

წიკლაურმა და მიგრიაულმა გაიგეს მათი კოლექტივში მიუღებლობის მიზეზი და გადასწყვიტეს ქავთარაძესთან ანგარიშის გასწორება.

როცა ქავთარაძე უკვე თავის სოფელს უახლოვდებოდა, მას დაეწიენ წიკლაური და მიგრიაული. არც დალაპარაკებიან. დაუწყეს უმოწყალოდ ცემა. ქავთარაძემ ასტეხა ყვირილი, სოფლელები გამოცვივდნენ საშველად, მაგრამ სანამ ისინი მოვიდოდნენ უზომოდ ნაცემი ქავთარაძე უგრძნობელ მდგომარეობაში დაანარცხეს მიწაზე თავდამსხმელებმა.

ქავთარაძის მდგომარეობა, როცა ის სახლში მიიყვანეს მეტად სერიოზული იყო. დიდი ხნის მკურნალობა დასჭირდა მის ფეხზე წამოყენებას.

წიკლაური და მიგრიაული შეპყრობილ იქნენ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

საქმე გაარჩია მანგლისის უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. **გოგიჩაიშვილის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **ტატიშვილის** მონაწილეობით.

ბრალდებულთ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით სასტიკი იზოლიაციით.

შემთხვევები

დაჯახება

საბჭოს ქუჩაზე მიმავალი ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ილია ნასყვირს, რომელსაც მოსტეხა ფეხი.—პლეხანოვის ყიდაშვილი, დაეჯახა რუბენ ტაპინიანცის პრ. ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი იაკოფ მიხეილის ძე ხოსიტაშვილი, დაეჯახა მეეზოვე მათე ავეტისის ძე ყაზაროვს, რომელიც მსუბუქად დაშავდა.

ქურდობა

გაქურდეს ნიკო პეტრეს ძე კარიჭაშვილის ბინა (მძ. პავლოვის ქ. № 23), საიდანაც წაიღეს 150 მან. ღირებულების საოჯახო ნივთები. ტრამვაიში მოქ. მარიამ სარქისის ასულ სკანდანოვას ჯიბიდან ამოაცალეს 30 მ.

დაჭრა

თათრის მოედანზე ჩხუბის დროს მახმედ ბაგირ ოღლიმ ქვით დასჭრა მემად ბაგირ ოღლი. ბოროტმოქმედი შეპყრობილია.

რადიო-გადაცემა

კვირა, 25 მაისი

დღეს, თბილისის რადიო-სადგური გადასცემს შემდეგ პროგრამას: ბავშთა ლიტერატურულ მუსიკალური დილა; აგრონომის და ექიმის საუბარი ქართულ ენაზე; პოპულიარული კონცერტი; კომკავშირული რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; პიონერების და მოწაფის საათი ქართულ და რუსულ ენებზე; ლექცია ციკლიდან: „საბჭოთა პედაგოგი"; რუსულ ენაზე; საუბარი—„როგორ გამოვიყენოთ საგაზაფხულო შვებულება ჯანმრთელობისთვის" ქართულ ენაზე; საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა რუსულ ენაზე; დროის შემოწმება; ობსერვატორიის ცნობები; ოსური და აფხაზური ლიტერატურის საათი; კონცერტის ტრანსლიაცია ლენინგრადიდან; რეკლამა, უკანასკნელი ცნობები.

ორშაბათი, 26 მაისი

დილით ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს 10 კილოვატიან რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება მუსიკალური განყოფილება; პიონერთა და მოწაფეთა საათი—რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზეთი „წითელი არმიელი" რადიოთი ქართულ ენაზე; დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტის ლექცია, (რადიოთი) ქართულ ენაზე; დროის შემოწმება; რადიო გაზეთი რუსულ ენაზე; ობსერვატორიის ცნობები; სომხური და რუსული მუსიკის საღამო; უკანასკნელი ცნობები.

ფეხბურთი

„დინამო"—„ტრანსპორტელები"

დღეს, 25 მაისს, საღამოს 5 საათზე „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართება საინტერესო შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობენ „დინამო"-ს და ტრანსპორტელთა კავშირის პირველი გუნდები.

მთელი შემოსავალი გადაიდება პროლეტარული სტუდენტობის სასარგებლოდ.

პარტიული კალენდარი

დღეს, 25 მაისს, დღის პირველ საათზე საქ. სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის პარტ-ბიურო კოლექტივში ლენ-რაიკომის კომისია იწვევს შემდეგ ამხანაგებს: ფაკულტეტების უჯრედების პ. მ. მდივნებს, ბიურო-კოლექტივის საკონფლიქტო კომისიის წევრებს, მექანიკურ ფაკულტეტზე ამხ. ლომიძის შესახებ გამოყოფილ კომისიის შემადგენლობას, ამხ. მ. კუხალეიშვილს, ფოცხიშვილს, გიორგი ლომიძეს, გიორგი შელუას, სამობველოვს, გუოევიჩს, ბრეგვაძეს, აკაკი მეტონიძეს, კვინიხიძეს და ტოლუშს.

—:—

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. შალვა (შურა) ფალავას გამოცხადდეს 27 მაისს დილის 10 საათზე საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი № 6).

ხვალიდან, 26 მაისიდან

კინო აპოლოში
მხატვრული ფილმი
ვს. ივანოვის
მოთხრობის მიხედვით
ლტოლვილი კუნძული
რეჟისორი—რაზუმნი.

კინო სპარტაკში
კუტუზოვი,
მიჩურინი
ლაპტევი
პრემიერაში
ცხენოსნები დაიძრენ

კინო პალასში
ჩარლი ჩაპლინი
კომედიებში
1) გაზაფხულის ციებ-ცხელება
2) ჩარლი საცოლეს იტაცებს
3) ჩარლი ცოლს ირთავს
4) ჩარლის სიზმარი
5) ჩარლი ბანკში
6) ჩარლი ლუნა-პარკში
7) ჩარლი—ბოქსის ჩემპიონი

„კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

ჩვენს გაზეთზე ხელისმოწერის მიღებას
სამტრედიაში და მის რაიონში
ივნისის თვისთვის აწარმოებს
ამხ. ვლ. გოგელია

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა

ა. წ. 27 მაისს

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

შემდეგ პირების ნივთებს მათზე დარიცხულ დავალიანების ასანაზღაურებლად.

1) ვაშაკიძე, გიორგი თედორეს ძე—ღვინო 300 ვედრო და სარდაფის მოწყობილობა ნერსესოვის ქ. № 5, დილის 10 საათიდან.

2) ალახვერდოვი მარიამ მიკირტიჩის ასული ფანჯრების მინა, სალებავები, რკინეულობა და სხვა, რკინის რიგი № 13, დღის 12 საათიდან.

3) ლოლიშვილი მიხეილ ბესარიონის-ძე—სასადილოს მოწყობილობა, ფუნიკულიორზე დღის 2 საათიდან. ნ. 791

აქციონერთა საბოლოო სხდომის 1930 წლის და 13 მაისის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო სააქციო საზოგადოება

„საქნედლუტილ"-მა

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1930 წლის 6 თებერვლის დადგენილების თანახმად, მოქმედება შესწყვიტა და მთელი აქტივითა და პასივით 1930 წლის 15 თებერვლიდან თავისი ფუნქციები გადასცა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ ხაუწყებო გაერთიანებას

„ზაკუტილ"-ს

ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებსაც რაიმე პრეტენზიები აქვთ სააქციო საზოგადოება „საქნედლუტილ"-ის მიმართ, ორი კვირის ვადაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან შეუძლიათ წარმოადგინონ პრეტენზიები „ზაკუტილ"-ში (კომინტერნის ქ. № 6). ამ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

ნ. 792 „ზაკუტილ"-ის გამგეობა.

გაზ. „კომუნისტის" მთავარი კანტორა

სთხოვს ხელისმომწერთ,
რომელთაც რაიმე მიზეზის გამო ჯერ კიდევ არ მიუღიათ
კარლ მარქსის „კაპიტალი"

წიგნი მოიკითხონ გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 34), დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა მატა, მამა თედორე, ქმარი აქვსენტი, შვილი ნოდიკო და მული მაშო კანდელაკისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

ევგენია მიხეილის ასულ გაბრიჭიძე-რაზმაძის

უეცრათ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 3 საათზე. გამოსვენება ბინიდან, მალაკნის ქ. რკ. გზ. სახლი № 2, დღეს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2778

გულდამწუხრებულნი: ოლღა რაზმაძე-ნადარეიშვილისა, შალვა, შუშანა, ნატალია და ოთარი ნადარეიშვილები აუწყებენ საზოგადოებას პირველის რძლის დაუვიწყარ

ჟენია მიხეილის ასულ გაბრიჭიძე-რაზმაძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან—მალაკანის ქუჩა, რკ. გზ. სახლი № 2—დღეს, 25 მაისს, 4 საათზე. 2753

თავზარდაცემულნი: მაზლები სერაპიონი და გალაქტიონი, რძალი ნადია რაზმაძეები; მაზლისშვილი ვენერა ქმარშვილით—მიშა და ლამარა ხაინდრავები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარ

ჟენია მიხეილის ასულ გაბრიჭიძე-რაზმაძის

უეცარ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ბინიდან, რკ. გზის სახლი № 2. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2754

ბიცოლა ნინო რაზმაძისა და ბიძაშვილები ელენა რაზმაძე და მარო რაზმაძე-ცინცაძისა ქმარშვილით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი რძლის

ევგენია მიხეილის ასულ გაბრიჭიძე-რაზმაძის

უეცრივ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მალაკნის ქ. № 2.

სევერიანე და ელენე რაზმაძენი შვილებით: გრიშა, თინა და ვერა, დედა ეკატერინე, და—ნინა რაზმაძენი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი რძლის

ჟენია მიხეილის ასულ გაბრიჭიძე-რაზმაძის

უდროოდ დაკარგვის გამო. გამოსვენება 25 მაისს, 3 საათზე ბინიდან, მალაკნის ქ. რკინის გზის სახლი № 2. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2778

უზომო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე კოზმან მაღრაძე და შვილები: სერგო, ლევანი, სევერიანე და ამბროსი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ უეცრათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

სონა მაღრაძისა

დაკრძალვა სოფ. მარელისში სამშაბათს, 27 მაისს. (ე)

23 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

დავით ივანეს-ძე თაქთაქიშვილი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს ძმა კარკოზი, დები: ელისაბედ ყანჩაველისა, დარია გამყრელიძისა, დისწულები ალექსანდრე, გიორგი და ვახტანგი ცოლით ნინა ვასილის ასული ციციშვილები. გამოსვენება კამოს სახ. საავადმყოფოდან დღეს 3 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2785

23 მაისს, ღამის 1 ს. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

დავით ივანეს-ძე თაქთაქიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს განსვენებულის მეუღლე მაკრინე და შვილები: ივანე ცოლშვილით, ანნა, თინათინ, თამარ და ანასტასია თავიანთ ქმარ-შვილით. გამოსვენება კამოს სახელობის საავადმყოფოდან დღეს, 25 მაისს 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2785

დამწუხრებულნი მშობლები: დედა დომინიკა და მამა ნოე ვაშაყმაძეები შვილებით: ელენე, ოლია, მარუსა, თამარა, ჟორჟიკა, შოთა, ბუდუ იუწყებიან მათთვის ძვირფასი და საყვარელი შვილის და დის

შურა (ალექსანდრა) ვაშაყმაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 25 მაისს 4 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2774

დამწუხრებულნი ბაბუა სილიბისტრო და ბებია ეფოსია, ბიძა არსენა ცოლით ივდითით და შვილებით: გიორგი, სიმონ, რუსუდანი და რეზო; ბიძები: გიორგი, ლავრენტი და დავით; დეიდა ეფრასია ქარჩხაძეები იუწყებიან ძვირფასს და საყვარელ

შურა (ალექსანდრა) ვაშაყმაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2774

ა-წ. 20 მაისს უდროვოდ დაიღუპა

ალექსანდრა ნოეს ას. ვაშაყმაძე

რასაც აუწყებენ საზოგადოებას გულმოკლული მამიდაშვილები ტატიანა და გრიგოლ ბუცხრიკიძეები, ლავრენტი და გენია მჟავანაძეები და ვარლამ შველიძე. 2788

ვგლოვობთ სიცოცხლით სავსე

შუშანა ნოეს ასულ ვაშაყმაძის

ტრაგიკულად დაღუპვას. სოფელ როხიდან თბილისში მცხოვრებნი: ექ. გალინა, შუშანა და შალვა სუპატაშვილები, ვალიკო ფხალაძე, გიორგი და დავ. შველიძეები, გრიშა გუგუციძე, ემელიან გაჩეჩილაძე და ვანიჩკა ახალაძე. 2761

ნესტორ, ამბროსი, ელენე, მარო კაცაძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას

შურა ვაშაყმაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო. გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე 25 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. (შ)

გულმოკლული მშობლები: თედორე და მაიკო ცხომელიძეები შვილებით უღრმეს მადლობას უცხადებენ: სტალინის სახელობის თბილისის I საცდელ-საჩვენებელ შრომ. სკოლის მასწავლებლებს და მოწაფეებს, თბილისის ოდონტოლოგიურ საზოგადოებას და, საერთოდ, ყველას, რომლებმაც პირადათ, წერილობით თუ დეპეშებით გაიზიარეს ჩვენი მწუხარება საყვარელი და დაუვიწყარი ჩვენი

თამრიკოს

უდროოდ დაკარგვის გამო. 2783

მწუხარებაში მყოფნი მშობლები მინორა ⅋ ზაქარია, ძმები: იესე, კარლო და ზაქარია, რძალი მარუსია, ბიცოლები: ლიდა ⅋ ფლორენცია, ბიძები: გიორგი ⅋ აფთონი, ბებია ელენე ⅋ ბიძა ბიქტორი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ დღეს, სრულ 5 ს. კუკ. სასაფ. გადახდილ იქნება სამოქ. პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

დოდო (ზინა) ცინცაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2772

გაუბედურებული მეუღლე გრიგოლ რეჟების-ძე ბარამიძე თავისი შვილებით უღრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ, რომ სოფ. საგარეჯოში, 16 აპრილს, გარდაცვლილ

გოგუცი გიორგის ასულ ქავთარაძე-ბარამიძის

ცხედარი გადმოსვენებულ იქნება ქალ. თბილისში სამშაბათს 27 მაისს. გამოსვენება სადგურიდან იმავე დღეს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 2—1 2765

ტერეზა იმნაიშვილი, ელენე და ტატო ჭანტურიები, ლავროსი კოტრიკაძე, კატო გოგოტიშვილი, კატო ახელედიანი, ქეთო ბახტაძე და კარპეზ ლოლაძე მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ძვირფასი ამხანაგის, სახალხო მასწავლებლის

ნატალია (გოგუცი) გიორგის ასულ ქავთარაძე-ბარამიძის

ცხედრის გადმოსვენება სოფ. საგარეჯოდან მოხდება ორშაბათს, 26 მაისს. დაკრძალვა სამშაბათს, 27 მაისს, თბილისში კუკიის სასაფლაოზე. 2766

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ალათი, მამა სპირიდონი, ძმები: პანტელეიმონი, ხარიტონი და მაკარი თავიანთ ცოლშვილით, დები: ცაცა და ქსენია თავიანთ ქმარშვილით, და ძიბლა, დისშვილი ტატიანა იუწყებიან, რომ 1929 წლის აპრილის 29 მდინარე რიონში (ქვალადიდი) ტრაგიკულად დაიღუპა

ბიჭიკო (შალვა) კვარაცხელია

რომლის გვამი ნაპოვნი იქნა ა/წ. მაისის 22-ს. დასაფლავება სოფ. მარტვილში ა/წ. მაისის 27-ს დღის 4 საათზე. 2777

1925 წლის კურს დამთავრებული აგრონომები აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს, 5 ნახ. საათზე, ვერის ძველ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ ამხანაგის აგრონომ

დორა კუჭუხიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2764

უახლოესი მეგობრები: ნ. ჭყონია, მ. მაჭავარიანი, ნ. ჩახნაშვილი, მ. ყაუჯიშვილი, ლ. ჭავჭანიძე, ც. ბუაძე და დ. ბახაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ დღეს, 5 ნახ. საათზე, ვერის ძველ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი მეგობრის აგრონომ

დორა კუჭუხიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2764

თბილისის კავშირგაბმულობის პოლიტეხნიკური სკოლის საადმინისტრაციო ჯგუფის კურსანტები: თ. კუნჭულია, ი. გაბელაია, ა. ახობაძე, ტ. ჩხაიძე, მ. მესხი, ნ. ბეგიზოვი, ი. ძნელაძე, ვ. ბოკერია, კ. კომახიძე, თ. პაპუჩელაშვილი, ვ. სისორდია, რ. ნაცვლიშვილი, შ. გოგოლაძე, ვ. შენგელია გ. დვალი, ს. გადელია, ლ. ერქომაიშვილი, ა. კიმოთიძე, ა. ყიფიანი, ა. ტარუღოვი, ა. აზარიაშვილი, ნ. ოჯჯონიკიძე, ს. რევიშვილი, ვ. დარჩიაშვილი, ი. დარაშვილი, ი. პრიხოტკოვი, ვ. ჟღენტი, ვ. ნადირაძე, კ. ხოჯაშვილი, დ. სიჭინავა, ნ. ბრეგაძე, ი. ლვინიაშვილი და გ. გიორგობიანი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის გრიშა ბაქანიძის მამის

იოსებ ბაქანიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 2768

გულდათუთქულნი მშობლები: მარკოზი, გულო და ბიძა მიშა ხუბულაშვილები, ბაბო ოლა, დეიდა თამარი და ბიძა ჟორა დავაშვილები, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოთ დაჰკარგეს მათთვის უსაყვარლესი და უძვირფასესი

პატარა ზაირა ხუბულაშვილი

გამოსვენება მოხდება ბინიდან—ტურგენევის ქ. № 4. საღამოს სრულ 5 საათზე, ორშაბათს, 26 მაისს. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე. (ე)

გულმოკლული მშობლები ვასასი და ვარლამი, ძმები აკაკი და შოთა, დები: თამარი (თალიკო) და ტატიანა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 მაისს, ძველ აბანოში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, მათთვის ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ, უდროოდ ცხოვრებას მოწყვეტილ

ნინა (ჩიტო) ვარლამის ასულ და შალვა (ვგრიტუშა) ვარლამის-ძე ქოიავების

ხსოვნის აღსანიშნავად.

რუსთაველის თეატრი. კვირას, 25 მაისს,
მე-2 საჩვენებელი წარმოდგენა სახ. კონსერვატორ. საოპერო კლასის
თამარ ცბიერი
ოპ. 4 მოქმ. მ. ბალანჩივაძისა.
მონაწილეობენ: სტუდენტები (ახალი შემადგენლობით), გუნდი და ბალეტი ოპერისა, ორკესტრი კონსერვატორიისა. რეჟისურა და დადგმა ა. წუწუნავასი. დირიჟორი სახ. არტ. ი. ფალიაშვილი.
ბილეთები თეატრის სალაროში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
2781 სახ. კონსერვატორიის ადმინისტრაცია.

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერგნერი მხატვრულ სურათში მექიანური ფლორენციიდან 26 მაისიდან ლტოლვილი კუნძული	პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	უცხოეთის მხატვრული ფილმი მსჯავრდადებულნი 26 მაისიდან ჩარლი ჩაპლინი
სპარტაკი ყოფ. არფასტო	მხატვრული ფილმი ლტოლვილი კუნძული 26 მაისიდან ცხენოსნები დაიძრენ	რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)	სეზონის საუკეთესო ფილმი ერთა დროშა 26 მაისიდან მექიანური ფლორენციიდან
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	პოლა ნეგრი პარამუნტ-ფილმის სურათში ეპლიანი მავთული	დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	საუკეთესო ფილმი პარიზელი ქალი პროგრ. გარეშე ცნობილი მომღერლის სერაფიმა ბუვალოვას გასტროლები ახალი პროგრამა.

მ ა ლ ე: „მოპირდაპირე ქარი", „ბრძოლის გმირები".

საქარ. კურორტთა მთავარი სამმართველო
1930 წლის სეზონი.
საქართველოს კურორტები:

ბორჯომი სეზონი 16 ივნისიდან 1 სექტემბრამდი.	კარგათ მოწყობილი სანატორიუმები, პანსიონატი და პოლიკლინიკა. ფიზიოთერაპევტიული ინსტიტუტი მინერალური ნახშირმჟავა ტუტოვანი წყაროები. ნახშირ მჟავა აბაზანები. დიეტიური სასადილო სპეციალისტ ექიმის მეთვალყურეობით. მკურნალობენ გულის, კუჭნაწლავის, ღვიძლის, ჭიებისა ავადმყოფობას და სისხლნაკლულოვანებას.
წყალტუბო სეზონი მთელი წლით.	ქუთაისიდან 12 ვერსი. რადიო აქტიური მინერალური წყაროები. პოლიკლინიკა. საერთო აბაზანები და ცალკე სასტუმრო, საკურორტო რესტორანი, მიმოსვლა ავტომობილით. 15 წუთის სავალი ქუთაისიდან. მკურნალობა: სახსრების და კუნთების რევმატიზმი, პერიფერიულ ნერვიულ სისტემის დაავადება, იშიაზი, პადაგრა და ქალის ავადმყოფობანი.
ახტალა 16 ივნისიდან 30 სექტ-მდი.	კახეთის რკინის გზის სად. გურჯაანის მახლობლათ ახტალის შესანიშნავი ტალახები ტალახით სამკურნალო აბაზანები საერთო და ცალკე. მკურნალობენ შემდეგ სნეულებებს: სახსრების პერიფერიული ნერვიული სისტემის, ლიმფატიური ჯირკვლების ქრონიკული ანთება, ქალის სასქესო სფეროს ავადმყოფობა, კანის ავადმყოფობა.
აბასთუმანი სეზონი მთელი წლით.	სამთო კლიმატიური სადგური. მკურნალობა: ფილტვების, ჯირკვლებისა და სხვა, ჭლექის, ქრონიკული მალარია და ყოველგვარი სისხლნაკლებობა.
წაღვერი 16 ივლისიდან 15 სექტ-მდი.	სიმაღლე 1022 მეტრი ზღვის დონიდან. ქვეალპიური სამთო-კლიმატიური სადგური. პანსიონატი, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი. მკურნალობა: ფილტვების ჭლექი, მალარია, კვების დაცემა.
ბაკურიანი სეზონი 1-ლ ივლის. 15 სექ-მდი.	სამთო კლიმატიური სადგური 1600 მეტრის სიმაღლე ზღვის დონიდან. შამშოვი ერთი მომხიბლავი კუთხეა კავკასიაში. მინერალური წყაროები, პანსიონატის საუცხოვო შენობები; საკურორტო სასტუმრო, ფოსტა, ტელეგრაფი, სასადილოები. მკურნალობა ავადმყოფობის: ჭლექისა და ნევრასტენიის.
პატარა ცემი სეზონი 16 ივნ. 15 სექ-მდი.	სპეციალური სანატორიუმი ბავშთათვის. მიიღება ორივე სქესის ბავშვები 14 წლის ასაკამდი. მკურნალობა: ტუბერკულიოზური ინტოქსიკაცია, ლიმფატიური ჯირკვლებისა და ძვლების ტუბერკულიოზი, ქრონიკული მალარია და ყოველგვარი განმეორებული სისხლნაკლებობა.

მიმართეთ საქართ. კურორტთა მთავარ სამმართველოს:
თბილისი, ძნელაძის ქ. № 30. კურორტთა სამმართველო, კურორტთა ბიურო. მისამართი დეპეშისათვის: ტფილისი საქკურბიურო.
კურბიურო იძლევა პასუხს შეკითხვებზე, თუ თან ახლება ფასგადახდა პასუხისათვის. წერილებს პასუხისათვის თან უნდა ახლდეს მარკა.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 თებერვლის დადგენილების თანახმად, გზათა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში საპაიო საფუძვლებზე შექმნილია საწყობებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის საკავშირო გაერთიანება

(ს. ზ. 1930 წ., № 2 განყ. № 14, მუ. 152)

„სოიუზტრანს"-ი

გაერთიანებას გადაეცა მთელი აქტივითა და პასივით 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის გამოყვანილი ბალანსებით (რომლებშიაც შეტანილია შესწორებები გადაცემის დღემდე) ყველა საერთო სარგებლობის საწყობები, აგრეთვე საზ. „ტრანსპორტ"-ის, საზ. „სოვტორგფლოტი"-ს, რკინის გზების, მდინარეებისა და საზღვაო ნაოსნობის სატრანსპორტო-საექსპედიციო და საავტომობილო-საჭაპანო მეურნეობანი (სადაც ასეთები არსებობენ).

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში გაერთიანებას გადაეცა იგივე საწყობები და მეურნეობანი (ნავთსადგურის ქალაქებს გარდა) და სააქციო საზოგადოება „ზაკავტომპრომტორგ"-ი.

აღნიშნულ საწარმოთა ყველა საქმეებისა და ყველა სასაწყობო (საერთო სარგებლობის საწყობი) სატრანსპორტო-საექსპედიციო და საავტომობილო-საჭაპანო საკითხებსა და საქმეებზე უნდა მიმართოთ „სოიუზტრანს"-ის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორას, ქ. თბილისი, ალმასკომის ქ. № 1 და ადგილობრივ სარაიონო კანტორებს.

გაერთიანება „სოიუზტრანს"-ი ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში თავის მოქმედებას იწყებს 1930 წლის 1 ივნისს.

გაერთიანება „სოიუზტრანს"-ის საორგანიზაციო ბიუროს
რწმუნებული ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. ივანიშვილი.
ნ. 789 2—1

ს. ხ. განათ. კომის. ნებართვით
თვითგანვითარებისათვის და საშემოდ. გამოცდებისათვის
ვამზადებ
მოწაფეებს
7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუსტრ ქიმიურ. ფარმაც. და უმაღლეს სასწავლებელში მუშათა ფაკულ. 1 და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. ფიზიკაში, რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და ხუსტ მოწაფეებსაც. შესდგება 2 ჯგუფი დილის და საღამოსი ჯგუფში 10 კაცი. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდის. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი) პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ქ: ქუთაისი თ. ვ. აკოფაშვილი შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მახაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. სალ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მ ი ღ ე ბ ა: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ვ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ქ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს—ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914" (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიძის ქ. № 1. ალმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის დ. მ სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილისა და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და სალ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
კამოს ქ. № 54, სანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.
საავადმყოფოს განყოფილებები:
ქირურგიული განყ. — — გამგე პროფ. ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „ — — „ პროფ. ა. ალადაშვილი
სამეანო „ — — „ პროფ. ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „ — — „ პროფ. გ. ღამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის განყოფ. გამგე ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია — — — „ ექ. ექ. ი. ხათრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)
რენტგენის კაბინეტი — — — ექიმი გ. ნაზარაშვილი.
პ ო ლ ი კ ლ ი ნ ი კ ა:
ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე
კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
მედიც. დოქ. ნ. ვესელვზოროვი 2—3, ორშაბათი, ოთხშაბ., პარასკევი.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკიანი 3—5 საათამდე. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—4 საათამდე. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
უროლოგიურ კაბინეტში — დოცენტი ა. წულუკიძე 2—4 საათამდე,
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინ. 9—11 ექ. დ. ჯაფარიძე, 11—1 ექ. დ. თევზაძე. ⅋ 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი.
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4—6 საათ.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. მიიღებს პროფესორი ს. ყიფშიძე 3—4
პროფ. მ. წინამძღვრიშვილი 2—3 საათ. ორშაბათი. ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინ. პროფ. ს. ყიფშიძე 2—3 ს. ყოველ დღე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავებთა დაავადებანი ექ. ი. მჭედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. ვ. ტოტვენი 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო ტერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ ერთი მან.
0—34

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს 1930 წლის 1 იანვრის და სააქციო საზოგადოება „მკერავი"-ს ა. წ. 15 მაისის დადგენილების თანახმად

სამკერვალო მრეწველობის სააქციო საზოგადოება

„მკერავს"

ამიერიდან ეწოდება საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს

სამკერვალო მრეწველობის ტრესტი „მკერავი"

ყველა პრეტენზიები სააქციო საზოგადოება „მკერავი"-სადმი წარმოდგენილ უნდა იქნას არა უგვიანეს ა. წ. 25 ივნისისა, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზიები დაკმაყოფილებული არ იქნება.

სამკერვალო მრეწველობის ტრესტის გამგეობა.
ნ. 790 ნინოშვილის ქ. № 8.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— ატესტატი და მისი ასლი 1912 წ. თბილ. ყოფ. ეპარქიალური სასწავლებლის 8 კლასის დამთავრების შესახებ, გაცემული მარიამ კარლოვას სახელზე. 2762
— პარტ-ბილეთი № 0433888 სიმონ ფარნას-ძე ახობაძის სახელზე. 2760
— კავშირის წიგნაკი № 14/25348 ვასილ ჭანგოტაძის სახელზე. 2769
— მუშკოოპის წიგნაკი № 82380 მათე მელქაძეს სახელზე. 2770
— სახ. უნივერს. მიერ გაცემული დროებითი მოწმობა 1928 წ. ფარმაცევტიული კურსების დამთავრების შესახებ შუშანიკა ზოსიმეს ასული ჩირგეზიას სახელზე. 2771
— კავშირის წიგნაკი მ. ი. ჩავეს სახელზე. 2773
— 9 წლედის დამთავრების მოწმობა № 115 მარიამ თედორეს ასული კახიანის სახელზე. 2775
— პურის წიგნაკი ირაკლი ფაღლენიშვილის სახელზე. 2779
— პურის წიგნაკები №№ 4849 და 145 და მუშკოოპის წიგნაკი იოსებ ყიფიძის სახელზე. 2781
— სამხედრო წიგნაკი ნიკოლოზ ალექსის-ძე ალაპიშვილის სახელზე. 2782
— მუშკოოპის წიგნაკი № 86739 რიფსიმე აკოფის ასული მდივანოვას სახელზე. 2784
— პურის წიგნაკი (2 სულის) იაკიმ ჭანტურიას სახელზე. 2786
— კავშირის წიგ. № 5329 ლევან ანდრიას-ძე ქართველიშვილის სახ. 2787

ტირაჟი—56.100
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904